დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2024 წლის
2 - 8 სექტემბერი
N 37 1555
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

**ბიძინა ივანიშვილი:**

## პირობას გაძლევთ, არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ ნაცმოძრაობას!

2 4

## მესამე კენედი ხელს აღებს!





**აი, ვინ არის სინამდვილეში გლობალური ომის პარტია!**

5



**მიხეილ ცაგარელი:**

## ბიძინა ივანიშვილი თავს ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც არასდროს!

**ჯამბულ გამცემლიძე:**

3

მზად ვარ, ქართულ „ნიურნბერგის პროცესზე“ მოწმედ გამოვიდე!



„ამიტომაც გადაწყვიტა ივანიშვილმა სწორედ ახლა ხმის ამოღება და სათქმელის საჯაროდ თქმა!“

## „ტყვიაგაუმტარი მინები თავდაცვის კარგი საშუალებაა, მაგრამ საკმარისი არ არის!“




**ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად!**

## ლანამ აჯობა მამასა?



22



12-13

**იგორ გიორგაძე:**

## სასამართლოს განაჩენის გარეშე მე სამშობლოში შემოსასვლელი ჭიშკარი ჩამიკეტეს!



„დღემდე საქართველო იმკის შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების შედეგებს!“

**ლაზარე ჯორბენაძე:**

ვანო მერაბიშვილმა სააკაშვილი, ადეიშვილი და კეზერაშვილი არ ჩაუშვა, ოფშორების ანგარიშები არ გათქვა და ციხეში ჩაჯდა!

## ვანო მერაბიშვილმა ხელისუფლებას ნაცმოძრაობის დაშლის პირობა მისცა და ეს პირობა შეასრულა!



6-7



„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ოზურგეთში წინასაარჩევნო შეხვედრაზე

დღის წესრიგში უნდა დადგეს რეჟიმის გასამართლების საკითხი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინეს!

## ბიძინა ივანიშვილი:

# პირობას გაძლევთ, არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ ნაცმოძრაობას!

**მოგესალმებით, გურულებო!**

მივესალმები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში მცხოვრებ, ნათელი გონების, ენამოსწრებულ, სტუმართმოყვარე, ღირსეულ და თავისუფალ ხალხს!

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში გურულებს რომ განსაკუთრებული როლი გაქვთ შესრულებული, ეს არავის ესწავლება. თქვენი და თქვენი წინაპრების პოლიტიკური განსწავლულობა და ალღო მრავალჯერ დამტკიცებულა.

თამამად ვიტყვი, რომ სწორედ ამ კუთხის შვილები ხართ ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური დასაყრდენი.

**ასე იყო წარსულშიც, როდესაც თავისუფლებისმოყვარე გურულებმა გაბედეს და, ანექსიის მიუხედავად, გურიის რესპუბლიკა გამოაცხადეს. ამ მამაცმა ხალხმა თავად აიღო ხელში საკუთარი ბედისა და მომავლის მართვა და გამოავლინა თქვენთვის ასე დამახასიათებელი ორგანიზაციული ნიჭი.**

ასე იყო 1918 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა: **საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელი კრების წარმომადგენელთა უმეტესობა ხომ გურულები იყვნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერთა შორისაც ხომ გურულები ჭარბობდნენ?!**

ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის სიყვარული და მის მომავალზე ფიქრი მუდამ თქვენს საზრუნავს შეადგენდა და შეადგენს. ეს დაამტკიცეთ საქართველოს უახლესი ისტორიის ურთულეს პერიოდშიც, როდესაც ჩვენი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როდესაც საქართველოს ხვალინდელი დღის აღარავის სწამდა, როცა ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხეში საყოველთაო ნიჰილიზმი სუფევდა, რადგან იმდროინდელი ხელისუფლების — ნაციონალური მოძრაობის რეჟიმი ტერორში ამყოფებდა საკუთარ ხალხს.

**12 წლის წინ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე, გარწმუნებდით, რომ თქვენი ნდობის და მხარდაჭერის შემთხვევაში, ერთად დავასრულებდით მოძალადე რეჟიმს და იმ სიღატაკეს, რაც წინა ხელისუფლების მტაცებლური ბუნების გამო მთელ საქართველოში, განსაკუთრებით კი, გურიაში სუფევდა.**

გემახსოვრებათ ისიც, რომ წლები გადიოდა, მაგრამ თქვენს დალოცვილ მხარეში არაფერი კეთდებოდა, უტიფრად იმეორებდნენ: გურია ლამაზი, თუმცა, ღარიბი კუთხეაო, მაგრამ ამ მოცემულობის შესაცვლელად თითს თითზე არ აკარებდნენ. მეტიც, **იმდენი მოახერხეს, რომ სტუმარმასპინძლობით განთქმული გურულები სიდუხჭირეში აცხოვრეს, გულღია, სიცოცხლით სავსე ხალხს მომავლის იმედი და რწმენა დაუკარგეს.**

როგორც პოლიტიკური ფიგურა, პირველად 12 წლის წინ შეგხვდით და შეგპირდით, რომ ჩემს პოლიტიკურ გუნდთან ერთად ბოლომდე ვიბრძოლებდი იმისთვის, რომ ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვლილიყო, რომ გლეხის ნაშრომი დაფასებულიყო, ქართულ პროდუქტს ფასი დასდებოდა და ადგილობრივ ბაზარზე კვლავ გამოჩენილიყო ჩვენს მიწაზე ჩვენი ხალხის მიერ მოყვანილი მოსავალი.

ამას გარდა, ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებული ამ კუთხის პოტენციალი ჩემთვის იმთავითვე ცხადი იყო — გურიას არაფერი აკლდა საიმისოდ, რომ აქ არაერთი მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელებულიყო, რაც მთლიანად რეგიონის განვითარებაზე აისახებოდა. დღეს გურია ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე 12 წლის წინ. ადამიანის შრომა მეტად ფასდება, გურიის კურორტები არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ უცხოელი ვიზიტორების საყვარელი ადგილებია, ბევრად უკეთაა განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაშიც პირადად ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე, რადგან ყოველთვის მწამდა და მწამს გურიის და გურული ხალხის უნიკალურობის!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიღწეული მთელი რიგი წარმატებების მიუხედავად, რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ და მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს. თუმცა, მოგეხსენებათ, განვითარება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის პირობებშია შესაძლებელი!

**გურულებს მშვიდობის ფასი არ გესწავლებათ. თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც ღვინის სამშობლოში, ქართულ სუფრაზე, საკრალური ქართული ღვინით პირველად სწორედ მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქვამთ.**

მშვიდობას რა ფასი აქვს, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ კარგად გვასწავლა. საუკუნეების განმავლობაში ქართველები არნახულ მსხვერპლზე მივდიოდით და სიცოცხლის ფასად, იარაღით ხელში ვიცავდით ჩვენი ოჯახების, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის მშვიდობას. მშვიდობის მნიშვნელობა მკაფიოდ დაგვანახა საქართველოს უახლესმა წარსულმაც, იმ ტრაგიკულმა მოვლენებმა, რაც ჩვენს სამშობლოში 90-იან წლებში დატრიალდა და 2008 წლის ომმა, დანაშაულმა, რომელზეც ნაციონალური მოძრაობაა პასუხისმგებელი! ამის საპირისპიროდ, **„ქართული ოცნება“ ერთადერთი პოლიტიკური ძალაა საქართველოში, რომელმაც ურთულეს ვითარებაში ქვეყანას 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!**

ყველა, ვისაც გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ერთხმად ვთანხმდებით, რომ დღეს, იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც საქართველო რეგიონში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტების ფონზე დგას, მშვიდობის შენარჩუნება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა ფაქტია, **საქართველოში დღეს ჯერ კიდევ თავისუფლად საქმიანობენ რადიკალური ძალები, უფრო კონკრეტულად კი — კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც არათუ მშვიდობა არ სურს ჩვენს ქვეყანაში, არამედ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს, რომ საქართველო როგორმე სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიოს.**

კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ამ ქვეყნის არაკეთილმოსურნეთა სამსახურში დგას და ეს უკვე არაერთხელ დამტკიცდა. **ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ეს ძალა და მისთვის დავალების მიმცემები საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ!** დარწმუნებული ვარ, კრიტიკული აზროვნებით გამორჩეული გურულები ამას თავადაც კარგად ხედავთ. დამეთანხმებით, რომ მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში ცხოვრება ქვეყნის განვითარებასა და წინსვლას აფერხებს.

ამიტომაც 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ **ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს რადიკალების მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში და არათუ უნდა დასრულდეს, დღის წესრიგში უნდა დადგეს რეჟიმის გასამართლების საკითხი ყველაზე მძიმე დანაშაულისთვის, რაც მათ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინეს და რამაც ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი დაგვაკარგვინა.** პირობას გაძლევთ, რომ არჩევნების შემდეგ ჩვენ აუცილებლად გავასამართლებთ კოლექტიურ ნაცმოძრაობას მოღალატეობრივი ქმედებების გამო!

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## კვირგვინოსნები



**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**26 ჩვენი დღეა და 26 ოქტომბერს აუცილებლად გაიმარჯვებს მშვიდობა** და საქართველოს ნათელი, ევროპული მომავალი! **26 ოქტომბერს აუცილებლად გაიმარჯვებს საქართველო!**

„ინტერპრესნიუსი“



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

სანამ **ბიძინა ივანიშვილი** და „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში, **საქართველოში ომი არ მოხდება.**

„ინტერპრესნიუსი“



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

საარჩევნო კამპანიაში ვერავინ ჩაერევა, **ვერც — რუსეთი, ვერც — ამერიკა და ვერც — დასავლეთი.** „გამჭვირვალობის კანონი“ სწორედ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ **საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია, თუ ვინ გეგმავს რევოლუციას საქართველოში, ვინ ებრძვის ეკლესიას** და ვინ აფინანსებს ექსტრემისტულ ორგანიზაციებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

26 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა იმდენად მძლავრად უნდა თქვას, რომ **ირჩევს მშვიდობას და არა — ომს, ოჯახურ ღირებულებებს და არა — ლგბტ პროპაგანდას, სარწმუნოების პატივისცემას და არა — ეკლესიის გმობას,** რომ ვერავინ გაბედოს არჩეულ ხელისუფლებასთან ქართველი ხალხის სახელით საუბარი.

„ინტერპრესნიუსი“



**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*

არცერთი ადამიანი, რომელსაც თავისი **სამშობლო, მამული, ენა უპირველესად მიაჩნია,** სახლში არ დარჩეს იმიტომ, რომ **ერთმა ხმამ შეიძლება გადაწყვიტოს საკონსტიტუციო უმრავლესობის ბედი.**

„ინტერპრესნიუსი“

***ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებას — 26 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას „ნიურნბერგის პროცესს“ მოვუწყობთ და დამნაშავე პარტიას პოლიტიკურ საქმიანობის ავუკრძალავთო, 2008 წლის 8 მაისს სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული 31 წლის გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე ეხმიანება:***




## „უსინათლობას ერთი პლუსი მაინც აქვს – ნაძირალა ნაცებს ველარ ვხედავ!“

## ჯამბულ გამცემლიძე:

# მზად ვარ, ქართულ «ნიურნბერგის პროცესზე» მოწმედ გამოვიდე!

## „ნაციონალური მოძრაობა მარტო პოლიტიკიდან კი არა, მიწის პირიდან უნდა აღიგავოს!“

— ნაციონალური მოძრაობის გასამართლება დაგვიანებული კი არა, ძალიან, ძალიან, ძალიან დაგვიანებულია! ნაცხროვის პოლიტიკიდან ალაგმვა ჯერ კიდევ 2013 წელს უნდა მომხდარიყო და სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი, ვისაც მაშინ საკვანძო თანამდებობები ეკავა, უკვე 10 წლის ჩასმული უნდა იყოს ციხეში! დედამიწის ზურგზე არ არსებობს დანაშაული, რომელიც მაგათ არ ჩაუდენიათ და დღეს ისევ პოლიტიკაში რომ არიან, ეს ქართველი ხალხის დაცინვაა.

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას პოლიტიკური საქმიანობა უნდა აეკრძალოს?**

— მე თუ მკითხავთ, **ნაციონალური მოძრაობა მარტო პოლიტიკიდან კი არა, მიწის პირიდან უნდა აღიგავოს!** ჯერ კიდევ პირველი მსხვერპლი — **ბუტა რობაქიძე** რომ მოკლეს, იმ დღიდან მოყოლებული გავიძახი, რომ ნაცრეჟიმი, სააკაშვილის მეთაურობით, უნდა გასამართლდეს და, ღმერთმა ქნას, ჩვენმა ხელისუფლებამ ახლა მაინც შეძლოს ამის გაკეთება, თუმცა, ვშიშობ, ნაცების გასამართლების პროცესი 26 ოქტომბრის არჩევნების მერეც ისე მსუბუქად და ლმობიერად არ წარიმართოს, როგორც აქამდე ვნახეთ.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპიდან და ამერიკიდან უკვე ისმის შეშფოთებები არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის შესაძლო გასამართლების გამო?**

— **ამერიკელებისა და ევროპელების შეშფოთება ვერ მოვისმინე მაშინ, როცა ჩემი შვილი ქუჩაში ბეღურასავით მოკლეს და მის მკვლელ პოლიციელს 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს!** ვერც მაშინ მოვისმინე ამერიკელებისა და ევროპელების შეშფოთება, როცა **სანდრო გირგვლიანის** მკვლელებს არაადეკვატურად მცირე სასჯელები შეუფარდეს, მაგრამ ისიც არ მოახდევინეს და დროზე ადრე გამოუშვეს ციხიდან! ევროპელები და ამერიკელები, სინამდვილეში, რაზეც შფოთავენ, ძალიან კარგად ვიცი — მაგათ უნდათ საქართველო ქართველების გარეშე, როგორც ტერიტორია, რომელსაც თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენებენ და როცა დასჭირდებათ, საომარ პოლიგონად გადააქცევენ ისევე, როგორც ეს 2008 წელს გააკეთეს!

**— და მაინც, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ გამართვა რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— თუ ხელისუფლება სათანადო ნებასა და პრინციპულობას გამოიჩენს, ვფიქრობ, ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა დღესაც შესაძლებელია! **პირადად მე, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუბედურებული მოქალაქე და გამწარებული მამა, მზად ვარ, ქართულ „ნიურნბერგის პროცესზე“ მოწმედ გამოვიდე და პირსისხლიანი ნაცბანდა ვამხილო!**

2007 წლის ნოემბრის აქციების დროს, როცა ჩემი გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მიტინგზე ვიდექი და გამოტანილი მქონდა ჩემი მეუღლის ხელით დაწერილი ტრანსპარანტი — „შენ მეისპე, მიშია!“ მაშინ ამ ფოტომ მთელი პრესა მოიარა, **გიორგი თარგამაძემ** კი ჩემგან ინტერვიუ აიღო და მკითხა — ბატონო ჯამბულ, ტრანსპარანტზე ასეთი რამ რატომ დაწერეთო? — რაზეც ვუპასუხე: მინდოდა, დამეწერა — მიშა, შენი დედა .... ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)***, მაგრამ ხალხის შემრცხვა და ბიცოლაჩემის დანაბარები დავწერე-მეთქი! ეტყობა, ეს ამბავი სააკაშვილს მიუტანეს, რომელმაც მაშინვე ბრძანა — ეს კაცი გაამწარეთო და გამამწარეს კიდეც!

**— 2007 წლის 7 ნოემბერს სააკაშვილის რეჟიმი ფიზიკურად თქვენც გაგისწორდათ?**

— 7 ნოემბერს, როცა აქციის დარბევა დაიწყო, ქაშუეთის ეკლესიასთან კეფაში რეზინის ტყვია მომხვდა, რის გამოც წავბარბაცდი, ფეხი რაღაცას წამოვკარი, დავვარდი და ოთხი კბილი მოვიტეხე. წაქცეულს ზემოდან ე.წ. რობოკოპი დამახტა და გამეტებით მირტყამდა. მაშინ ჯერ კიდევ ჯანი მქონდა, როგორღაც ხელიდან დავუსხლტდი და დაღმართში მთელი ძალით გავიქეცი, მაგრამ რობოკოპმა თავი არ დამანება და მშრალ ხიდამდე მდია... რაც მე იმ დღეს საკუთარი თვალით ვნახე, არასოდეს დამავიწყდება — **ქაშუეთში მხუთავი გაზის კაფსულები შეყარეს და ტაძრიდან თავპირდასისხლიანებული ხალხი გამორბოდა...** მსგავსი სისასტიკე და სიმხეცე, რაც ნაძირალა სააკაშვილის რეჟიმმა 2007 წლის 7 ნოემბერს ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა, არც წიგნებში წამიკითხავს და არც ფილმებში მინახავს. **ეგენი კი არ უნდა გაასამართლო, ცოცხლად უნდა გაატყავო, მაგათი დედა ვატირე!**

ოღონდ „ნიურნბერგის პროცესსა“ და ნაცების გასამართლებას მომასწრო, ჩემს შვილთან პირნათელი წავალ!

**— ნაცოპოზიციის წარმომადგენლებს რომ მოუსმინო, 26 ოქტომბრის არჩევნებში მათ გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება... თქვენი მოლოდინი როგორია?**

## – ვინც ნაციონალურ მოძრაობას ხმას მისცემს, ჩემს თვალში ყველა შეურაცხადი და არანორმალურია!

ქვეყნის უბედურებად მიმაჩნია, რომ ამ მკვლელებისა და მწამებლების ბანდას დღემდე ჰყავს გარკვეული რაოდენობის ამომრჩეველი, თუმცა, დარწმუნებული ვარ, როგორც წინა 8 არჩევნებში ვერაფერი ქნეს, იმაზე მწარედ დამარცხდებიან 26 ოქტომბერს!

მხოლოდ უკანასკნელმა ბრიყვმა შეიძლება დაიჯეროს, რომ **გვარამია, მელია, ხოშტარია, ვაშაძე** და შარვალჩახდილი **ჯაფარიძე** ნაცები არ არიან! რეალურად, ეს კოლექტიური ნაცმოძრაობაა და **ესენი ყველანი პატარ-პატარა სააკაშვილები არიან!**

ისიც მინდა, გითხრათ, რომ თვალის ბადურა ჩამომეშალა და მხედველობა, ფაქტობრივად, სრულად დავკარგე, რის გამოც ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდა, მაგრამ უსინათლობას ერთი პლუსი მაინც აქვს — **ნაძირალა ნაცებს ველარ ვხედავ!**

**— „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს სთხოვს, 26 ოქტომბერს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში დაეხმაროს და ამის საჭიროებას რამდენიმე მიზეზით ასაბუთებს. როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებს ქართველი ხალხი ხელისუფლების თხოვნას?**

— პირადად ჩემთვის მისაღები და მართებულია ყველა ის მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას ითხოვს და მჯერა, ქართველი ხალხი ხელისუფლებას ამ მანდატს მისცემს!

ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ კოლექტიური ნაცებისათვის მიცემული თითოეული ხმა საქართველოს ომში, მკვლელობებში, წამებასა და ტერორში დაბრუნებისათვის ხმის მიცემას ნიშნავს! ეს გარეწრები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, ისეთებს დაატრიალებენ, სისხლიანი 9 წელი მონაგონი იქნება!

ამიტომაც მე, **ჯამბულ გამცემლიძე,** სააკაშვილის რეჟიმის მიერ შვილმოკლული და გაუბედურებული მამა, რომელიც სხვათა შვილების გადასარჩენად ვებრძოდი იმ უსასტიკეს და უბოროტეს რეჟიმს, ჩემს თანამემამულეებს ერთადერთ რამეს ვთხოვ — **26 ოქტომბერს ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა აღარ არსებობდეს და ამ ნაძირალებისგან სამუდამოდ დავისვენოთ!**

## 26 ოქტომბერს – არცერთი ხმა ნაციონალურ მოძრაობასა და მის სატელიტებს!

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**„გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა** უზრუნველყო არამხოლოდ ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდინებული **თანხების ხარჯვის გამჭვირვალობა,** არამედ იმ **პოლიტიკური ძალებისა და ადამიანების გამჭვირვალობა,** რომლებიც თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით გამოირჩევიან.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



არიან ადამიანები, რომლებსაც **პოლიტიკურ აზროვნებაში ანთებითი პროცესები აქვთ დაწყებული,** რას ვიზამთ, დემოკრატიული საზოგადოება ვართ და ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს.

„პირველი არხი“

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



რადიკალურ ოპოზიციაში პოლიტიკური პარტიები არ არიან — **ისინი აგენტების კანტორას წარმოადგენენ** და კანტორაში ვინ როგორ გადალაგდება, ვინ რა დავალებას მიიღებს, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია.

„ინტერპრესნიუსი“

**თორნიკე რიჟვაძე**
*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე*



ძალიან მნიშვნელოვანია, **26 ოქტომბერს შევძლოთ დამაჯერებელი გამარჯვების მიღწევა** კონსტიტუციური უმრავლესობით.

„ინტერპრესნიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



პირდაპირ ჩანს, რომ ხდება ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან **თანხების შემოტანა საზღვარგარეთიდან** ქართულ პოლიტიკაში.

„რეზონანსი“

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

**სხვაგვარად შეუძლებელია!**
უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებული ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას ჯანსაღი, დემოკრატიული პოლიტიკური სივრცე დავუტოვოთ, რათა საზოგადოებას არ უწევდეს არჩევანი ომსა და მშვიდობას, უცხო ქვეყნის აგენტებსა და ქართველი ხალხის ინტერესების გამტარებელ პოლიტიკურ გუნდს შორის და არჩევანს კარგსა და უკეთესს შორის აკეთებდეს.

**ამიტომაც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ისევე, როგორც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს!**

პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ, ქართველი ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერით, „ქართულ ოცნებას“ ხელთ ჰქონდეს ყველა ბერკეტი საქართველოში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებისა და გამართული დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების ჩამოყალიბებისათვის.

და თქვენს მხარდაჭერაში დარწმუნებული, პირადად გაძლევთ პირობას, მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ — იქცევა რეალობად ქვეყნისა, ასე ძალიან რომ გვიყვარს, ქვეყნისა, რომელიც არის და იქნება დამოუკიდებელი, თავად განსაზღვრავს საკუთარი ხალხის ბედს და მისი აღმატებულება ქართველი ხალხის გარდა არავის მისცემს უფლებას, უკარნახოს, რა არის საქართველოსთვის კარგი, რისი უნდა გვწამდეს და რა ღირებულებებით უნდა ვიცხოვროთ!

**ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავჭრათ პრობლემა, რომელიც ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სახით უდიდეს საფრთხეს უქმნის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რწმენისა და შვილების მომავალს. საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა.**

### ვეღარავინ უნდა ბედავდეს ცხოვრების გაუკუღმართებული წესის პროპაგანდას, რაც დღეს უკონტროლოდ მოედინება რადიკალური ჯგუფების მიერ მართული მედიიდან.

გასულმა წლებმა დაადასტურა, რომ მე და ჩემი გუნდი ვართ გარანტი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ აგრესიულმა უმცირესობამ თუნდაც ვერბალურად იძალადოს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაზე.

ისტორიულად, ჩვენი ქვეყნის ერთიანობა მთავარი საზრუნავი იყო გურულებისათვის. თქვენ დიდი ღვაწლი გაქვთ სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს გაერთიანებაში. ამ მხრივ ახლაც განსაკუთრებული მომენტი გვიდგას — **ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად. მმართველ გუნდს ამისათვის მაქსიმალური ლეგიტიმაცია სჭირდება.** გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ მონიჭებული თითოეული მანდატი არის საქართველოს გაერთიანებისთვის მიცემული ერთი ხმა.

სწორედ ამიტომ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება **საკონსტიტუციო უმრავლესობა,** რადგან ჩემ მიერ ჩამოთვლილი საკითხები — დამნაშავე პოლიტიკური აგენტურის გასამართლება და პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება, ფსევდოლიბერალური ღირებულებებისგან ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების დაცვა და მზადება საქართველოს გასაერთიანებლად, სწორედ რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაშია შესაძლებელი.

გასულ დღეებში ჩვენ გაგაცანით საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა განხორციელებასაც **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მიღების შემდეგ ვგეგმავთ და იქვე აღვნიშნეთ, რომ იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესათანხმებლად კონსულტაციები გვესაჭიროებოდა. მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციები წარმატებით დასრულდა და გვინდა, წარმოგიდგინოთ კიდევ ერთი საკონსტიტუციო ცვლილება, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი არჩევნების შემდეგ განახორციელებს.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ისტორიულად ამაყობს, ერთი მხრივ, რელიგიური ტოლერანტობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობით, რომელიც, მამულთან და ენასთან ერთად, ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ არ წყდება თავდასხმები მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რისი მიზანიც სწორედ საქართველოს იდენტობის შერყევაა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლიდან მოქმედი კონსტიტუციური ჩანაწერი რელიგიისა და ეკლესიის შესახებ სათანადოდ არ ასახავს იმ როლს, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია ქვეყნის ცხოვრებაში ასრულებს.

### იმისათვის, რომ მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური სტატუსი კიდევ უფრო გამყარდეს და კონსტიტუციურმა ჩანაწერმა არსებული სინამდვილე უფრო ზუსტად ასახოს, საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებლობის, როგორც ქართული სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის მისია მკაფიოდ აისახება.

აგრეთვე ხაზი გაესმება მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში.

რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია სრულად განამტკიცებს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობისა და რწმენის თავისუფლების პრინციპებს.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ეკლესიას, უწმინდესსა და უნეტარესს, მღვდელმთავრებს ჩვენი ინიციატივის მხარდაჭერისთვის ისევე, როგორც, საზოგადოდ, იმ წვლილისთვის, რომელიც მათ საქართველოს თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებაში შეაქვთ.

**ძვირფასო გურულებო!** თქვენი შემხედვარე, მტკიცედ მჯერა, რომ დამაჯერებლად გავიმარჯვებთ და ერთად შევქმნით ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს! **ჩემო გურულებო, მოგიწოდებთ, თქვენი, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ, ის მრავალი ხმა, ის პოლიფონია, თქვენს გასაოცარ კრიმანჭულში რომ ისმის, გავაერთიანოთ და 26 ოქტომბერს ქართველი ხალხის, საქართველოს და ქართული ოცნების გამარჯვების სიმღერად ვაქციოთ!**



## „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა ოზურგეთში წინასაარჩევნო შეხვედრაზე

## საქართველოში ვერავინ უნდა დააყენოს ეჭვქვეშ ქართველი დედის დედობა და ქართველი მამის მამობა!

## ბიძინა ივანიშვილი:

# ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად!

## გახსოვდეთ, რომ თქვენ მიერ მონიჭებული თითოეული მანდატი არის საქართველოს გაერთიანებისთვის მიცემული ერთი ხმა!

## კვირგვინოსნები

**მეუფე ნიკოლოზი**
*ახალქალაქისა და კუმურდოს და კარის მიტროპოლიტი*



**არც სახელმწიფო აპირებს,** ეკლესია რაღაცით დასაჯოს და **არც ეკლესია აპირებს,** სახელმწიფოს საქმეებში ჩაერიოს.

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ივანიშვილმა** მოინდომა ერთადერთი, **მის სრულ კონტროლს მიღმა დარჩენილი ინსტიტუტის განადგურება.** საქმე ეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მან განიზრახა საქართველოში **მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება,** ეს კი ნიშნავს, რომ მას შეეძლება, **დანიშნოს და გაათავისუფლოს პატრიარქი,** ეპისკოპოსები, სუს-ის კონტროლის ქვეშ შეიყვანოს წმინდათაწმიდა ზიარება.

„რეზონანსი“

**ლალი მოროშკინა**
*პოლიტოლოგი, პროფესორი*



**მიშამ ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა!** შენ არ იყავი, დღე და ღამე პატრიარქს რომ აგინებდი? **გაგლეჯილ კაიფში მის სავარძელში რომ ჩაეძნეყვე?**

ივანიშვილი **თავად მიშასაც კი არ სჯის ჭეროვნად,** თორემ ამდენ სიბილწეს არ ილაპარაკებდა. ამაშია საქმე!!!

„ლიდერი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ეკლესიას თავისი ინტერესი აქვს,** „ოცნება“ მათთვის **კომფორტული ძალაა.**

„ახალი თაობა“

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



არც NDI არის **თეთრი ყვავი** და არც IRI არის **ვარდისფერი პანტერა** — საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყველა ერთნაირადაა ანგარიშვალდებული, **მათი საქმიანობა გამჭვირვალე იყოს.** „ინტერპრესნიუსი“

# მესამე კენედი ხელს ადებს!

***წერილის სათაურში ნახსენები მესამე კენედი, რომელიც დღევანდელი ამერიკის მმართველ ძალას — დემოკრატიულ პარტიას ამხელს, რობერტ ფრენსის კენედი უმცროსი გახლავთ, რომელიც კენედების ცნობილი, სახელოვანი და ტრაგიკული დინასტიის წარმომადგენელია.***







ჯონ ფიცჯერალდ კენედი, რობერტ ფრენსის კენედი, რობერტ ფრენსის კენედი უმცროსი

კენედების პოლიტიკური დინასტიის ტრაგიკულობაში იმას ვგულისხმობთ, რომ **რობერტ კენედის ბიძა,** აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი **ჯონ ფიცჯერალდ კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს** მოკლეს, ხოლო **რობერტ კენედის მამა — რობერტ ფრენსის კენედი უფროსი,** რომელიც ძმის პრეზიდენტობისას ამერიკის იუსტიციის მინისტრის პოსტს იკავებდა, შემდეგ კი ამერიკის პრეზიდენტობაზეც იყრიდა კენჭს, სიცოცხლეს **1968 წლის 6 ივნისს** გამოასალმეს.

**პრეზიდენტი კენედი და მისი ძმა** ამერიკის დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და მათი შთამომავალი **რობერტ კენედი უმცროსიც** სწორედ ამ პოლიტიკურ მემკვიდრეობას აგრძელებდა, მაგრამ 2023 წლის ოქტომბერში დემოკრატებს პროტესტის ნიშნად გაემიჯნა, რადგან პარტია მის ღირებულებებსა და შეხედულებებს მკვეთრად ასცდა.

დემოკრატიული პარტიიდან წასული **რობერტ კენედი 2024 წლის 5 ნოემბერს** გასამართ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით გეგმავდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ საარჩევნო კამპანია შეწყვიტა და მხარდაჭერა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატ **დონალდ ტრამპს** გამოუცხადა.

**აშშ-ის პრეზიდენტობის აწ უკვე ყოფილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა კენედიმ,** რომელსაც ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ამომრჩეველთა 7 პროცენტი უჭერდა მხარს, განაცხადა — გულის სიღრმეში აღარ მჯერა, რომ არჩევნების გამარჯვების რეალური შესაძლებლობა გამაჩნიაო და დასძინა:

> ***„ჩვენი გამოკითხვები მუდმივად აჩვენებდა, რომ იმ შტატებში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს, საარჩევნო ბიულეტენში თუ დავრჩები, არჩევნებში გამარჯვებას გადავცემ დემოკრატებს, რომლებსაც ცენზურის, ომისა და ქრონიკული დაავადებების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში არ ვეთანხმები“.***

შესაბამისად, **რობერტ კენედის** გადაწყვეტილებით, მისი გვარი საარჩევნო ბიულეტენიდან იქნება ამოღებული ამერიკის 10 შტატში, სადაც დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის ყველაზე დაძაბული კონკურენციაა და **კამალა ჰარისი დონალდ ტრამპს** მცირე პროცენტით უსწრებს.

**რობერტ კენედი უმცროსი** ამერიკის დემოკრატიულ პარტიას სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში, უკრაინის ომის პროვოცირებასა და ამერიკის მომავალი თაობების წინააღმდეგ დამღუპველი პოლიტიკის წარმოებაში ადანაშაულებს, ყოველივე ამის აღმოფხვრის საშუალებად კი **ტრამპის** გაპრეზიდენტება მიაჩნია და ამიტომაც მოხსნა კანდიდატურა მის სასარგებლოდ.



კამალა ჰარისი, ჯო ბაიდენი, ენტონი ბლინკენი

## აი, ვინ არის სინამდვილეში გლობალური ომის პარტია!

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **რობერტ კენედიმ** ამერიკელ დემოკრატებს, ანუ **ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციას** პირდაპირ უწოდა **ომის პარტია:**

> ***„ის ომის, ცენზურის, კორუფციის, დიდი ფარმაცევტული და ტექნოლოგიური კომპანიებისა და დიდი ფულის პარტია გახდა“.***

არადა, როცა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები **გლობალური ომის პარტიის** შესახებ საუბრობენ, ნაცოპოზიციის წარმომადგენლები ქირქილს იწყებენ — აბა, ერთი გვაჩვენეთ, სად არის და ვინ არის ეს **გლობალური ომის პარტია,** რომელიც ვითომ ომში გვითრევს და **მეორე ფრონტის** გახსნას გვაძალებსო!

სინამდვილეში, ყველაზე კარგად სწორედ კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ — ამ **„მეხუთე კოლონამ“** იცის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ **„გლობალურ ომის პარტიად“** წოდებული ძალა ამერიკის დემოკრატიული პარტია, ანუ **ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციაა,** რომელმაც ნატოს გაფართოების ავანტიურისტული იდეით უკრაინა რუსეთთან ომის პოლიგონად გადააქცია.

ცხადია, საქართველოს ხელისუფლება ღიად და გახსნილად ვერ ისაუბრებს იმაზე, რომ გლობალურ ომის პარტიაში აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია იგულისხმება, რადგან ამის თქმა ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოებას უდიდესი რისკის ქვეშ დააყენებს, მაგრამ **საქართველოს ყველა ჭკუათამყოფელმა მოქალაქემ ისედაც მშვენივრად უწყის, რომ სწორედ ბაიდენ-ჰარისის ხელისუფლება და ამერიკის დემოკრატიული პარტია ლაპარაკობს უკრაინის მთავრობის იმ მაღალჩინოსნების პირით, რომლებიც საქართველოს უკიჟინებენ — სოხუმსა და ცხინვალში ტანკებით გაისეირნეთ და რუსეთს მეორე ფრონტი გაუხსენით, რათა რუსული ჯარი მხოლოდ უკრაინელების ხოცვით არ იყოს დაკავებულიო!**

საქართველოს ყველა გონიერი მოქალაქე იმასაც კარგად ხვდება, რომ უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში, აშშ-ის მაშინდელი ელჩი **კელი დეგნანი** ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციაში ფინჯან ყავასთან საჭორაოდ არ მისულა და მათი სამსაათიანი საუბრის თემა სწორედ **მეორე ფრონტის** გახსნა და საქართველოს ომში ჩართვა იყო. რასაკვირველია, **ივანიშვილს დეგნანის** პირით ამერიკის მმართველი ძალა — დემოკრატიული პარტია ელაპარაკებოდა და იმის გაკეთებისკენ მოუწოდებდა, რაც სააკაშვილს 2008 წლის აგვისტოში გააკეთებინეს!

ამერიკის ხელისუფლებაში მყოფი ომის პარტია ლაპარაკობდა **პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის** პირითაც, როცა მან უკრაინაში ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში თავის რეზიდენციაში მიპატიჟებულ **ირაკლი კობახიძესა და შალვა პაპუაშვილს** უთხრა — **ხომ ხედავთ, ზელენსკი მსოფლიოს გმირია და თქვენ რას აკეთებთო!**

გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც **მეორე ფრონტის** გახსნასა და ქვეყნის ომში ჩართვაზე უარის თქმით ისედაც ლომის ხახაში ჩაყო თავი, ამერიკის დღევანდელ ხელისუფლებას, როგორც **ომის პარტიას,** პირდაპირ ვერ დაადებს ხელს, მაგრამ, რასაც ვერ აკეთებს „ქართული ოცნება“, აკეთებს **რობერტ კენედი უმცროსი,** რომელმაც **ბაიდენ-ჰარისის ადმინისტრაციას** მისი ნამდვილი სახელი — **ომის პარტია დაარქვა!**

**მესამე კენედიმ,** რომლის მამა და ბიძა გასული საუკუნის 60-იან წლებში სწორედ **ომის პარტიამ** მოკლა, ტრამპის სასარგებლოდ კანდიდატურის მოხსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა იმისკენ, რომ 2024 წლის 5 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის პარტიის მმართველობა დასრულდეს!

თუმცა, ამერიკაში **ომის პარტიის** მმართველობის დასრულებამდე ორი კვირით ადრე, 2024 წლის 26 ოქტომბერს, ქართველმა ხალხმა საქართველოში **ომის პარტიის აგენტურა** — კოლექტიური ნაცმოძრაობა უნდა დაასრულოს!

შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ასეთი მნიშვნელოვანი და ეგზისტენციური მისია ქართველ ხალხს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გამართულ არცერთ არჩევნებზე არ ჰქონია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**რაჟდენ კუპრაშვილი**
*ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი*



მივმართავთ ყველა ორგანიზაციას, მათ შორის, **„ენდიაის“ და „აირაის“,** რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ ობიექტურ დამკვირვებლებს არჩევნებში — **უზრუნველყოფილ იქნეს თქვენ მიერ გაცემული გრანტების გამჭვირვალობა** იმ მიზნით, რომ დაფინანსებული ღონისძიებები არ იყოს გამოყენებული პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად.

„რეზონანსი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



დიდი ხანია, **საზოგადოება ნაცმოძრაობის გასამართლებას ითხოვს,** საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება შესაძლებელს გახდის, ეს დანაშაულებრივი პოლიტიკური ძალა **ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდეს.**

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



ჩვეულებრივი სტანდარტია, როცა **ადამიანს უნდა აეკრძალოს პოლიტიკასთან გაკარება,** თუ ქვეყნისთვის ისეთი ზარალი აქვს მიყენებული, როგორებიცაა **ადამიანური მსხვერპლი, ტერიტორიების ოკუპაცია.**

„პირველი არხი“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი*



რასაც ჩვენ **10-15 წლის წინ ვამბობდით,** დღეს ზუსტად ამ იდეებს გვთავაზობენ, მაგრამ — **12 წლის დაგვიანებით.** არჩევნების მერე არაკონსტიტუციურად გამოვაცხადებთ ნაცმოძრაობასო... აბა, გაიაზრეთ: **თუ პარლამენტში შევა პარტია და გახდება საპარლამენტო, ხოლო დეპუტატები შეიძენენ იმუნიტეტს, მათი გაუქმება როგორ მოხდება?!** ეს ხომ დიდი ტყუილი და სისულელეა!

„რეზონანსი“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–36*



# ლაზარე ჯორბენაძე: ვანო მერაბიშვილმა ხელისუფლებას ნაცმოძრაობის დაშლის პირობა მისცა და ეს პირობა შეასრულა!

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე არაჟნის კონტეინერში სააკაშვილის ჩასმისა და უკრაინიდან საქართველოში შემოპარების საზოგადოებისთვის უცნობ დეტალებს ასაჯაროებს და იმ ასტრონომიულ თანხებს ასახელებს, რომელიც ნაცმოძრაობამ საქართველოდან ოფშორებში დააბინავა:***



— ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურებმა სააკაშვილი უკრაინაში ოდესის გუბერნატორად რომ გაამწესეს, პარალელურად **ხატია დეკანოიძეს** მთელი უკრაინის საპატრულო პოლიცია ჩააბარეს, რითიც სააკაშვილსა და მის ხროვას ამხელა ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დახურულ ინფორმაციებზე წვდომის საშუალება მისცეს. ამავდროულად, **ზურაბ ადეიშვილი** უნგრეთიდან უკრაინაში გადმოაბარგეს და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი გახადეს. ეს სამჯერ გასამართლებული კაცი, რომელსაც ცხრაწელიწად-ნახევარი აქვს მისჯილი, დღესაც უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველია და ე.წ. რეფორმების ჯგუფს ხელმძღვანელობს, რომელმაც უკრაინის პროკურატურაში რეფორმები უნდა გაატაროს. სინამდვილეში, ამერიკის სპეცსამსახურების ხელდასხმით, უკრაინის პროკურატურას სწორედ **ზურაბ ადეიშვილი** განაგებს. იქვე არის ადეიშვილის ხელისბიჭი **დავით საყვარელიძეც,** რომელიც კარგა ხნის განმავლობაში უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე იყო. უკრაინაში სამხედრო საქმეს კურირებს ე.წ. გენერალი, უვიცი **ბიბი ქალანდაძე,** რომელსაც ორჯერ არა აქვს თოფი ნასროლი, მაგრამ ყველაზე მთავარი კადრი, რომელმაც პირდაპირი მონაწილეობა მიიღო სააკაშვილის არაჟნის კონტეინერში ჩასმასა და საქართველოში შემოპარებაში, არის ადეიშვილის კიდევ ერთი ხელისბიჭი **გია ლორთქიფანიძე,** რომელიც დღეს უკრაინის კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსის მოადგილეა, ანუ ლორთქიფანიძეს უკრაინაშიც ის თანამდებობა უჭირავს, რაც საქართველოში ვანო მერაბიშვილის მოადგილეობის დროს ეჭირა.

**— გია ლორთქიფანიძეც ადეიშვილის კადრია?**

— რა თქმა უნდა! **ზურაბ ადეიშვილს** ყველა სტრუქტურაში ჰყავდა თავისი კადრები. მაგალითად, კუდ-ში ადეიშვილის კადრები იყვნენ **სოსო თოფურიძე და გია ლორთქიფანიძე,** ხოლო პროკურატურაში — **დათო საყვარელიძე, მურთაზ ზოდელავა და ნიკა გვარამია.** გია ლორთქიფანიძე კუდ-ის უფროსის მოადგილეობიდან **ვანო მერაბიშვილის** მოადგილედ სწორედ **ადეიშვილმა** დასვა, როგორც თავისი ხელისბიჭი, ხოლო თავდაცვის სამინისტროში **ზურაბ ადეიშვილის** ხელისბიჭი იყო გენერალი **ზაზა გოგავა,** რომელმაც 7 ნოემბერს ჯარს ხალხი აცემინა!

**— მოკლედ, ადეიშვილი ყველა სტრუქტურას აკონტროლებდა?**

— დიახ, აკონტროლებდა და ყველგან თავისი ხელისბიჭები ჰყავდა! მაგალითად, **გია ლორთქიფანიძე,** რომელმაც სააკაშვილი კონტეინერში ჩასვა და საქართველოსკენ გამოისტუმრა, **ადეიშვილისა** და **ჩემი ძმის** თანაკურსელია. მთელი ამ დესანტის გადასხმა უკრაინაში ამერიკის სპეცსამსახურებმა განახორციელეს იმისთვის, რათა უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაერთოთ, ანუ სააკაშვილმა, რომელიც ახალგაზრდობის დროს უკრაინაში საბჭოთა „კაგებემ“ „დაავერბოვკა“ და მერე ამერიკის სპეცსამსახურების აგენტი გახდა, უკრაინაში დიდი მასშტაბით შეასრულა ის საქმე, რაც 2008 წელს საქართველოში გააკეთა. კერძოდ, **როგორც 2004 წლის ზაფხულში ცხინვალში გაითამაშეს „მცირე ომის“ სცენარი რუსეთთან შეთანხმებით, სწორედ ის განახორციელეს 2014 წელს უკრაინაშიც და დიდი ომისთვის მოამზადეს სიტუაცია.** ამის შემდეგ, როგორც საქართველო ჩაითრიეს 2008 წლის აგვისტოს ომში, სწორედ ის გაიმეორეს უკრაინაშიც. რეალურად თუ განვსჯით, ამერიკის სპეცსამსახურების მიერ უკრაინაში დასმულმა **სააკაშვილმა და მისმა ხროვამ** გააკეთეს რუსეთის საქმეც, ამერიკის საქმეც და უკრაინა გაწირეს!

**— მოდით, მივუბრუნდეთ სააკაშვილის არაჟნის კონტეინერში ჩასმისა და საქართველოში შემოპარების ისტორიას! ვინ დაგეგმა და შეასრულა ეს ყველაფერი?**

— საქართველოში სააკაშვილის არაჟნის კონტეინერით შემოპარებას წინ უსწრებდა სახელმწიფო გადატრიალების ორი მცდელობა, რომელიც ჩაფლავდა. სააკაშვილი დაარწმუნეს — თუ საქართველოში ჩამოვიდოდა, თბილისში დახვდებოდა, სულ მცირე, 200 ათასი კაცი მაინც, რაც იქნებოდა იმის გარანტია, რომ მოხდებოდა კიდევ ერთი რევოლუცია და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება დაემხობოდა, მაგრამ ამის პარალელურად აქ მიდიოდა ორმაგი თამაშიც, რაც უკავშირდება **ვანო მერაბიშვილს.** გაგახსენებთ მასთან დაკავშირებულ სკანდალს, როცა ვანოს ვითომ „მეშოკი“ ჩამოაცვეს თავზე და ასე მიიყვანეს მთავარ პროკურორ **ოთარ ფარცხალაძესთან. ვანო მერაბიშვილი მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესთან მართლაც მიიყვანეს, მაგრამ სინამდვილეში თავზე ქუდი დაახურეს, რათა ვინმეს არ ეცნო.**



**„პატიმარი მერაბიშვილი ოთარ ფარცხალაძესთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ დიმიტრი დარბაისელმა მიიყვანა!“**

**— ვინ მიიყვანა მერაბიშვილი ფარცხალაძესთან?**

— პატიმარი **ვანო მერაბიშვილი** ოთარ ფარცხალაძესთან პირადად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ **დიმიტრი დარბაისელმა** მიიყვანა, რომელიც სასჯელაღსრულებაში თავიდან — **მერაბიშვილის,** ხოლო შემდეგ **ახალაიების** კადრი იყო. არც **ოთარ ფარცხალაძე** გახლდათ **ვანო მერაბიშვილისთვის** უცნობი. როცა იგი შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, ფარცხალაძე კეზერაშვილის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

**— რისთვის მიიყვანეს მერაბიშვილი ფარცხალაძესთან?**

— ხელისუფლებას **მერაბიშვილისგან** სჭირდებოდა ინფორმაცია **სააკაშვილის, კეზერაშვილისა და ადეიშვილის** მიერ უცხოურ ოფშორებში გადაქაჩული მოპარული მილიარდების შესახებ. **ვანო მერაბიშვილმა** სააკაშვილი, ადეიშვილი და კეზერაშვილი არ ჩაუშვა, ოფშორების ანგარიშები არ გათქვა და ციხეში ჩაჯდა, მაგრამ თქვენ რომ განახათ, სად იჯდა ვანო, ეგ ციხე კი არა, მაღალი კლასის ლუქსია, სადაც მერაბიშვილს ჰქონდა ტელევიზორი, მაცივარი, ინტერნეტი, დუშკაბინა, მისაღები, საძინებელი, დივანი, სავარძლები... ეს იყო გაწკრიალებული სამოთახიანი ბინა. ზუსტად ანალოგიურ პირობებში იხდიდა სასჯელს **ბაჩო ახალაიაც.** უფრო მეტიც, **ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას ისე უფრთხილდებოდნენ, დაცვის კადრებიც კი მათთან იყო შეთანხმებული.**

**— საინტერესოა, ასე რატომ უფრთხილდებოდნენ ამ მწვალებლებსა და ქვეყნის დამაქ-**





დიმიტრი დარბაისელი, ოთარ ფარცხალაძე

## კვირგვინოსნები

**ანზორ თოთაძე**
*პროფესორი, დემოგრაფი*



თითქმის ორი ათეული წელია, **ლიბერალი, უზნეო, უსამშობლო ნაციონალთა მხრიდან** მასობრივი შეტევა მიდის საკაცობრიო ღირებულებებზე — **სამშობლოს სიყვარულზე, ოჯახზე, რწმენასა და ტრადიციებზე.** ნაციონალები არაფერს დაგიდევენ, ოღონდ თავიანთ საწადელს მიაღწიონ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ზაალ კასრაშვილი**
*პოლიტოლოგი*



ბოლო 100 წლის განმავლობაში **პირველად დაიბრუნა საქართველომ თავისი ფუნქცია და დანიშნულება,** ანუ მისია. ჩვენ ვჭირდებით **აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, ჩრდილოეთსაც და სამხრეთსაც.**

უდიდესი მანქანაა ამუშავებული **არჩევნების დისკრედიტაციისათვის,** რაც ყველა ქვეყანაში აპრობირებული მექანიზმია **„რევოლუციური სცენარის“** მოსამზადებლად!

„თბილისელები“

**ბიძინა გიორგობიანი**
*საზოგადოებრივი მოძრაობა „ქრისტიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*



**პოლიტიკურ შარლატანებსაც** მოუწიათ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მოწერა, მათ შორისაა **ბადრი ჯაფარიძე,** რომელიც პუტჩის დაწყებისთანავე გადაბარგდა **ბეპაევის და კიტოვანის ომის პარტიაში.**

„იმედინიუსი“

**თორნიკე მოლაშვილი**
*სულხან მოლაშვილის ძმა*



არცერთ ადამიანს, **სააკაშვილით დაწყებული და მისი კრიმინალური ბანდით გაგრძელებული,** აზრადაც არ მოსვლიათ, ეთქვათ, რომ 2008 წელს დანაშაული არ ჩაუდენიათ. **მათ სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოთ,** ამ ვერდიქტს ითხოვს ქართველი ხალხი.

„იმედინიუსი“

# „ზურაბ ადეიშვილის გეგმით, სააკაშვილი აუცილებლად ციხეში უნდა ჩამჯდარიყო, რათა მოეხდინათ ხალხის პროვოცირება და მერე სახელმწიფო გადატრიალება!“

ცევრებს?

— ადრეც გითხარით და კიდევ ვიმეორებ: იმისათვის, რომ **ბაჩო ახალაია** თავის მიერ ნაწამებ კანონიერ ქურდებს არ მოეკლათ და **დათა ახალაია** არ დაეჭირათ, **ბაჩო** ჩაჯდა ციხეში და გადაიხადა 20 მილიონი ამერიკული დოლარი, ხოლო **ვანო მერაბიშვილმა** ხელისუფლებას ნაცმოძრაობის დაშლის პირობა მისცა და **ეს პირობა შეასრულა და ნაცმოძრაობა ისე არია, ველარ ლაგდებიან!** რისთვის გაასამართლეს ვანო მერაბიშვილი? ფაქტობრივად, იდიოტობისთვის! კაცმა ქვეყანა დააქცია, იმდენი უბედურება დაატრიალა და **გია ქრიალაშვილისა** და სხვა უამრავი ადამიანის მკვლელობისთვის მისთვის ბრალი არავის წაუყენებია. **ეს იყო გარიგება!**

**— კი მაგრამ, ვანო მერაბიშვილს ხომ შეეძლო, ადეიშვილის მსგავსად, ქვეყნიდან საერთოდ გაქცეულიყო?**

— „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასთან **ვანო მერაბიშვილს** ჰქონდა პირადი ურთიერთობა და ეგონა, არ შეეხებოდნენ. ალბათ, ასეც იქნებოდა, მაგრამ **მერაბიშვილს** მოსთხოვეს ოფშორების ანგარიშების დასახელება, რაც მან არ გააკეთა და ამიტომაც სტაცეს ხელი. როგორც ვიცი, ხელისუფლება **ვანო მერაბიშვილს** 7 მილიარდი დოლარის ანგარიშებს სთხოვდა!

**— ანუ სააკაშვილსა და მის ხროვას 7 მილიარდი აქვთ მოპარული?**

— სააკაშვილს თავის ხროვასთან ერთად, საერთო ჯამში, **16-17 მილიარდი** აქვს მოპარული, რომელიც სხვადასხვა პირებზეა გადანაწილებული. მაგალითად, 2 მილიარდი დოლარი **ადეიშვილის** ერთ ანგარიშზეა ჩარიცხული, ხოლო 3 მილიარდი — მეორე ანგარიშზე; 2 მილიარდი და კიდევ სხვა თანხები **ვანო მერაბიშვილის** ანგარიშებზეა; **კეზერაშვილის** ანგარიშებზე 3 მილიარდი და სხვა ფულიც არის; სააკაშვილის ნათესავების ანგარიშებზე დაახლოებით 5 მილიარდი დოლარია გადაქაჩული! არ დავასახელებ და ჩემი ნაცნობ-მეგობრების, ძირითადად, ნაციონალი პარლამენტარების ანგარიშებზე იყო ჩარიცხული სააკაშვილის მიერ მოპარული მილიონები. საერთოდ, მაგათი ძირითადი ბანკირი იყო **კეზერაშვილი,** რომელიც ყველაზე მეტ ფულს იპარავდა. თუ **ვანო მერაბიშვილი** ამ თანხების ადგილსამყოფელს დაასახელებდა, ვანო დარჩებოდა ხელშეუხებელი. სხვათაშორის, მთელი თანხის დაბრუნებაზე არც იყო საუბარი, დაახლოებით 4 მილიარდის დაბრუნებას ითხოვდა ხელისუფლება. ეს არის იმ თანხის ნახევარი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გაშიფრა, თორემ დანარჩენ 10 მილიარდ დოლარს, რომელიც სააკაშვილს ქვეყნიდან გატანილი და ოფშორებში დაბინავებული აქვს, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ მიაგნო! ეს სულ **კეზერაშვილის, ადეიშვილის, კუდ-ის, ახალაიების, კოდუების, ვანო მერაბიშვილისა** და პირადად **სააკაშვილის** მიერ ნაძარცვ-ნაგლეჯი თანხებია. ეს ფული სხვადასხვა ანგარიშზე იყრიდა თავს, მაგრამ სააკაშვილი ყველაფრის საქმის კურსში იყო. ეს თანხა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ დაიბრუნა, ვერ ამოიღო, დღემდე ოფშორებშია, თორემ გულწრფელად გეუბნებით,

## ივანიშვილს რომ ეს თანხები ამოეღო, ეჭვი არ მეპარება, რომ ქართველ ხალხს მოახმარდა და ქვეყანა ძალიან წინ წავიდოდა.

მერაბიშვილი ციხიდან გამოვიდა თუ არა, მაშინვე შვეიცარიაში ჩაფრინდა, სადაც **კეზერაშვილს** შეხვდა. შეხვედრა ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — ფულის გადანაწილებას, რადგან ნაცმოძრაობის „ობშიაგის“ ფული კეზერაშვილს ებარა. ახლა უკვე „ობშიაგს“ კეზერაშვილთან ერთად ვანოც განაგებს.




## „სააკაშვილს თავის ხროვასთან ერთად, საერთო ჯამში, 16-17 მილიარდი აქვს მოპარული, რომელიც სხვადასხვა პირებზეა გადანაწილებული!“




**— მერედა, სააკაშვილი?**

— საქმეც ის არის, რომ **კეზერაშვილსა და მერაბიშვილს** სააკაშვილი ფეხებზე ჰყავთ დაკიდებული, რადგან ნაპარავი მილიარდები, ძირითადად, სწორედ მათ ხელშია. მიშა ციხიდან ვეღარაფერს შვრება, რადგან ფულზე ხელი არ მიუწვდება. მას დარჩა მხოლოდ ის ფული, რაც ახლობლების ანგარიშებზეა ჩარიცხული, თორემ ძირითად „ობშიაგს“ **მერაბიშვილი და კეზერაშვილი** აკონტროლებენ. იქით კიდევ **ადეიშვილი** არის ჩაფრენილი თავის სახელზე გადამალულ მილიარდებს.

**— შესაძლებელია თუ არა, რომ ამ ფულის გამო მათ შორის სისხლი დაიღვაროს და ვილაცების თავები დაგორდეს?**

— ეს არ მოხდება და გეტყვით რატომ: **ესენი ისეთი ღრმა კრიმინალები არიან, რომ ამ ფულით ქართულ პოლიტიკას აკონტროლებენ!**

## „ქართულ ოცნებას“ ჰგონია, პოლიტიკას აკონტროლებს, მაგრამ სინამდვილეში საქართველოში პოლიტიკას აკონტროლებს ნაცმოძრაობა და ამას აკეთებს სწორედ ნაპარავი მილიარდებით.

დააკვირდით, ევროპაში რაც ფული მოძრაობს, სულ ნაცების მილიონებია. ევროსაბჭო, ევროკავშირი, ევროკომისია რა განცხადებებსაც აკეთებს, ამერიკაში რა განცხადებებიც კეთდება, ყველაფრის უკან სააკაშვილისა და მისი ბანდის მიერ მოპარული მილიარდებია. აი, ეს ფული აკეთებს ამ ანტიქართულ განცხადებებს და გეგმავს არეულობებს.

**— ფაქტია, რომ სააკაშვილი მოატყუეს და კონტეინერში ჩასვეს. მაინც როგორ მოატყუეს სააკაშვილი?**

— სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლამდე უკრაინაში ჩასულ **მელიასა და გვარამიას** ხვდებოდა. ერთიც და მეორეც „ქართული ოცნების“ მიერ იყო „დავერბოვკებული“. **ჩემი ინფორმაციით, სწორედ მათ შეიტანეს ლომის წილი სააკაშვილის საქართველოში ჩამოტყუებასა და დაგოლებაში.** ნიკა მელიას მეორეჯერ დაჭერა იმ ფონის შექმნას ემსახურებოდა, რომ თითქოს მას ნამდვილად დევნიდნენ, ხოლო **გვარამია** რომ დაიჭირეს, სიცილ-ხარხარით შევიდა ციხეში და სიცილ-ხარხარით გამოვიდა.

**— ანუ მელია და გვარამია მოღალატეები არიან?**

— არა, მათ უნდოდათ პროვოკაციის მოწყობა და ამ პროვოკაციაზე ხალხის წამოგება! მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ სააკაშვილს არავითარი 200 და 300 ათასი კაცი თბილისში არ დახვდებოდა, მაგრამ, თუ სააკაშვილს დაიჭერდნენ, მაშინ იმედოვნებდნენ, რომ ხალხი მიშას ციხეში გაშვებას არ დაუშვებდა და აჯანყება დაიწყებოდა! მოკლედ, სააკაშვილის დამბოლებლები ანგარიშში მოტყუვდნენ. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ჩასვა სააკაშვილი არაჟნის კონტეინერში — **მიშა არაჟნის კონტეინერში გია ლორთქიფანიძემ ჩასვა!** ეს ყველაფერი კი ისეთი გარეწრისა და მამაძაღლის თავშია მოფიქრებული, როგორიც **ადეიშვილია.** მან ძალიან კარგად იცოდა, რომ **სააკაშვილს** საქართველოში არავინ დახვდებოდა, მაგრამ ეს იყო პროვოკაცია, რათა ხალხი ქუჩაში ამ გზით მაინც გამოეყვანათ და გადატრიალება მოეხდინათ. მადლობა ღმერთს, ხალხი ამ პროვოკაციას არ აჰყვა და გადავრჩით, თუმცა, „ქართულმა ოცნებამ“ აქაც გამოავლინა ბედოვლათობა და კაცი, რომელიც, სულ მცირე, ოცი წლით მაინც უნდა მჯდარიყო ციხეში, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მოათავსა და მხოლოდ ექვს-ნახევარი წელი მიუსაჯა!

**— ჩვენმა სპეცსამსახურებმა ადეიშვილისა და გია ლორთქიფანიძის მიერ დადგმული პროვოკაციის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ?**

— ჩვენი სპეცსამსახურები ბაიბურში არ იყვნენ და სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა ამ სულელმა ვიდეოკადრები გაასაჯაროვა — **აგერ ვარ, ბათუმშიო!** თავდაპირველად არც სჯეროდათ, სააკაშვილი რომ ბათუმში იყო და ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი ეგონათ. მოკლედ, **ზურაბ ადეიშვილის** გეგმით, სააკაშვილი აუცილებლად ციხეში უნდა ჩამჯდარიყო, რათა მოეხდინათ ხალხის პროვოცირება და მერე სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ პროვოკაციამ არ იმუშავა და გეგმა ჩაფლავდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



პარტიას **არაკონსტიტუციურად** აცხადებს **საკონსტიტუციო სასამართლო.** ამისთვის სარჩელის შეტანის შესაძლებლობა აქვთ პარლამენტარებს. **„ქართულ ოცნებას“ რეალურად ამის გაკეთება რომ სურდეს, მას არაფერში არ სჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა.**

„რეზონანსი“

**დავით ბერძენიშვილი**
*რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



**ივანიშვილი** 2007 წლის 7 ნოემბერს **სააკაშვილისკენ** იყო, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც! **2011 წლის შემოდგომამდე ბიძინა ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი იყო.** ხმასაც აძლევდა და ფულსაც. **მიშას** მოსწყინდა მასთან რაღაცების შეთანხმება, **ბიძინამ** საფრთხე იგრძნო და გადაწყვიტა, გაერისკა და ეხელისუფლა.

„ახალი თაობა“

**ალან გაგლოევი**
*ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ლიდერი*



საქართველომ **ისწავლა გაკვეთილი,** რის გამოც **მეორე ფრონტი არ გახსნეს.**

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*



**„ოცნებას“ ბიძინა ვეღარ უშველის.**

„ახალი თაობა“

**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*



მე მაინც მგონია, რომ **ნაცმოძრაობა არის პირველი ოპოზიციონერი ძალა და ასე იქნება...** ეს არ ნიშნავს, რომ ნაცმოძრაობას ვუჭერ მხარს.

„რეზონანსი“

# „კახელები არც პრორუსები ვართ, არც — პროევროპელები და არც — პროამერიკელები, ჩვენ ქართველები ვართ და დავით ზურაბიშვილისნაირ „პროებს“ საკადრის პასუხს გავცემთ ისევე, როგორც „პრო“ ლევან ბერძენიშვილს გავეცით ერეკლე მეფის შეურაცხყოფის გამო!“

***მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ერეკლე მეფის ძეგლი აღიმართება, ნეოლიბერალური კრაზანების ბუდე ერთბაშად აიშალა და სოციალურ ქსელს შხამიანი პოსტებითა და კომენტარებით მოედო.*** *მთავრობის ინიციატივამ, რომელიც* ***პატარა კახის*** *სახელისა და ღვაწლის კიდევ უფრო მეტად წარმოჩენასა და უკვდავყოფას შეუწყობს ხელს, ზოგიერთი კვაზილიბერალი ისე დაბოღმა, რომ დაუკრეფავშიც კი გადავიდნენ და მთლიანად* ***კახეთისა და კახელების*** *შეურაცხყოფა იკისრეს. მაგალითად, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა და ლიბერალური სექტის წარმომადგენელმა* ***დავით ზურაბიშვილმა*** *დაწერა — კახეთი ყველაზე პრორუსული რეგიონია, რადგან კახელებისათვის რუსეთი, ოკუპაციაზე არანაკლებად, ღვინის გაყიდვასთან ასოცირდებაო!* ***როგორ მიიღეს კახელებმა ზურაბიშვილის ეს განცხადება და როგორია მათი პასუხი ერეკლე მეფის მოღალატედ გამომცხადებელი ლევან ბერძენიშვილისა და კახურ ღვინოში ჩამშარდავი ნიკა გვარამიას პოლიტიკური დოსტის ყიამყრალობაზე? ამ თემაზე კახეთის მკვიდრს, თელავის საკრებულოს წევრ ლევან კოჭლოშვილს ვესაუბრებით:***

— თავის დროზე **ლევან ბერძენიშვილმა** ერეკლე მეფის აუგად მოხსენიებით ანტიქართული გარე ძალების დაკვეთა შეასრულა და დარწმუნებული ვარ, **დავით ზურაბიშვილიც** ანალოგიური დაკვეთის შემსრულებელია. ალბათ, 30 ვერცხლიც ჩაუჩხრიალეს კახეთისა და კახელების შეურაცხყოფისათვის.

**— ე.ი. ზურაბიშვილის განცხადება — კახეთი პრორუსული რეგიონიაო, კახელებმა შეურაცხყოფად მიიღეთ?**



David Zurabishvili · Follow

აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს რა ილაპარაკა ბერძენშვილმა ერეკლეზე და რას ამბობდა გვარამია ტელევიზიით. ლაპარაკით ბიძინა და მისი მარიონეტები რომ ლაპარაკობენ ღლეობებს, იმისთანა უნდა, მაგრამ ამომრჩეველი მაინც ჰყავთ.

კახეთი ამის გარეშეც ხელისუფლების იყო ყველა დროში და ახლა მით უმეტეს, რამდენადაც გამოკითხვების მიხედვით ესაა ყველაზე პრორუსული რეგიონი. რუსეთი აქ ოკუპაციაზე არანაკლებადაა ასოცირებული ღვინის გაყიდვასთან.

საერთოდ, ოპოზიციური ხმები ძირითადად არის თბილისში, ასევე ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, სამეგრელოში, გურიაში და იმერეთში საჩხერის რაიონის გარდა.

დანარჩენ საქართველოში, როგორც წესი, ხელისუფლება იგებს. მთავარია პროპორციები (ანუ ხელისუფლებამ უნდა დაკარგოს ხმები იქ, სადაც ტრადიციულად იგებს და ოპოზიციამ გაზრდილი უპირატესობით უნდა მოიგოს დიდ ქალაქებში), თორემ წალკის, კასპის და შუახევის რაიონებში ოპოზიციას ცხოვრებაში არ მოუგია.





— კახელები არც პრორუსები ვართ, არც — პროევროპელები და არც — პროამერიკელები, ჩვენ ქართველები ვართ და **დავით ზურაბიშვილისნაირ „პროებს“** საკადრის პასუხს გავცემთ ისევე, როგორც „პრო“ **ლევან ბერძენიშვილს** გავეცით ერეკლე მეფის შეურაცხყოფის გამო!

**— ზურაბიშვილი ასევე წერს — კახეთი ყოველთვის ხელისუფლების მხარდამჭერი იყო და ახ-**



# «გვარამიას კახეთში ჩამოსვლის ეშინია და სწორადაც ეშინია!»

## ლევან კოჭლოშვილი:

# შევარცხვინე ყველა ის კახელი, ვინც გვარამიასა და მის პარტნიორებს ხმას მისცემს!









# „თაღლითი გიორგი ბოტკოველი, რომელიც პარტიის ყულაბიდან ფულებს ჰპარავს თავის აქტივისტებს; სისხლიანი ნაცრეჟიმის ყოფილი პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი; სისხლიანი ნაცრეჟიმის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და კახეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი – ეს არის ნაცების მთელი რესურსი კახეთის რეგიონში!“

**ლაც ასე იქნებაო! 26 ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალურ მოძრაობასა და სხვა ოპოზიციურ ჯგუფებს კახეთში წარმატების მიღწევის შანსი აქვთ?**

— 2012 წლის შემდეგ კახეთის არცერთ მუნიციპალიტეტში, არც საპარლამენტო და არც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ნაცებს არცერთი არჩევნები არ მოუგიათ. ის კი არა, დღეს უკვე არაკონსტიტუციურმა და არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა** გრიგოლ ვაშაძესთან საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში წააგო, კახეთის გარდა. შესაბამისად, ნაცები 26 ოქტომბრის არჩევნებშიც კახელებისაგან ისეთ საკადრის პასუხს მიიღებენ, როგორსაც აქამდე იღებდნენ!

თაღლითი **გიორგი ბოტკოველი,** რომელიც პარტიის ყულაბიდან ფულებს ჰპარავს თავის აქტივისტებს; სისხლიანი ნაცრეჟიმის ყოფილი პროკურორი **გიორგი ღვინიაშვილი;** სისხლიანი ნაცრეჟიმის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე **ლევან ბეჟაშვილი** და კახეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო გუბერნატორი **პეტრე ცისკარიშვილი** — ეს არის ნაცების მთელი რესურსი კახეთის რეგიონში. „ხალხის ძალიდან“ თელავის საკრებულოს წევრი გახლავართ, სამუშაო დროის ნახევარზე მეტს მოსახლეობასთან შეხვედრებს ვუთმობ, ხალხის განწყობას კარგად ვიცნობ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — **ნაცმოძრაობა და მისი განშტოებები წელს კახეთში იმაზე ბევრად ნაკლებ ხმას მიიღებენ, ვიდრე აქამდე იღებდნენ!**

**— როგორც ამბობენ, გასულ კვირას ნიკა გვარამიამ კახეთში წინასაარჩევნო შეხვედრაზე ჩასვლა ვერ გაბედა და მხარდამჭერებს პარტია „ახალის“ თანათავმჯდომარე ნიკა მელია მის გარეშე შეხვდა! მას შემდეგ, რაც კახელებს პირდაპირი ეთერიდან უყვიროდა — ჩაგი...სით** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* **ღვინოშიო, გვარამიას კახეთში ჩასვლის მართლა ეშინია?**

— დიახ, **გვარამიას** კახეთში ჩამოსვლის ეშინია და სწორადაც ეშინია! რამდენიმე კვირის წინათ თელავში ე.წ. დემოკრატიის ფესტივალი გაიმართა, რომელსაც კახელებმა აგენტების ლუსტრაციის ფესტივალი დავარქვით და **გვარამიამ** იქაც ვერ გაბედა მისვლა, რადგან იცის, რომ კახელები წმინდა სითხის — ღვინის შეურაცხყოფას არ აპატიებენ!

სიმართლე გითხრათ, ისიც მიკვირს, რომ კახეთში ჩამოსულ გვარამიას თანაპარტიელ **მელიას** კახელებმა ხელი ჩამოართვეს, თუმცა, მასთან შეხვედრაზე ძალიან მცირე რაოდენობის ხალხი მივიდა. აქვე თავს უფლებას მივცემ, თამამად განვაცხადო — **შევარცხვინე ყველა ის კახელი, ვინც გვარამიასა და მის პარტნიორებს ხმას მისცემს!**

**დარწმუნებული ვარ, 26 ოქტომბერი კახეთში და მთელ საქართველოში ნაცმოძრაობისა და მისი განშტოებების დასასრული იქნება!**

**— კახელებს გიხარიათ, რომ ერეკლე მეფის ძეგლი თელავის მსგავსად თბილისშიც აღიმართება?**

— რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია! ერეკლე **საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და საამაყო მეფეა, ხოლო ჩვენთვის — კახელებისათვის საფიცარ ხატს წარმოადგენს და დღემდე პაპას ვეძახით.** ყოველი მეორე კახელის ოჯახში ერთი წევრი მაინც ერეკლეს მოსახელეა და ამ მხრივ არც ჩემი ოჯახია გამონაკლისი.

**ნამდვილად მისასალმებელი და საამაყოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დედაქალაქში შემსვლელებს ისეთი დიადი მეფის ძეგლი შეეგებება, როგორიც ერეკლე მეორეა.**

თბილისის მერსაც და საქართველოს პრემიერ-მინისტრსაც ამისათვის დიდ მადლობას ვუხდით!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



***ერეკლე მეორის ძეგლი თელავში, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი. მისივე ესკიზის მიხედვით დაიდგმება ერეკლე მეორის ძეგლი თბილისში.***



***საქართველოს ხელისუფლებამ კახეთის გზატკეცილზე მეფე ერეკლეს ძეგლის აღმართვა გადაწყვიტა, რამაც ისედაც უკანალმოფახფახებულ და ცხრა ღობეზე გადამხტარ ოპოზიციაში გიჟური განწყობები გააღვივა და ე.წ. რადიკალებიც საეჭვოდ აფუთფუთდნენ. გვესაუბრება ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:***



***ელიზბარ ჯაველიძე:***

# ერეკლე მეფის ძეგლი საქართველოს ყველა ქალაქში, ყველა გზაზე და ყველა ქუჩაზე უნდა იდგეს!

— ოთხმოცდაშვიდი წლის კაცი ვარ და ასეთი შეტევა, რაც საქართველოს წინააღმდეგ ამერიკიდან და ევროპიდან მოდის, არ მახსოვს! ამის მიზეზია, რომ ჩვენ 3 ათასი წლის წინანდელი ტრადიციები შემოვინახეთ. **უკანასკნელ ხანს მოხიბლული ვარ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებით, რომელიც მარტივად და კარგი ქართულით უხსნის ხალხს, თუ რატომ უნდა ავირჩიოთ 2024 წლის 26 ოქტომბერს დღევანდელი ხელისუფლება.** უნაკლო ეს ხელისუფლება არ არის, მაგრამ შევხედოთ, ვინ დგას მეორე მხარეს და ვინ იბრძვის ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ესენი არამარტო უსამშობლო ხალხი, არამედ უღედო და უმამო ტრანსგენდერები არიან! აქედან გამომდინარე, ყველანი უნდა გავიდეთ და ხმა მივცეთ „ქართულ ოცნებას“, რომელსაც შესაძლოა, ძალიან ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ამ საშინელი შემოტევის პირობებში მამულს, ენასა და სარწმუნოებას მაინც იცავს. არადა, ესენი თავის დროზე რომ დაგვესაჯა, საქმე აქამდე არ მივიდოდა...

**— როგორც ჩანს, თქვენც ემხრობით იმას, რომ არჩევ-**

***გაგრძელება მე-10 გვერდზე***

## კვირგვინოსნები



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**მივესალმები ერეკლე მეფის ძეგლის დადგმას** კახეთის გზატკეცილზე — **არჩევნებსაც მოვიგებთ, ერეკლე მეორის ძეგლსაც დავდგამთ** და ის თავად გასცემს პასუხს ყველას!

„ინტერპრესნიუსი“



**ლაშა ბაქრაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი*

**ერეკლე** არის „ქართული ოცნებისთვის“ **სიმბოლო რუსეთთან კარგი ურთიერთობის** და მხოლოდ ამ თვალსაზრისით აინტერესებთ ეს დიდი მეფე.

„აიპრესი“



**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*

„ქართული ოცნების“ არჩევით ქართველი ხალხი იმ დაპირების შესრულებას მიიღებს, რაც **ნაციონალური მოძრაობის გასამართლებას გულისხმობს.** ეს იქნება დემოკრატიის ნაწილი.

„პირველი არხი“



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*

ოპოზიციის **ტყუილების და ბრალდებების ჩამონათვალი** ძალიან დიდია, მაგრამ **თითოეულ მათგანზე მათ პასუხისგება მოუწევთ** და ეს ძალიან მალე მოხდება.

„იმედინიუსი“



**ვატო შაქარიშვილი**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*

კოლექტიური ნაცმოძრაობა **უნდა გასამართლდეს, დაისაჯოს** და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცე **საბოლოოდ გაიწმინდოს ამ ტოქსიკური ძალისგან!**

„იმედინიუსი“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*

თუ **ნაცმოძრაობის რეპრესირებას ცდილობენ,** იმ ხალხიდან დაიწყონ, ვინც **სახელისუფლებო პარტიაშია შეფარებული.**

„კვირის პალიტრა“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

# ელიზბარ ჯაველიძე:
# ეს არის პედოფილების, ტრანსგენდერებისა და პედერასტების ევროპა და ამერიკა!

**ნების შემდეგ, თუ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება, ნაცმოძრაობა, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ადამიანები აწამა, 2008 წლის აგვისტოს ომში სახელმწიფო ღალატი ჩაიდინა და ძირძველი ტერიტორიები უბრძოლველად დათმო, უნდა გასამართლდეს და პოლიტიკური საქმიანობა აეკრძალოს?**

— სწორედ ამას ვემხრობი და მიმაჩნია, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი, რათა ქვეყანა ფეხზე დადგეს! თუ ჩვენ უკან დავიხევთ, გადაგვივლიან... მოგეხსენებათ, ამერიკაში არის საზოგადოება, რომელიც ერების გადაგვარების საკითხებს სწავლობს. თუ აქამდე ვიცოდით, რომ არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებში, საქართველოში ქართველი 2050 წლისთვის უმცირესობაში აღმოჩნდებოდა, დღეს ზემოხსენებული ამერიკული ორგანიზაციის დასკვნით, ეს მოხდება გაცილებით ადრე — 2032 წელს, როცა საქართველოში უფრო მეტი უცხოელი იქნება, ვიდრე — ქართველი. **აი, აქედან უნდა დავიწყოთ ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნვა!**

**— ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კახეთის გზატკეცილზე ერეკლე მეფის ძეგლს დადგამს, რასაც მოჰყვა სერიოზული აჟიოტაჟი. თქვენ როგორ უყურებთ ამ გადაწყვეტილებას?**

— სახელოვანი ერეკლე მეფის წინააღმდეგ ეს სიბინძურე დაიწყო ვითომ წიგნიერმა **ლევან ბერძენიშვილმა,** რომელიც გამოკვეთილი კაგებეშნიკია. მან ჯერ ილიას გინება დაიწყო, მერე — აკაკის, მერე — ვაჟას და სულ ბოლოს ერეკლე მეფეს მისდგა. ლევან ბერძენიშვილი და მისი ძმა ოჯახის სიწმინდეზე რომ ლაპარაკობენ, ჯერ დედამათი გაიხსენონ და მერე — მამა, რომლებიც აჭარაში დღემდე კარგად ახსოვთ! რაც შეეხება **დავით ზურაბიშვილს,** ვინ მიგდია, კახეთს შეურაცხყოფას რომ აყენებს?! კახეთი არის საქართველოს ფარი და მახვილი, რომელიც განსაკუთრებით ეწამა, მაგრამ ქრისტიანობა, ტრადიციები და ქართული სინდის-ნამუსი არ დათმო. ამ იდიოტებმა და განსაკუთრებით **ბვარამიამ,** ძალიან კარგად იციან, რომ კახეთში ვერცერთ ხმას ვერ მიიღებენ და ამიტომაც არიან გაგიჟებული.

ერეკლე მეფის ძეგლი თელავში დადგა ჩემმა მეგობარმა, ჩვენი აკადემიის წევრმა, სახელოვანმა მოქანდაკემ **მერაბ მერაბიშვილმა,** რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. სწორედ მის მიერ შექმნილ ერეკლე მეფის ქანდაკებას, ოღონდ ცოტა სხვა სტილში, დგამენ კახეთის გზატკეცილზე. **ერეკლე მეფის ძეგლი საქართველოს ყველა ქალაქში, ყველა გზაზე და ყველა ქუჩაზე უნდა იდგეს!** ამათ, ამ უწიგნურებმა, არც ისტორია იციან და არც არაფერი... ვის არ მიმართა მეფე ერეკლემ დახმარებისა და გადარჩენისთვის — ინგლისს, პრუსიას, საფრანგეთს, მაგრამ ყველამ ზურგი შეაქცია. ამ კაცმა თავისი ოჯახის წევრების გაწირვითაც კი გადაარჩინა საქართველო! ამ იდიოტებს რაზე ველაპარაკო? **თუ რამე ნაკლი აქვს ამ ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ანგარიშს უწევს გარე ძალებს!**

პირდაპირ ხელისუფლების დამხობის მოწოდებით გამოდიან ეს ნაძირალები და კაციშვილი პასუხს არ სცემს მაშინ, როცა 1995 წელს სრულიად უწყინარი განცხადება გავაკეთე — თუ ერთად ვიქნებით, შევარდნაძის ხელისუფლებას გავისტუმრებთ-მეთქი! — და შევარდნაძემ ამისთვის დამიჭირა!

## „რატომ ანებივრებენ ასე სოროსელთა ბუნაგს?“



**— როგორ ფიქრობთ, არჩევნებზე ჯახი იქნება?**

— დღეს მთელი მსოფლიო უკრაინას იცავს და ჩვენ გვებრძვის, არადა, საქართველო არ უნდა იყოს არავის მონა! აი, ეს პოზიციაა გადასარჩენი და ამისათვის 87 წლის კაცი ყველაფრისთვის მზად ვარ. შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენი საქმე ისე წაიყვანეს, ვისაც არ ეზარება, ყველა ჭკუას გვასწავლის. ან სულაც დღევანდელი ევროპა ქრისტიანულია? ამერიკაშია დემოკრატია? ბოდიში მომითხოვია და, ეს არის პედოფილების, ტრანსგენდერებისა და პედერასტების ევროპა და ამერიკა! მაგათ ჩვენ რა უნდა გვასწავლონ, როცა პედოფილი ფლოიდი ოქროს კუბოთი დაკრძალეს!



**— განათლების მინისტრს გიორგი ამილახვარს უკანასკნელ ხანს თქვენ საგანგებოდ და მკაცრად მიმართეთ. ხომ არ შეიცვალა რაიმე თქვენს ურთიერთობაში?**

— თქვენ კარგად იცით, რომ პრინციპებს არ ვღალატობ და სიტყვებს ტყუილუბრალოდ არ ვისვრი! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **არ შეიძლება, საქართველოს გაუნათლებელი განათლების მინისტრი ჰყავდეს!** სკოლაში მასწავლებლები არ გვყავს და რაც გინდა, ხელფასი მოუმატო, საქმეს არ შველის. პედაგოგები იზრდებოდნენ პედაგოგიურ ინსტიტუტებში, რომლებიც მოსპეს! ვითომ აღვადგინეთ იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ „დედაენა“ ისევ გვერდზეა გაწეული... რას ჰგავს ჩვენი სახელმძღვანელოები? ბავშვებმა ქართული ენა და ლიტერატურა, ასევე საქართველოს ისტორია და გეოგრაფია არ იციან, სამაგიეროდ, ფლობენ ინგლისურს და იციან ინგლისისა და ამერიკის ისტორია. **ვის რად უნდა ასეთი ქართველები? რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან იმიტომ, რომ ეროვნულ-პატრიოტული ლექსია, ხოლო ნაძირალა კახა ლომაია, რომელმაც დალუპა განათლების სისტემა, თბილისში ჩამობრძანდა და წიგნი გამოსცა, სადაც ამბობს — ჩვენ განათლების რეფორმა კიდევ ვერ მივიყვანეთ ბოლომდე, რადგან ის ხალხი, რომელსაც შეუძლია სისტემა ისევ უკან შეატრიალოს, ჯერ კიდევ მოქმედებსო!** კახა ლომაიას წიგნი „ილიაუნმა“ გამოსცა, რომელსაც მან თავის დროზე აურაცხელი ქონება გადასცა — გიორგი წერეთლის მიერ აშენებული ინსტიტუტის რვასართულიანი შენობა, ენციკლოპედიის შენობა, უცხო ენების ინსტიტუტის შენობა... რატომ ანებივრებენ ასე სოროსელთა ბუნაგს? **„ილიაუნი“ უნდა ამოიძირკვოს!**

## „ლევან ბერძენიშვილი და მისი ძმა ოჯახის სიწმინდეზე რომ ლაპარაკობენ, ჯერ დედამათი გაიხსენონ და მერე — მამა, რომლებიც აჭარაში დღემდე კარგად ახსოვთ!“



**— როგორ ფიქრობთ, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს?**

— დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება გაიმარჯვებს! აი, ამის შემდეგ პრინციპულად უნდა დაისვას ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხი!

## „ილიაუნი“ უნდა ამოიძირკვოს!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



ნაციონალების დროს ძალადობა დიდი დოზით იყო? შესაბამისად, ნაციონალების დასჯაზე საუბარი **არც არადემოკრატიულია და არც გაუგებარი.** ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ **ეს უკვე ძალიან დაგვიანებულია.**

„კვირის პალიტრა“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



**თინიკო ბოკუჩავა — ეს ახალგაზრდა ბოლშევიკი,** ვერც **კამალა ჰარისი** გახდება და ვერც ხანგრძლივად ნაცმოძრაობის ლიდერი, **ამასაც ისე მოისვრის ის სულელი „ვივამედიდან“,** როგორც ის საცოდავი **ხაბეიშვილი** მოისროლა და ცოტა ხანში აღარავის ემახსოვრება.

„იმედინიუსი“

**თამარ მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



პრეზიდენტმა **არჩევნები 26 ოქტომბერს ოფიციალურად დანიშნა,** პოლიტიკური მარათონი გახსნილია და „ქართული ოცნება“ ჯანსაღი პოლიტიკური ამბიციით დაუპირისპირდება **კოლექტიურ ომის პარტიას.**

„იმედინიუსი“

**გრიგოლ გეგელია**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



„ოცნების“ მხრიდან **ნაციონალური მოძრაობის ბუად გამოყენება ფარსია** და აღარავინ ყიდულობს. 12 წელი სუს-ი, პროკურატურა, სასამართლო ტოტალურად მათი არ იყო? **ვინმეს სჯერა სრულ ჭკუაზე მყოფს, რომ „ოცნება“ ახლა ვინმეს გაასამართლებს,** როდესაც მაშინდელი ნახევარი ნაციონალური მოძრაობა პარტიულ რიგებში ჰყავს?

„TV პირველი“

# აი, მორიგი მტკიცებულება, რომ ომი დაიწყო სააკაშვილმა!

***თუ „ქართული ოცნება“ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს, უცილობლად და ყოველმიზეზგარეშე მოუწევს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულთა გამოძიებას უკავშირდება.***

## როგორც კი *ჯეფრი საქსი*: შეხვედრიდან გამოვედი, მაშინვე გავიფიქრე, სააკაშვილი შეშლილია და თავის ქვეყანას აუცილებლად დაანგრევს-მეთქი! მან პროვოკაციული თავდასხმა წამოიწყო, რამაც საქართველოში რუსეთის შეჭრა გამოიწვია!



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ცხინვალის საარტილერიო დაბომბვით რომ დაიწყო, ეს მკაფიოდ არის აღნიშნული **ევროკავშირის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისიის დასკვნაშიც** და ამ დასკვნის საფუძველზე მომზადებულ **ევროსაბჭოს რეზოლუციაშიც,** რომელსაც თავად ნაციონალური მოძრაობის დეპუტაციამ მოაწერა ხელი.

ამდენად, დიდი გამოძიება სულაც არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ ვინ დაიწყო ომი, რადგან უკვე გარკვეული და დადგენილია, რომ **ომი დაიწყო სააკაშვილმა!**

სამაგიეროდ, გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს იმის დადგენა, რამდენად შეიძლებოდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომის თავიდან აცილება და გამოიყენა თუ არა სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველა შესაძლებელი ბერკეტი ქვეყნისათვის რუსული სამხედრო აგრესიის ასარიდებლად? თუ ყველაფერი პირიქით მოხდა და სააკაშვილის ხელისუფლება არათუ ომის თავიდან ასაცილებლად არ გაისარჯა, არამედ ყოველი ღონე იხმარა, რომ საქართველო სამხედრო ავანტიურაში გაეხვია?

საერთოდ, 2008 წელს სააკაშვილი სამგლე გოჭივით რომ იყო ატეხილი და ქვეყანას დიდ დარდუბალას უმზადებდა, ამას ჭკვიანი ხალხი არამხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც კარგად ხვდებოდა, რისი ერთ-ერთი დასტურიც **ცნობილი და ავტორიტეტიანი ამერიკელი ანალიტიკოსის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯეფრი საქსის** განცხადება გახლავთ, რომელიც მან რამდენიმე დღის წინათ სოციალურ პლატფორმა „იუთუბზე“ ერთ-ერთ პოდკასტში სტუმრობისას გააკეთა.

კერძოდ, **ჯეფრი საქსმა** საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან 16 წლის წინანდელი შეხვედრა და საუბარი გაიხსენა:

***„2008 წლის გაზაფხულზე პირადად ვესაუბრე სააკაშვილს — იმ დროს საქართველოს ლიდერს. ის ჩვენთან, საგარეო ურთიერთობების საბჭოში მოვიდა და დიდხანს გვესაუბრა. სიმართლე გითხრათ, როგორც კი საუბარი დაასრულა, ჩემს ცოლს დავურეკე და ვუთხარი, რომ ეს კაცი სრულ ჭკუაზე არ იყო“.***

მაინც რა ილაპარაკა ისეთი **სააკაშვილმა,** რომ ამერიკელი პროფესორი მის შეურაცხადობაში დარწმუნდა? თანაც, გიჟისა და შეშლილის შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა **ჯეფრი საქსზე** დატოვა, როგორც ჩანს, იმდენად მძაფრი იყო, რომ პროფესორმა ვერ მოითმინა და მაშინვე მეუღლეს დაურეკა, რათა თავისი შეშფოთება გაეზიარებინა.

აი, რას აცხადებს **პროფესორი საქსი:**

***„სააკაშვილი გვეუბნებოდა, რომ საქართველო ევროპული კულტურის ბირთვია, ევროპის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და მალე ნატოს წევრიც გახდება. სინამდვილეში, საქართველო კავკასიის რეგიონში, სამხრეთით, რუსეთის მეზობლად მდებარეობს. მიუხედავად ამ მოცემულობისა, სააკაშვილი ისე საუბრობდა, თითქოს რაღაც მაგიური უსაფრთხოების მოსასხამი ჰქონდა. როგორც კი შეხვედრიდან გამოვედი, მაშინვე გავიფიქრე, სააკაშვილი შეშლილია და თავის ქვეყანას აუცილებლად დაანგრევს-მეთქი“.***



## ცნობილი ამერიკელი პროფესორი სააკაშვილს შეშლილს უწოდებს და 2008 წლის აგვისტოს ომის პროვოცირებაში ამხელს!

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე — 2008 წლის გაზაფხულზე სააკაშვილი ამერიკული ისტებლიშმენტის წარმომადგენლებს უმტკიცებდა, რომ რუსეთის მეზობელი საქართველო აუცილებლად გახდებოდა ნატოს წევრი!

სხვანაირად რომ ვთქვათ, 2008 წლის გაზაფხულზე, ანუ აგვისტოს ომამდე 2-3 თვით ადრე, სააკაშვილი ამერიკელ ინტელექტუალებს არწმუნებდა, რომ რუსეთი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლას დაუშვებდა, ანუ თავის საზღვართან ნატოს რაკეტებისა და ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსებას შეეგუებოდა!

შესაბამისად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამგვარად მოლაპარაკე **სააკაშვილმა** პროფესორ **ჯეფრი საქსზე** შეშლილის შთაბეჭდილება დატოვა და აფიქრებინა — **ეს კაცი თავის ქვეყანას დაღუპავსო!**

ვაი, რომ **პროფესორ საქსის** ავბედითი ფიქრი სულ მალე ახდა და სააკაშვილმა საქართველო მართლაც დაღუპა, რადგან **2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს ცხინვალს ბომბები დააყარა და რუსულ სამშვიდობო ძალებს, რომლებიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გაერო-ს მანდატითა და საქართველოს ხელისუფლების თანხმობით იმყოფებოდნენ, ცეცხლი გაუხსნა, რასაც რუსეთის შემოჭრა და სამხედრო აგრესია მოჰყვა.**

სწორედ ამაზე საუბრობს პროფესორი **ჯეფრი საქსი:**

***„შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში სააკაშვილმა პროვოკაციული თავდასხმა წამოიწყო, რამაც საქართველოში რუსეთის შეჭრა გამოიწვია და საქართველოსათვის ყველაფერი საშინლად წარიმართა. სააკაშვილის მსგავსი ხალხი საღად აზროვნების უნარს კარგავს, როცა ამერიკელი გენერლები მათ გვერდში დგომის პირობას აძლევენ. დიახ, ამერიკა ყოველთვის ასე იქცევა — ჩვენ ვუთხარით სამხრეთ ვიეტნამელებს, ერაყელებს, სირიის ოპოზიციას, უკრაინელებს და კიდევ ბევრ სხვას, რომ ჩვენ მათ დავიცავდით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ მოხდა, რადგან ჩვენ, უბრალოდ, არ გაგვაჩნია ამხელა ძალაუფლება“.***

კარგად დავუკვირდეთ და ჩავუფიქრდეთ, რას ამბობს ამერიკელი პროფესორი — სააკაშვილი და მისნაირები ჭკუიდან მაშინ გადადიან, როცა მათ ამერიკელი გენერლები აქეზებენ და დახმარებას აღუთქვამენო!

**ჯეფრი საქსის ეს განცხადება, ფაქტობრივად, პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს საომარი ავანტიურა სააკაშვილმა ამერიკელების წაქეზებით წამოიწყო, თუმცა, თეთრი სახლი და პენტაგონი საქართველოსაც ზუსტად ისე მოექცნენ, როგორც, ზოგადად, იქცევიან ხოლმე** — რუსული ტანკის მუხლუხოებში შეაგდეს და გავეშებული დათვის პირისპირ მარტო დატოვეს!

მოკლედ, მსოფლიოში ცნობილი და ავტორიტეტიანი ამერიკელი პროფესორისა და ანალიტიკოსის **ჯეფრი საქსის** ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება აუცილებელია, რათა ოფიციალურად დადგინდეს, სააკაშვილმა საქართველო რუსული სამხედრო აგრესიის მსხვერპლად მხოლოდ თავისი სიშლეგისა და ავანტიურისტობის გამო აქცია თუ ეს გარე ძალების დაკვეთითა და წაქეზებით გააკეთა?

**სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემით უნდა დაიწყოს ქართული „ნიურნბერგის პროცესი“, რომლის გამართვის პირობასაც „ქართული ოცნება“ დებს და ვაი, მის თავს, თუ არ შეასრულებს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



მომხრე ვარ, რომ **ამერიკასა და ევროკავშირთან გვქონდეს უაღრესად მჭიდრო კავშირი,** მაგრამ ბრიყვი არ ვარ, ყველაფერს დავუჯერო, რასაც გვეუბნებიან. დასრულდება არჩევნები და ღვთის შეწევნით ყველაფერი კარგად იქნება, რადგან **ეს საქართველოა და ქართველები გადავწყვეტთ საქართველოს ბედს.**

„იმედინიუსი“

**ახიკო ბერიძე**
*მომღერალი*



**7 ნოემბრის მოვლენების დროს მე უნივერსიტეტში თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და უსამართლობა ჩემს სტუდენტებთან ერთად გავაპროტესტე.** დაიწყო უნივერსიტეტიდან, გადაინაცვლა ქალაქში და ცოტა ფართო მასშტაბი მიიღო. სამწუხაროდ, **მაშინ ვიწვნიე იმ ხელისუფლებისგან პირველი უსამართლობა.** სპეცნაზი უნივერსიტეტში ჩემი ფოტოებით დარბოდა, მე და რამდენიმე სტუდენტი განსაკუთრებულად უნდა დავესაჯეთ.

„თბილისელები“

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



**გარკვეული ცნობები მაქვს,** რაც საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო, რომ **ხელისუფლებას ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით შესაძლოა, რეალურადაც ჰქონდეს რაიმე ხელჩასაჭიდი.** ის, რომ წინა ხელისუფლების საქმიანობა პოლიტიკურად არ შეფასდა, გახდა მიზეზი იმისა, რომ 2014 წელს მე „ქართული ოცნებიდან“ წამოვედი. **იქ ვიყავი და კარგად ვიცი, რა ზეწოლა იყო დასავლეთიდან იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობის ქმედებები პოლიტიკურად არ შეფასებულიყო.**

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



იმისათვის, რომ **რუსეთმა საქართველოდან ჯარი გაიყვანოს,** იმაზე დიდი შოკი უნდა განიცადოს, ვიდრე **საბჭოთა კავშირის დაშლა იყო.**

„კვირის პალიტრა“

***29 წელი შესრულდა, რაც იგორ გიორგაძე სამშობლოდან დევნილია. 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტიდან 29 წლის შემდეგ მის მიმართ სასამართლოს განაჩენი არ არსებობს, თუმცა, სამშობლოში დაბრუნების საშუალება მაინც არ ეძლევა. ამჟამად სასამართლოში იგორ გიორგაძის პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, წარდგენილ მრავალ ბრალდებაში დანაშაული არ იკვეთება.*** *— რატომ არ ჩამოდის იგორ გიორგაძე საქართველოში? უმჯობესია, თავად მას ჰკითხოთ!* ***— ამბობს „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე. მოსკოვში მცხოვრებ საქართველოს უშიშროების ექსშეფს სიმბოლურად 29 აგვისტოს დავუკავშირდით და საქართველოს უახლესი ისტორიის ბუნდოვანებით მოცულ მრავალ ფურცელს მოეფინა ნათელი:***



**„სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ იმედი ამაოდ მომეცა...“**

# *იგორ გიორგაძე:*

# სასამართლოს განაჩენის გარეშე მე სამშობლოში შემოსასვლელი ჭიშკარი ჩამიკეტეს!

— სამშობლოში ჩემი ჩამოუსვლელობის მიზეზი მარტივია: **შევარდნაძის, სააკაშვილის თუ დღევანდელი მთავრობისთვის მე, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ძებნილს, საზღვრის გადმოკვეთისთანავე დამაპატიმრებენ.** საქართველოში რატომღაც კვლავ მეძებენ, იმის მიუხედავად, რომ ინტერპოლმა 2016 წელს ჩემი სახელი და გვარი საერთაშორისო ძებნილების სიიდან ამოიღო, ვინაიდან ცნო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ თავის დროზე შევარდნაძის მთავრობამ მე პოლიტიკური მოტივით გამომაცხადა 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის ერთ-ერთ მონაწილედ და მას აქეთ მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე ჩემი ძებნა შეწყდა.

29 წელია, რაც **სასამართლოს განაჩენის გარეშე, ხაზგასმით ვიმეორებ, სასამართლოს განაჩენის გარეშე,** მე სამშობლოში შემოსასვლელი ჭიშკარი ჩამიკეტეს. მხოლოდ იმას მივაღწიეთ, რომ ჩემი და ჩემი ადვოკატების (და არა სახელმწიფოს!) ინიციატივით, 2016 წლიდან სასამართლოში ჩემი საქმე იხილება, მაგრამ მე-9 წელია, ეს პროცესი საღეჭი რეზინასავით იწელება...

**1995 წლიდან მოყოლებული, თაობები აღიზარდნენ ჩემზე ზემცდარი შეხედულებებით, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ 120 ტომის მომცველ საქმეში არ არსებობს არცერთი ჩვენება, რომელიც ადასტურებს ჩემ მიერ ჩადენილ თუნდაც უმცირეს დანაშაულს!**

არადა, შევარდნაძის ან სააკაშვილის რეჟიმებს ჩემ წინააღმდეგ რაიმე უმცირესი ობიექტური მტკიცებულებაც რომ ჰქონოდათ, აუცილებლად გამოიყენებდნენ და ყურმოჭრილ მონა-მოსამართლეებს სამუდამო პატიმრობის განაჩენსაც გამოატანინებდნენ.

**— ამჟამად ვის ინტერესშია, საქართველოს ფარგლებში დღემდე ძებნილად რომ ითვლებით?**

— ჩვენი თანამემამულე პოეტი, ბაღდათის მკვიდრი **ვლადიმერ მაიაკოვსკი** თავის ლექსში „მისმინე“ — წერდა: „Ведь если звезды зажигают - значит - это кому-нибудь нужно?“ ანალოგიურად, **რადგან საკუთარ სამშობლოში „ვიძებნები“, ცხადია, ეს ვიღაცას აწყობს!**

**— ამჟამად რა ეტაპზეა 2016 წელს თქვენი ინიციატივით წამოწყებული პროცესი?**

— ბოლო დროს აღარც ვინტერესდები — აზრს ვერ ვხედავ. სააკაშვილის რეჟიმის დასრულების შემდეგ იმედი ამაოდ მომეცა, რომ სამართლიანობის აღდგენის ფარგლებში ჩემი საქმეც განიხილებოდა, თუმცა, 2012 წლიდან 4 წლის შემდეგ დაწყებული პროცესიდან გავიდა კიდევ 8 წელი. ამასობაში დაიკითხა 300-ზე მეტი მოწმე. მათი ადგილსამყოფლის დადგენაში პროკურატურას ჩემი დაცვის მხარე ეხმარება, რადგან ვესწრაფვით, პროცესი მალე დასრულდეს, თუნდაც არასასურველი განაჩენით. ჩემი ადვოკატებისგან ვიცი, რომ დასაკითხია კიდევ 25 მოწმე, რის შემდეგაც სასამართლოზე მხარეთა კამათის სტადია უნდა დაიწყოს. ასე რომ, არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მომიწევს განაჩენის ლოდინი. რა მაგის პასუხია და, ფაშისტური გერმანიის ლიდერთა დანაშაულებრივი ქმედებების შესწავლასა და განაჩენის გამოტანას ნიურნბერგის პროცესმა მხოლოდ 11 თვე მოანდომა (1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრამდე)! საქართველოს სასამართლოს აქამდე ჩემ მიმართ უსამართლო, გამამტყუნებელი განაჩენიც რომ გამოეტანა, მას ევროპის ადამიანის უფლებათა (სტრასბურგის) სასამართლოში გავასაჩივრებდი შედეგის მისაღწევად — არც 29, არც 8 წლით დალოდება დამჭირდებოდა და ჩემი უკანონო დევნილობაც უმალ დასრულდებოდა!

**— თვით შევარდნაძეს ჟურნალისტ მაყვალა ბერიანიძესთან ადრინდელ ინტერვიუში უთქვამს — „რას ვერჩი, უდანაშაულო იყო. ჩემთან არც პროკურატურა მოსულა და არც ჩვენება ჩამოურთმევიათ. მე რას მერჩით, იგორ გიორგაძისთვის არაფერი დამიბრალებია“. — მაშ, რატომღა დაიწყო თქვენი დევნა?**

— ასეთი იყო **შევარდნაძის** მანერა და სტილი, რის შესახებაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ვიცოდი. ასე იყო 1978 წლის მოვლენების დროს, როცა ბრეჟნევის პოლიტბიუროს ახალი კონსტიტუციის ვერსია „შეუგდეს“, რომელშიც ენის შესახებ პასაჟმა საქართველოში სრულიად სამართლიანი მძაფრი მღელვარება გამოიწვია. მანამდე ხალხმა იცოდა, რომ სსრკ-ში სახელმწიფო ენა რუსულია, ხოლო რესპუბლიკაში — ქართული. კონსტიტუციის ახალი რედაქცია კი იუწყებოდა, რომ სახელმწიფო ენა არის რუსული, თუმცა, დაშვებულია ქართული ენის „ხმარებაც“ (ეს სიტყვა ქართველებმა, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელობითაც აღიქვეს). საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მაშინ შევარდნაძე ედგა სათავეში. სწორედ ცეკას ბიუროზე მიიღეს კონსტიტუციის ეს საზარელი პროექტი, რომელსაც სტუდენტების საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. მერე გაირკვა, რომ შევარდნაძემ შეგნებულად მოახდინა გამოსვლების პროვოცირება, რათა სამართლიანად აღშფოთებული ახალგაზრდების წინაშე თავი პატრიოტად წარმოეჩინა — „ჩემო შვილებო, მე თქვენიანი ვარ, კრემლი გვაძალებს, მაგრამ გეფიცებით, ქართული ენის დაკნინებას არ დავუშვებ!“ — ურცხვად განუცხადა მომიტინგეებს, არადა, ბიუროს სხდომაზე თავად ჰქონდა ხმა მიცემული პროექტის სასარგებლოდ.

ანდა მეორე მაგალითი, როცა „სისხლიანი ქორწილის“ მონაწილეებმა 1983 წელს თვითმფრინავის თურქეთში გატაცება უშედეგოდ სცადეს. ეს იყო ტერორისტული აქტი, რომელსაც მოჰყვა მსხვერპლი, ამიტომ აქტის მონაწილეები თავიანთი დანაშაულების შესაბამის სასჯელს სამართლიანად იმსახურებდნენ, თუმცა, **შევარდნაძის** ჩარევით სასამართლომ ქალის გამოკლებით ყველა განსასჯელს დახვრეტა მიუსაჯა. მათ შორის იყო მღვდელიც, რომელიც, მართალია, გამტაცებლებთან კონტაქტში იყო და იცოდა მათი ჩანაფიქრის შესახებ, მაგრამ დანაშაულის ადგილზე, ანუ გატაცებულ თვითმფრინავში არ ყოფილა! როცა ინტელიგენცია შევარდნაძეს შეწყალების თხოვნით მიადგა, მან თავი მოისაწყლა — მეც თქვენ მხარეს ვარ, მაგრამ რა ვქნა, კრემლი მაძალებსო! არადა, დაბეჯითებით გეუბნებით — ერთი მინიშნებაც არ ყოფილა მოსკოვიდან!

აი, ასეთი მაგალითების რიგში შეიძლება განვიხილოთ ჟურნალისტ **მაყვალა ბერიანიძესთან** ინტერვიუში შევარდნაძის მხრიდან თავის მოკატუნება, თითქოს ჩემ დევნაში წვლილი არ მიუძღვის! არადა, ვინ დაიჯერებს, რომ ჩემ წინააღმდეგ ასეთი მძლავრი მიზანმიმართული, ცილისმწამებლური ტალღა შევარდნაძის გარეშე აგორდა?!

**— 1995 წლის მოვლენებს კვლავ დავუბრუნდებით. მანამდე კი საინტერესოა თქვენი აზრი — სააკაშვილი ხომ ხელისუფლებაში შევარდნაძესთან დაპირისპირების ფონზე მოვიდა... მან რატომღა გადაიბარა თქვენი დევნის ესტაფეტა?**

— დღევანდელი გადასახედიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ ე.წ. ვარდების რევოლუციით შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოშორება და სააკაშვილით ჩანაცვლება იყო დასავლეთში დაწერილი, საქართველოსთვის დამამცირებელი „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სპექტაკლის სცენარი. გავიხსენოთ, რომ ხელისუფლებაში მოსული ტრიუმვირატიდან **ნინო ბურჯანაძე,** როგორც იტყვიან, პირდაპირ „შევარდნაძის კალთაში გაიზარდა“. ცხონებული **ზურაბ ჟვანია** და თავად **სააკაშვილიც** შევარდნაძის პროტეჟეები იყვნენ; სააკაშვილი შევარდნაძის მზეს ფიცულობდა და მორჩილების ნიშნად პირმშოსაც კი მისი სახელი დაარქვა.

1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ინსცენირებით, შევარდნაძე, რომელსაც მანამდე 12-პროცენტიანი რეიტინგი ჰქონდა, „ტერორისტების ალაგმვის ფარგლებში“ მთელი ოპოზიცია „ახვეტა“ და პრეზიდენტის სავარძლისკენ გზა გაიკაფა. მსგავსი, დასავლეთში დაწერილი სცენარით მოვიდა სააკაშვილიც! ამერიკელებს ეჩქარებოდათ, შევარდნაძე კი რუსეთთან დაპირისპირების დავალების შესრულებას აჭიანურებდა, უკვე ასაკშიც იყო და მისი შეცვლა „ვარდების რევოლუციით“ გადაწყდა.

**დაბეჯითებით გეუბნებით — შევარდნაძე და სააკაშვილი ორთავე ერთი და იგივე პატრონის მონე-**

## კვირგვინოსნები



**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის პრეზიდენტი*

ისევე, როგორც ჩვენ მივაღწიეთ ჩვენს მიზნებს **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში,** ჩვენ მივაღწევთ ამ მიზნებს **ნეონაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.** ჩვენ აუცილებლად დავსჯით დამნაშავეებს.

„პირველი არხი“



**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

**ნეონაცისტების მიერ კურსკის ოლქში ჩადენილი ტერაქტის** შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მშვენიერი სამყაროს თემაზე არაუფლებამოსილი შუამავლების ამაო ჭორაობა შეწყდა. ახლა ყველას ყველაფერი ესმის, თუნდაც ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ. მათ ესმით, რომ **მტრის სრულად დამარცხებამდე მოლაპარაკებები არ იქნება!**

„ინტერპრესნიუსი“



**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*

**რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის მჭიდრო ურთიერთქმედებაზე** მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული **მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობა და უსაფრთხოება.**

„პირველი არხი“



**ალექსანდრე ლუკაშენკო**
*ბელარუსის პრეზიდენტი*

ზუსტად ვიცი, როგორ გაუხარდებოდათ უკრაინაში, რუსეთს ან ჩვენ რომ **ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოგვეყენებინა,** რადგან ასეთ შემთხვევაში მოკავშირეები აღარ დაგვრჩებოდა.

„აიპრესი“



**ბორის სოკოლოვი**
*რუსი ისტორიკოსი და პუბლიცისტი*

რუსეთის ხელისუფლება თვლის, რომ **კურსკის ოლქში ვითარება არც ისე კრიტიკულია, რომ უკრაინიდან მოხსნან ძალები** და გადაისროლონ კურსკის ოლქში. **უკრაინელების კურსკის ოლქში შეჭრამ პუტინის იმიჯზე უარყოფითად კი იმოქმედა,** მაგრამ, როცა რეჟიმი დიქტატორულია, ავტორიტარს **იმიჯის პრობლემა არ აღელვებს.**

„ინტერპრესნიუსი“

**ბი იყვნენ, რომელმაც მხოლოდ მესამე გამოცვალა და დღემდე საქართველო იმკის შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმების შედეგებს, რომელთა ბოლომდე დაძლევაც დღევანდელმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ შეძლო.** ალბათ, ამავე მიზეზით, ჩემ წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის სხდომებს პერიოდულად ესწრება **საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი.** სააკაშვილის რეჟიმმა არ იკმარა მხოლოდ ჩემი დევნა და რეპრესიებით მომხრეებსაც გაუსწორდა. ჩემი პარტიის „სამართლიანობის“ წევრები და მთელი პოლიტიკური სპექტრი — კოალიცია „ანტისოროსის“ ლიდერები ციხეში გამოამწყვდია ცრუ ბრალდებით, თითქოს შეიარაღებულ გადატრიალებას გეგმავდნენ. მათ შორის, ჩემი ოჯახის წევრი, სამი არასრულწლოვანი შვილის მარტოხელა დედა **მაია თოფურია** და პირადად თქვენ, **ზაზა დავითაიაც** ციხეში ჩაგსვათ... სააკაშვილის რეჟიმმა ჩემი დევნის ესტაფეტა აიტაცა იმიტომ, რომ იმავე პატრონს ემორჩილებოდა, ვისაც შევარდნაძე!

**— თქვენ წინააღმდეგ ძირითად ბრალდებად რჩება 1995 წლის 29 აგვისტოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ლიკვიდაციის მიზნით განხორციელებული ტერორისტული აქტი. თქვენ თუ არა, მაშ, ვინ დაგეგმა და განახორციელა ეს ოპერაცია? მართალია თუ არა, რომ, როგორც ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე წერს, წლების შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლების შს მინისტრმა შოთა კვირაიამ ყველაფერი გიამბოთ და პატიება გთხოვათ? თუ ეს სიმართლეა — რა გიამბოთ კვირაიამ?**

— 1995 წლის 29 აგვისტოს მომხდარ ტერაქტად წოდებული მოვლენის არსს ვერასოდეს ჩავწვდებით, თუ წინარე მოვლენებს არ გავიხსენებთ. 1992 წლის მარტში მოსკოვიდან **შევარდნაძის** „მეორედ მოსვლა“ ხდება, ივნისში კი კონგრესის წინაშე გამოდის რუსეთის პრეზიდენტი **ბორის ელცინი.** იმათ გასაგონად ვყვები, ვინც დღემდე ყიჟინებს — „რუსეთმა დაიპყრო საქართველო!“ „რუსეთს სურდა საქართველოსთან ომი!“ და ა.შ. — სმენიათ, რა თქვა მაშინ კონგრესის წინაშე **ელცინმა?**

**— მაინც, რა თქვა?**

— ამბობს, რომ **„ეამაყება, კონგრესის წინაშე გამოსვლა“,** ამბობს, რომ **„ამაყია, როცა საუბრობს დიდი** (რუსი) **ხალხის სახელით, რომელიც კვლავაც აღიდგენს** (ანუ ჯერ არ გაგვაჩნიაო) **თავის ღირსებას!“** ფაქტობრივად, ამბობს, რომ რუსი ერი კომუნისტებმა დაღუპეს, რუსი ერი მუხლებზეა დაცემული და ამერიკასა და რუსებს შორის ომი კომუნისტებს სურდათ, მაგრამ მე (ელცინი) სიტყვას გაძლევთო, რომ ჩვენ მშვიდობიანად ვიარსებებთ, შეიარაღებას




# „დაბეჯითებით გეუბნებით – შევარდნაძე და სააკაშვილი ორთავე ერთი და იგივე პატრონის მონები იყვნენ!“

5-ჯერ შევამცირებთო! გამოსვლას კი ამ სიტყვებით ამთავრებს: **„უფალი ფარავდეს ამერიკას!“** ეს იყო რუსეთის სრული კაპიტულაცია ამერიკის წინაშე, სიამაყე, განპირობებული იმით, რომ კომუნისტურ წყობასთან ბრძოლის ეგიდით სინამდვილეში ქვეყანა დაანგრია! გავითვალისწინოთ, რომ აღიარებული დოკუმენტების თანახმად, 1945 წლის მაისში, ჰიტლერის რეჟიმის დამარცხების შემდეგ, ამერიკა ივნის-ივლისში უკვე აპირებდა, საბჭოთა კავშირის 100 ქალაქისთვის ატომური იარაღით დაერტყა! აი, ამ ქვეყანას ეფიცება **ელცინი,** რომ რუსეთს განაიარაღებს და მათ ნებისმიერ მითითებას შეასრულებს! **„ღმერთო, იხსენი ამერიკა!“** — ამბობს პათოსით და მცირე პაუზის შემდეგ ამატებს — **„და იხსენ რუსეთიც!“** ელცინი ამ სიტყვებს წარმოთქვამს მაშინ, როცა თბილისში მდებარეობს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სამხედრო შტაბი. ჯარების სარდალმა **რეუტმა** უკვე მიიღო ბრძანება, საქართველოს გადასცეს 120 ერთეული ტანკი, 35 ათასამდე ერთეული ავტომატი, ტყვიამფრქვევი და ტყვია-წამალი; პარალელურად, 1992 წლის 14 აგვისტომდე (ანუ ე.წ. ქართულ-აფხაზურ ომამდე) აფხაზეთის მხარეს გადასცეს სოხუმთან განლაგებული რუსეთის ბატალიონის ტექნიკა და შეიარაღება!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

***გაგრძელება იქნება***



# „დღევანდელი პოლიტიკოსების უმრავლესობა შევარდნაძის გამოზრდილია. შევარდნაძემ მათ ბევრი რამ ასწავლა, მათ შორის, გარიგებაც და საარჩევნოდ სწორედ ამ გარიგების მეშინია!“



## მაყვალა ბერიანიძე:

# ამ საარჩევნოდ რა აუცილებელი იყო სააკაშვილის გადაყვანა „ვივამედის“ ბოლო სართულზე? ხომ არ გეგმავს ვინმე ვერტმფრენით მის გაპარებას?

***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე იმ საფრთხეებსა და გარიგებებზე მიგვანიშნებს, რომლებიც 2024 წლის 26 ოქტომბრის ისტორიული არჩევნების წინ შესაძლოა, საქართველოში მართლა გაცხადდეს:***

— ძალიან მეშინია პოლიტიკური გარიგებების... კარგად მახსოვს, 2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა ირმა ინაშვილს ინტერვიუ რომ მისცა, თქვა — **არჩევნებში ხმების 40 პროცენტს, ალბათ, ჩვენ ავიღებთ, ხოლო 60 პროცენტს — ნაცმოძრაობაო!** მთელი საქართველო ფეხზე დადგა, ყველა გამოვიდა და ეს შედეგები ხალხმა ამოატრიალა — 60 პროცენტი მიიღო კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, ხოლო 40 პროცენტი — სააკაშვილმა და მისმა ბანდამ. სინამდვილეში მაშინ „ქართულ ოცნებას“ ხმების 69 პროცენტი ჰქონდა აღებული, მაგრამ 57,9 პროცენტი დაუწერეს. ისიც კარგად მახსოვს, 2012 წლის 1 ოქტომბერს, 19:30 საათზე, სააკაშვილი ტელევიზიით გამოსვლას რომ აპირებდა — მე გავიმარჯვეო! მაგრამ ამერიკელებმა ხელები გადაუგრიხეს და აიძულეს, დამარცხება ეღიარებინა. ჩემი ინფორმაციით, არჩევნებამდე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ამერიკის ელჩი, ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილის ოჯახს არ შორდებოდა. აი, ამან გადაწყვიტა არჩევნების ბედი და არა იმან, სააკაშვილი და ნაცები რომ გაიძახიან — ხელისუფლება მშვიდობიანად გადავაბარეთო! სააკაშვილი რისი გადამბარებელი იყო, სისხლის ტბებს დააყენებდა, მაგრამ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო.

**— თქვენ შიშობთ, რომ 2012 წლის პრეცედენტი არ განმეორდეს და ამერიკელებმა ახლა ბიძინა ივანიშვილი არ აიძულონ, ხელისუფლება სააკაშვილისა და ნაცხროვის სასარგებლოდ დათმოს?**

— დიახ, სწორედ ამის შიში მაქვს! ამ შიშს ისიც აძლიერებს, რომ „ქართულ ოცნებაში“ ყველა საკვანძო თანამდებობაზე ნაცები სხედან!

**— დაასახელეთ ეს ხალხი!**

— თუ ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ვინმე იტყვის — მაყვალა ბერიანიძე სისულელეს გა-

***გაგრძელება მე-14 გვერდზე***





**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



**პუტინი** მალე გაიგებს, რა არის **უკრაინული შურისძიება!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ანდრო გოცირიძე**
*ანალიტიკოსი*



კრემლს დამატებითი სამხედრო მოქმედებების შესაძლებლობა არა აქვს და ცდილობს, **საქართველო ჰიბრიდული აქტივობებით ჩამოაშოროს დასავლური ინტეგრაციის გზას,** ძირი გამოუთხაროს პარტნიორებთან მის ურთიერთობებს, **დანერგოს რუსეთთან მოსალოდნელი ომის შიში,** შეაფერხოს სამხედრო, ჰუმანიტარული და, უპირველესად, პოლიტიკური დახმარება, შემდგომ კი **იზოლაციაში მოქცეულ საქართველოს სამხედრო აგრესიით დაემუქროს,** რათა აიძულოს რუსულ პლატფორმებში ინტეგრაცია. ცხადია, **საბოლოო მიზანი სრული ანექსიაა.**

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ მაისაია**
*სამხედრო ანალიტიკოსი*



**პუტინმა** შექმნა თავისი საკმაოდ სერიოზული დაჯგუფება — **ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფება „ჩრდილოეთი“,** რომელსაც სათავეში თავისი გამორჩეული მემკვიდრე, თავისი თანაშემწე, გენერალ-პოლკოვნიკი **ალექსი დიუმინი** ჩაუყენა. **დიუმინი** ის ადამიანია, რომელიც **პუტინს პრიგოჟინის სამხედრო გადატრიალების ალაგმვაში, ანუ პუტჩის დაძლევაში დაეხმარა.**

„ახალი თაობა“

**ლაშა ძებისაშვილი**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პროფესორი*



**პუტინს** ადამიანურ დანაკარგზე სენტიმენტები არა აქვს. **მას შეუძლია, მანამდე შეაკლას საკუთარი ხალხი უკრაინას, სანამ მიზანს არ მიაღწევს.** მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია, რომ **რუსეთმა ბირთვული იარაღი გამოიყენოს** ამერიკის ან რომელიმე დასავლური ქვეყნის, თუნდაც უკრაინის წინააღმდეგ.

„კვირის პალიტრა“

# მაყვალა ბერიანიძე: ჩვენთვის საშიშია ერდოღანის განცხადება თურქეთისა და აზერბაიჯანის შესახებ – „ერთი ერი ორ სახელმწიფოში!“

დასაწყისი მე-13 გვერდზე



## ჩვენთვის საშიშია ერდოღანის ლექსი მესხეთზე! ჩვენთვის საშიშია აზერბაიჯანის განცხადება „ბრიქს“-ში გაწევრიანების შესახებ!

იძახისო! — მაშინ პირობას გაძლევთ, გამოვალ და სათითაოდ დავადებ ხელს ამ ხელისუფლების საკვანძო თანამდებობებზე მოკალათებულ ნაცებს! თუ ესენი სპეცსამსახურების თანამშრომლები და აგენტურაა, მაშინ ყველაფერი გასაგებია, რადგან ასეთები, როგორც წესი, გარდამავალი დროშებივით ყველგან არიან, მაგრამ საზოგადოებას მაინც ვაფრთხილებ და მაქვს კითხვები — **ხომ არ არის მოსალოდნელი პროვოკაციები? რატომ გადაიყვანეს სააკაშვილი კლინიკა „ვივამედის“ ბოლო სართულზე უფრო უკეთეს და კომფორტაბელურ ლუქსში?**

„ვივამედში“ ჩემნაირი ადამიანი, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმმა ტყვია ესროლა, ვერ იმკურნალებს. სამაგიეროდ, დამზარალებელი — სააკაშვილი წამოწოლილია ლუქსში და მის შენახვაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასეულათასები იხარჯება. **რატომ არ გადაჰყავთ სააკაშვილი ციხეში და რატომ ჰყავთ ისევ კლინიკაში, როცა საქვეყნოდ ცნობილია, რომ არავითარი დემენცია მას არა აქვს, წონაშიც კარგად არის და ბავშვების კეთების ხასიათზეა მოსული?**

**— თქვენ რისი ეჭვი გაქვთ?**

— „ვივამედის“ ბოლო სართული, სადაც სააკაშვილი გადაიყვანეს, ძალიან ხელსაყრელი მისადგომია ვერტმფრენისათვის. ჰოდა, მარტივ შეკითხვას ვსვამ — ამ საარჩევნოდ, რა აუცილებელი იყო სააკაშვილის გადაყვანა „ვივამედის“ ბოლო სართულზე ? ხომ არ გეგმავს ვინმე ვერტმფრენით მის გაპარებას? ხომ არ ცდილობს საქართველოს ხელისუფლება, რომ მიშა ამჯერად „ვივამედის“ სახურავზე ავიდეს და საგიჟეთი, რომელიც თითქოსდა გამოვიარეთ, თავიდან დაიწყოს? ცხადია, ეს ჩემი ვარაუდია, მაგრამ გამორიცხავს ვინმე, რომ ამერიკელებმა მსგავსი გაქცევა დაგეგმონ და ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანონ? გამორიცხავს ვინმე, რომ არასრულწლოვანთა კოლონიაში „ციხის კადრების“ მსგავსი კადრები დადგან და ხალხის პროვოცირება მოახდინონ? ანდა ქურდებმა ე.წ. სხადნიაკი ჩაატარონ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაფურთხონ? ანდა ნაცების ტელევიზიების ეზოში ის მოხდეს, რასაც სააკაშვილი ავალებდა გვარამიას — ფეხმძიმე ქალი მოკალით და ხალხი ამ გზით ააბუნტეთო? თქვენ ხომ კარგად იცით, შემთხვევით არაფერს ვლაპარაკობ? გაიხსენეთ, რა თქვა **ჯეფრი სილვერმანმა** — ამერიკელებს ეყოთ გონიერება და საქართველოს რუსეთს თავად ნუ გადაულოცავენო! საქართველო არის რთულ გარემოში და რთულ სიტუაციაში. ჩვენთვის საშიშია ერდოღანის განცხადება თურქეთისა და აზერბაიჯანის შესახებ — **„ერთი ერი ორ სახელმწიფოში!“** ჩვენთვის საშიშია **ერდოღანის ლექსი მესხეთზე!** ჩვენთვის საშიშია აზერბაიჯანის განცხადება „ბრიქს“-ში გაწევრიანების შესახებ და ჩვენთვის შეურაცხმყოფელია ის ფაქტი, როცა ამერიკელი **ჯონ სალივანი** ჩინეთში **სი ძინპინს** თვალებში შესციცინებს და ამ დროს იგივე ამერიკელები ჩვენ სიცოცხლეს გვიმწარებენ და ჩინეთთან ურთიერთობას გვიკრძალავენ!

უკრაინაში რაც ხდება, ეს არ არის რუსეთ-უკრაინის ომი და მითუმეტეს ე.წ. სპეცოპერაცია, ეს რუსეთ-ამერიკის ომია. **ზელენსკი** ამერიკაში აგზავნის რუსეთის ობიექტების სიას და მათი დაბომბვის ნებართვას ითხოვს. რა არის ეს, ეს არ არის რუსეთ-ამერიკის ომი? ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა ქრისტიანებმა ერთმანეთი ამოჟლიტონ. აი, ეს არის უბედურება, მაგრამ კიდევ უფრო დიდი უბედურება ის გახლავთ, რომ რუსეთის ხელისუფლება ამას ვერ ხვდება!

**— რეზონანსული იყო თქვენი განცხადება იმის შესახებ, რომ 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტიც სპექტაკლი იყო!**

— ვიდრე ამ შეკითხვას ვუპასუხებდე, მინდა, გაგაცნოთ ძალზე საინტერესო სტატისტიკა. 2024 წლის ექვს თვეში უცხოელებმა ქართველების უცხოეთში ვიზიტები დათვალეს და გვითხრეს, რომ ამ ხნის განმავლობაში საზღვარგარეთ 361 300 ქართველმა იმოგზაურა. მარტო საყიდლებზე ამ ხალხმა დახარჯა 135 მილიონი დოლარი, სასმელ-საჭმელზე — 93 მილიონამდე, სასტუმროებში — 53 მილიონი, ადგილობრივ ტრანსპორტში — 43 მილიონი, ხოლო გართობაში — 15 მილიონი... ამის შემდეგ სესხს ვინ მოგცემს?! ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში კრიახი ატყდა — ლუგარის ლაბორატორიას ამერიკამ დაფინანსება შეუჩერაო! იცით, რატომ შეჩერდა დაფინანსება? კვლევებს ლუგარში აწარმოებდა **თენგიზ ცერცვაძე,** რომელიც გარდაიცვალა და იმიტომ! რაც შეეხება შეკითხვას, **1998 წლის 9 თებერვლის ე.წ. ტერაქტის დროს იმ დაჯავშნილ „მერსედესში“ შევარდნაძე არ იჯდა და ეს იყო ბლეფი.** აშკარაა, რომ ამერიკის სპეცსამსახურებმა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ინფორმაცია შეიტყვეს და შევარდნაძე იმ მანქანაში არ ჩასვეს, თუმცა, ტერაქტის მსვლელობას ხელი არ შეუშალეს. 9 თებერვლის ე.წ. ტერაქტში ბევრი კითხვის ნიშანია... პირველ რიგში, საინტერესოა ის ამბავი, რომ ე.წ. ტერორისტების მიერ დაქირავებულ ბინაში, საიდანაც კარგად ჩანდა თავდასხმის ადგილი, აღმოჩნდა უშიშროების მაღალჩინოსნების სავიზიტო ბარათები. უფრო მეტიც, სავიზიტო ბარათებზე უშიშროების მაღალჩინოსნებს საკუთარი ხელით ჰქონდათ დაწერილი თავიანთი სხვა ტელეფონის ნომრები. ვეკითხები საზოგადოებას, თავდამსხმელებს რატომ უნდა ჰქონოდათ უშიშროების მაღალჩინოსნების სავიზიტო ბარათები?

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვახტანგ გორგასლის გამზირზე, სადაც „ტერაქტი“ მოხდა, ქუჩის ორივე მხარე ჩაბნელებული იყო, ხოლო სომეხმა „გაიშნიკმა“ სიმონიანმა რომ შევარდნაძე გადაარჩინა და თავისი მანქანით იქაურობას განარიდა, ეს საერთოდ მაგარი კომედია გახლდათ. სხვათაშორის, მეორე დღეს, 1998 წლის 10 თებერვალს, აქტივის კრება იყო, რომელსაც კანცელარიის შენობაში მეც ვესწრებოდი. **ირინა სარიშვილს** უნდოდა წივილკივილის ატეხა და შევარდნაძემ იცით, რა უთხრა? — დაჯექი მანდ, შენი შესაფასებელი ეს ამბები არ არის, სიტყვას არ გაძლევ, შენი დაცვა არ მჭირდებაო! ხელი ავწიე, ტრიბუნაზე ავედი და შევარდნაძეს ვუთხარი — ეს თავდასხმა რომ მოხდებოდა, ამის შესახებ 1997 წლის ნოემბერში ჩემს საავტორო გაზეთში მაქვს გამოქვეყნებული მასალა-მეთქი! არის ერთი კარგი და ძალიან ჭკვიანი ბიჭი, რომელიც გასაოცარ პროგნოზებს აკეთებს და იმას ჰქონდა ნათქვამი — **1997 წლის ნოემბერში, დავითობის მეორე დღეს, შევარდნაძეზე თავდასხმა მოხდებაო!** ამაზე თავიდან მეცინებოდა, მაგრამ მაინც დავწერე... აი, ეს გაზეთი იქ, აქტივის კრებაზე მქონდა წაღებული და შევარდნაძეს გადავეცი. მისთვის გაზეთი რომ უნდა მიმეწოდებინა, **ვახტანგ ქუთათელაძე** — მაშინ ჯერ კიდევ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელი — წინ გადამიდგა და მითხრა — არ შეიძლება! არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ვუთხარი — ტერაქტის ადგილი მთელი ერთი კვირის განმავლობაში რომ ჩაბნელებული იყო, ის გაგენათებინა, მე ტერორისტი კი არა ვარ-მეთქი! ამ დღიდან მოყოლებული, ძალოვნებთან ძალიან დამეძაბა ვითარება. ერთხელ მათ მთავრობის სხდომაზეც კი დავუპირისპირდი. საპასუხოდ დამიწყეს თვალთვალი.

**— შევარდნაძემ ამ სიტუაციაში რა პოზიცია დაიჭირა?**

— შევარდნაძემ გადმომცა ის ფოტოები, რომლებსაც ქუჩაში მოძრაობის დროს უშიშროება ფარულად მიღებდა. აი, მაშინ იყო, უშიშროების მინისტრ **ვახტანგ ქუთათელაძეს** თავზე რომ დავამხე ყველაფერი!

**— ანუ შევარდნაძე ყველას ეთამაშებოდა?**

— დიახ, შევარდნაძე თამაშობდა. მაშინ იმდენი ტკივილი და განსაცდელი გადავიტანე, შვიდი-რვა თვის განმავლობაში ბავშვი მეზობლებთან და მეგობრებთან მყავდა. **შევარდნაძე ყველასთან გარიგებული იყო. დღევანდელი პოლიტიკოსების უმრავლესობა სწორედ მისი გამოზრდილია.** შევარდნაძემ მათ ბევრი რამ ასწავლა, მათ შორის, გარიგებაც. საარჩევნოდ სწორედ ამ გარიგების მეშინია!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**მამუკა ხაზარაძე** ახალგაზრდობაში ლენინური კომკავშირის და კრემლის იდეოლოგიით **ებრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობას**! დღეს აშშ-ის ომის, კორუფციისა და ცენზურის პარტიის დავალებით **ქვეყნის სუვერენიტეტს ებრძვის!**

„აიპრესი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



**მევახშე ხაზარაძისა** და **კოლექტიური ნაცმოძრაობის** პრინციპია, ერთი ხელის მოსმით შეიერთონ ყველა, **ვინც კი ფულზე იყიდება.**

„იმედინიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*



წინა არჩევნებზე ყველას გვახსოვს პროპაგანდა: **„გარეჯი საქართველოა“, „კაცი კაცია და ქალი — ქალი“**, ახლა ყოველდღე **„ომი გინდა?“** გვესმის. ეს არის „ფეესბეს“ კაბინეტებში დაწერილი **იაფფასიანი პროპაგანდისტული გზავნილები.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვარლამ ლიპარტელიანი**
*სამგორის ოლქში „ქართული ოცნების“ დეპუტატი*



ჩემთან ძალიან ახლოს არის **მმართველი გუნდის ფასეულობები,** შევეცდები, **სამგორელების ხმა ვიყო** საკანონმდებლო ორგანოში.

„პირველი არხი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



დღეს რომ არჩევნები იყოს, **„ოცნება“ 30 პროცენტზე მეტს ვერ აიღებს!**

„რეზონანსი“

# გენერალისიმუსი

№43 (279) ★ 2024 წლის 2 სექტემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან


*ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგი და პოლიტოლოგი, პროფესორი* **დენიზა სუმბაძე** ***იმ საფრთხეზე საუბრობს, რასაც ეთნიკური ქართველები რუსეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, კურსკის, ბელგოროდისა და ვორონეჟის სამხედრო ოპერაციებში თავიანთი მონაწილეობით საქართველოს უქმნიან:***





## დენიზა სუმბაძე:

# უკრაინის მთავრობამ საქართველო უკვე ჩაითრია ომში!

— იმ საშინელ ომში, რომელიც ორ წელზე მეტია, უკრაინაში მძვინვარებს, ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრაინელებმა მაინც ჩაგვითრიეს. მას შემდეგ, რაც 2024 წლის 6 აგვისტოდან კურსკში ბრძოლები გაჩაღდა და უკრაინული დესანტი რუსეთის სიღრმეში გადაისროლეს, რუსეთის ქალაქებსა და დასახლებებში გაჩნდა **ქართული წარწერები.** მაგალითად, კურსკის ოლქის ქალაქ სუჯაში ყინულის სასახლის კედლებზე, ვიდრე ამ შენობას თავად რუსები არ ააფეთქებდნენ, ქართულად იკითხებოდა — **„ბახვა“.** ერთ-ერთ შენობაზე ქართველებმა ასეთი წარწერაც დატოვეს — **„ომი ვისწავლეთ და ჩამოვედით!“**

როგორც აგვიხსნეს, ეს გახლდათ პასუხი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამაჩაბლოში ერთ-ერთ ღობეზე რუსების მიერ დატოვებული წარწერისა — **„ქართველებო, ისწავლეთ ომი, ჩამოვალთ და შეგამოწმებთ!“** მოკლედ, რუსეთის ტერიტორიაზე შეიარაღებული ქართველების არსებობა და საბრძოლო ოპერაციებში მათი მონაწილეობა უკვე უტყუარი ფაქტია. ახლა რუსეთის ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მოგვიქსევს თუ არა ჩრდილოეთ კავკასიელებს, აფსუებსა და ოსებს და მოიყვანს თუ არა საბრძოლო მდგომარეობაში იმ 12-ათასიან სამხედრო კონტინგენტს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რუსული საოკუპაციო რეჟიმის სახით დგას. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: უკრაინის ხელისუფლებამ საქართველო უკვე ჩაითრია ომში!

**— უკრაინაში მებრძოლი ქართველები ამ საფრთხეს ვერ აცნობიერებენ?**

— ვერ აცნობიერებენ, რადგან ისინი, ძირითადად, დაქირავებულები არიან და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის სანაცვლოდ ფულს ღებულობენ. ამ თემას უფრო გლობალურ კონტექსტში თუ განვიხილავთ, საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არა აქვს გასიგრძეგანებული ის საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას და, მათ შორის, კაცობრიობას ემუქრება. დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიოს მართავს **„ახალი წესრიგი“,** რომელსაც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს **სიონისტური მოძრაობა.** ცნობილი თეოლოგისა და მოაზროვნის **ჰანს კიუნგის** განცხადებით, „ახალი წესრიგის“ დაწყება მსოფლიო სიონისტური მოძრაობის მითითებით, ერაყის პირველი ომის დასრულების შემდეგ გამოაცხადა პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშმა (უფროსი).** დოქტორი **ჯონ კოლემანი** — პენტაგონის დაზვერვის ოფიცერი — აცხადებს, რომ ბუშმა ერაყის ომი 10 ათასი ერაყელი მებრძოლის განადგურებით და ამდენივე უდანაშაულო, მშვიდობიანი ერაყელის ცოცხლად დამარხვით დაასრულა. **ეს ის ბუშია, რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ოკეანის გაღმიდან მოუწოდებდა, რომ გამსახურდია მიდიოდა დინების წინააღმდეგ. სწორედ ეს „დინებაა“ მსოფლიოს „ახალი წესრიგი“...**

**— საქართველოს რას ავალდებულებს „ახალი წესრიგი“?**

— მას შემდეგ, რაც ამერიკამ და მისმა მარიონეტმა ელცინის რუსეთმა საქართველოში დაამხეს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება და მოიყვანეს თავიანთი აგენტი შევარდნაძე, საქართველო ჩართული აღმოჩნდა მსოფლიოს **„ახალ წესრიგში“,** რომელიც საქართველოს ავალდებულებს, ჩაერთოს რუსეთის წინააღმდეგ ომში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „უკრაინის დამოუკიდებლობის დაცვის მიზეზით“, საქართველო უნდა ეომოს რუსეთს და ეს მაშინ, როცა უკანონო პრეზიდენტის — **ზელენსკის** განცხადებით, რუსეთ-უკრაინის ომის ბედი იერუსალიმში წყდება.

სხვათაშორის, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ებრაული წარმოშობის ამერიკელმა მწერალმა **ლევ გუნინმა** განაცხადა, რომ ეს იყო ომი არა რუსეთსა და საქართველოს, არამედ ისრაელსა და საქართველოს შორის! აი, ამ ფონზე რიგ დასავლურ გამოცემებში 2024 წლის 6 აგვისტოს უკრაინის შეჭრა კურსკის ოლქში განმარტებულია, როგორც „უკრაინის თანადგომა მეგობარი საქართველოსადმი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაიჩაგრა!“ ეს აშკარად პროვოკაციაა და ემსახურება უკრაინის ომში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ჩათრევას, რაც დასრულ-




**უკრაინის მხარეს მებრძოლი ქართველების მიერ კურსკში ქართულ და რუსულ ენებზე გაკეთებული წარწერები**




***გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე-2 გვერდზე***


**პროფესორის სიტყვა ★**



# დენიზა სუმბაძე:

# 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ებრაული წარმოშობის ამერიკელმა მწერალმა ლევ გუნინმა განაცხადა, რომ ეს იყო ომი არა რუსეთსა და საქართველოს, არამედ ისრაელსა და საქართველოს შორის!



ლევ გუნინი

## პროფესორის სიტყვა ★

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

დება საქართველოს განადგურებით.

**ვლადიმერ სტეპინს** 1993 წელს გამოცემული თავისი წიგნისთვის — **„სიონიზმის არსი“** ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ტროცკის სიტყვები —

> *„ჩვენმა ღმერთმა ჩვენ გვიანდერძა, რომ ვფლობდეთ მთელ მსოფლიოს და ჩვენ მას ვფლობთ!“*

ტროცკის გაგრძელებაა **ზბიგნევ ბჟეზინსკი...** მსოფლიო სიონისტური მოძრაობის არსი საუკეთესოდ განმარტა **ლეიბა ტროცკიმ,** რომელმაც განაცხადა:

> *„ჩვენ რუსეთი უნდა გადავაქციოთ თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ, რომელსაც ისეთი ტირანია უნდა დავატეხოთ თავს, რომლის მსგავსიც აღმოსავლეთის ყველაზე უფრო საშინელ დესპოტებსაც კი არ დასიზმრებიათ. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ეს ტირანია იქნება არა მარცხენა, არამედ — მარჯვენა, არა თეთრი, არამედ — წითელი. ჩვენ რუსულ ინტელიგენციას დავიყვანთ სრულ იდიოტიზმამდე. ჩვენი ახალგაზრდები — ტყავის ქურთუკებში გამოწყობილი ოდესელი, ორშელი, გომელელი და ვინიცელი მესაათეების შვილები, ზიზღით იქნებიან გამსჭვალული ყოველგვარი რუსულის მიმართ და ფიზიკურად გაანადგურებენ ინტელიგენციას — ოფიცრებს, აკადემიკოსებს, მწერლებს!“*




## „ზელენსკის განცხადებით, რუსეთ-უკრაინის ომის ბედი იერუსალიმში წყდება!“






1975 წელს საბჭოთა კავშირის ზეწოლით, გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც აღიარებული იქნა, რომ **„სიონიზმი არის რასიზმი“!** ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ სწორედ იმავე 1975 წელს მსოფლიო სიონისტურმა მოძრაობამ შემოაგდო ე.წ. **„ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაცია“**, რომელიც საბჭოთა კავშირს თავს მოახვიეს და ხელი მოაწერინეს ათპუნქტიან დოკუმენტზე, რომლის მეშვიდე პუნქტიც ითვალისწინებდა ადამიანის უფლებების დაცვას, კერძოდ, სიტყვის, სინდისისა და გადაადგილების თავისუფლებას. სიონისტებმა **ბრეჟნევი** მოატყუეს და 1976 წლიდან მოყოლებული, ასე დაიწყო ე.წ. დისიდენტური მოძრაობა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ცნობილი ფილოსოფოსისა და რელიგიური ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლის **კარლ იასპერსის** ფილოსოფიური ანდერძი ასე ჟღერს: **„როგორიც იქნება ბიბლიის შეფასება კაცობრიობის მიერ, ისეთივე იქნება კაცობრიობის მომავალიც!“** შესაბამისად, რაც უფრო კარგად გააცნობიერებს ქართველი ერი უკრაინის ომში ჩათრევის საფრთხეს, მით უფრო დაცული იქნება ჩვენი სამშობლო დამღუპველი ომის საფრთხისგან!

## „1975 წელს საბჭოთა კავშირის ზეწოლით, გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალითაც აღიარებული იქნა, რომ „სიონიზმი არის რასიზმი!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

*გთავაზობთ ნაწყვეტებს ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის* ***მიხეილ კვესელავას*** *წიგნიდან* ***„ას ერგასის დღე“,*** *რომელიც გერმანიის ქალაქ* ***ნიურნბერგში 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით გამართულ სასამართლო პროცესზე ნაცისტი დამნაშავეების გასამართლებას ეხება.*** *კვალიფიციური გერმანისტი* ***მიხეილ კვესელავა,*** *რომელიც დიდი ქართველი რეჟისორის* ***რობერტ სტურუას*** *სიმამრი გახლდათ,* ***ნიურნბერგის პროცესში თარჯიმნად მონაწილეობდა და მისი ტრილოგია „ასე ერგასის დღე“ ერთგვარი პირდაპირი რეპორტაჟია ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის წარმომადგენელთა სასამართლოდან.*** *შესაბამისად, დღეს, როცა* ***ბიძინა ივანიშვილი*** *და „ქართული ოცნება“ საქართველოს მოსახლეობას ჰპირდებიან — თუ 26 ოქტომბრის არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობით გავიმარჯვებთ,* ***ქართულ „ნიურნბერგის პროცესს“ მოვაწყობთ და ნაციონალურ მოძრაობას გავასამართლებთო,*** *მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველს* ***შევახსენოთ მიხეილ კვესელავას რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან,*** *რომელიც ნაცისტი დამნაშავეების გასამართლებითა და ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აკრძალვით დასრულდა.*






მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

## იბეჭდება შემოკლებით

... ომი რომ დამთავრდა, უკან გამოვბრუნდით შავი ზღვის სანაპიროსაკენ და ქ. კონსტანცაში გავჩერდით. იმედი მქონდა, ამის შემდეგ შინ გამიშვებენ-მეთქი, მაგრამ მოსკოვში გამომიძახეს და, შვებულებაც არ მოუციათ, ისე გამგზავნეს გერმანიის სამხედრო ადმინისტრაციის აპარატში სამუშაოდ, ამჯერად უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს (მაშინ სახალხო კომისარიატის) გამგებლობაში. მეც რა გზა მქონდა, პოლონეთი გავიარე და გერმანიაში ჩავედი. რამდენიმე თვე ბერლინში გავატარე, მაგრამ სხვა ქალაქებშიც ხშირად მიხდებოდა ყოფნა. ერთი თვე ამერიკის ზონაში, ქ. კასელშიც ვიყავი მივლინებით; შემდეგ კი, ჩემდა მოულოდნელად, ნიურნბერგში გამგზავნეს — მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე. ეს განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის და როგორც შემეძლო ვასრულებდი კიდეც დაკისრებულ დავალებებს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი აქედანაც მომიხდა გამგზავრება. რაღაც მანქანებით ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ დანიშნული საერთაშორისო სამედიცინო კომისიის შემადგენლობაში მოვხვდი, როგორც სამხედრო წარმომადგენელი. ამ კომისიას ევალებოდა, შეემოწმებინა ცნობილი მრეწველის, „ზარბაზნების მეფედ“ წოდებული გუსტავ კრუპის ჯანმრთელობა და დაედგინა, შეიძლებოდა თუ არა მისი სხვა მთავარ სამხედრო დამნაშავეებთან ერთად გასამართლება, ხოლო შემდეგ განესაზღვრა ჰიტლერის ყოფილი მოადგილის, 1941 წლიდან ინგლისში „გაქცეულ“ რუდოლფ ჰესის შერაცხადობის საკითხი, რადგან ის, როგორც მოგეხსენებათ, ფსიქიკურად დაავადებულის სიმულაციას ეწეოდა. კრუპი მაშინ ავსტრიის ალპებში იწვა, საკუთარ სანადირო სასახლეში. ჩვენც იქ მოგვიხდა წასვლა. ეს მართლაც სასიამოვნო მოგზაურობა იყო. გავიარეთ მიუნხენი, ზალცბურგი, ბერხტესგადენი; მერე ბავარიის ალპებს ავყევით, რომელიღაც უღელტეხილისაკენ გავუხვიეთ და ავსტრიაში გადავედით, სადაც პატარა სოფ. ბლიუნბახში ვინახულეთ დამბლადაცემული კრუპი და მისი მეუღლე ბერტა, რომლის სახელი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ჰქონდა შერქმეული გერმანულ მსხვილყალიბიან ზარბაზნებს.

იქიდან დაბრუნებულმა კვლავ ნიურნბერგში განვაგრძე მუშაობა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალში, სადაც შვიდი თვე დავრჩი. ამ ხნის განმავლობაში მონაწილეობას ვიღებდი მთავარი სამხედრო დამნაშავეების, უმთავრესად გერინგის, რიბენტროპის, ჰესის, როზენბერგის, ნოირატის, ფრანკისა და პაპენის წინასწარ დაკითხვებში, ვესწრებოდი პროცესს, ვამუშავებდი საბრალდებო მასალებს და ვასრულებდი საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დავალებას. ზოგჯერ, თუ რაიმე შემთხვევის გამო თავისუფალ დროს ვიშოვიდი, ახლომახლო ქალაქებშიც დავეხეტებოდი — მიუნხენში, ბამბერგში, ბაირეითში, რეგენსბურგში, შტუტგარტში თუ სხვაგან. ერთხელ ლანდსბერგშიც მოვხვდი, სადაც დავათვალიერე ციხე, რომელშიც მიუნხენის პუტჩის შემდეგ დაპატიმრებულმა ჰიტლერმა რუდოლფ ჰესთან ერთად დაწერა წიგნი „ჩემი ბრძოლა“. ომის დროს ჰიტლერელებმა ამ ციხის მიდამოებში საშინელი საკონცენტრაციო ბანაკები გამართეს, ხოლო ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ამერიკელებმა თვით გერმანელ ტყვე ოფიცრებს, უმთავრესად ფელდმარშლებს, გენერლებს, ყოფილ მინისტრებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს „მიუჩინეს იქ ბინა“. ადრე ბევრი მათგანის სახელი გამეგონა, ახლა კი ვუყურებდი, ერთნი რომ ციხის ეზოში დასეირნობდნენ, მეორენი ცოცხით დერეფნებს ასუფთავებდნენ, ხოლო მესამენი კარტოფილს ფცქვნიდნენ სამზარეულოში...

მერე ბევრ მათგანს ნიურნბერგშიც შევხვდი, სადაც მოწმეებად იყვნენ გამოძახებულნი.

ჩემი დანარჩენი მუშაობა თვით პროცესზე მიმდინარეობდა, ვიდრე საგამოძიებო ნაწილმა თავისი საქმეები არ დაამთავრა. შემდეგ კი, ალბათ, გაითვალისწინეს ნიურნბერგში მიღებული გამოცდილება და სხვებთან ერთად იაპონიაში დამიპირეს გაგზავნა, იქაც მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე, მაგრამ შვებულება ავიღე, თბილისში დავბრუნდი და ამის შემდეგ არსადაც არ წავსულვარ...

●

მთელი ამ თხრობის საფუძველი პირად შთაბეჭდილებებთან ერთად ის დოკუმენტებიცაა, რომელთაც ბერლინში, კასელსა და ნიურნბერგში ვეცნობოდი. ბევრი მათგანი უკვე გამოცემულია რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ზოგი რამ მეც ჩამოვიტანე ნიურნბერგიდან. ამ დოკუმენტების გამოუყენებლად, ვიცი, ჩემი ნაამბობი მოკლებული იქნება დამაჯერებლობას, მით უმეტეს, როცა თვით მოსაყოლი ამბებია ისეთი, რომ მათი დაჯერება მართლაც ძნელია. ესაა ამ ამბების გადმოცემის მთავარი სიძნელე. ჰიტლერელების მიერ ჩადენილი დანაშაულობანი იმდენად შემაძრწუნებელია, რომ საღი გონება არც აღიქვამს მათ, როგორც სინამდვილეს. ამას მტკიცების განსაკუთრებული ძალა უნდა. როცა აშკარა სინამდვილე მტკიცებას მოითხოვს, ეს უფრო ძნელია, ვიდრე ვარაუდის დადასტურება.

პროცესის მონაწილეთაგან ყველამ იცოდა, თუ რა მძიმე დანაშაული ჰქონდათ ბრალდებულებს ჩადენილი, მაგრამ ფრანგი ბრალმდებელი შარპანტიე და რიბი მაინც იძულებული შეიქნა განეცხადებინა:

ჩვენ მოგვიხდა უამრავი დოკუმენტის შეგროვება, რათა დაგვემტკიცებინა, რომ ასეთი დანაშაული შესაძლებელია...

●

სამხედრო დამნაშავეთა ერთ-ერთი პროცესის განაჩენში წერია:

— ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ უპრეცედენტო სიმკაცრესა და გაუგონარ ველურობასთან, რომ აჯანყებული გონება უარყოფს ადამიანის ამგვარი დეგრადაციის წარმოდგენის შესაძლებლობას... გონებას არ ძალუძს აღიქვას მილიონობით მკვლელობის საშინელება, რადგან სიცოცხლე — შეგნებისა და ყოფიერების ეს კვინტესენცია — არ ექვემდებარება რამე მატერიალურ ან თუნდაც სულიერ ფასდებას... არავის არ შეუძლია შეიცნოს მილიონჯერ განმეორებულ მკვლელობათა მთელი საშინელება... ამიტომ ჯერ უნდა დავუშვათ, რომ ტრიბუნალის განკარგულებაში არსებული დანაშაულებრივი ფაქტები შორდება ნორმალური ადამიანების ქმედობათა ფარგლებს, ხოლო, ვინც ეს ჩაიდინა, იმდენად უჩვეულო მოვლენაა, რომ მხოლოდ ყოველმხრივ ძიებასა და ბოლომდე ამომწურავ სასამართლო პროცესს შეუძლია მათი შესაძლებლობის დადასტურება...

ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ „წინასწარგანზრახული მკვლელობანი ისეთ ფანტასტიკურ მასშტაბებს აღწევს და შორდება წარმოსადგენად შესაძლებელ საზღვრებს, რომ მათი სიმართლის მსგავსობა განმტკიცებულ უნდა იქნეს ასჯერ და ათასჯერ განმეორებული დარწმუნებით.“

ამისთვის ტრიბუნალი აქვეყნებდა თვით ამ მკვლელობათა უშუალო შემსრულებლების მიერ შედგენილ დოკუმენტებს იმ რწმენით, რომ „მხოლოდ მათი ნაამბობი აიძულებს, შეძრწუნებულ მსოფლიოს დაიჯეროს, რომ ასეთი რამ მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო XX საუკუნეში“.

ზოგიერთი ფაქტი მართლაც ისე საშინელია, რომ სრულიად კარგავს დამაჯერებლობას, ხოლო, როცა კაცს არ სჯერა რამე, ამბობს, ზღაპარიაო. სწორიცაა. ზღაპრებიც ასე იქმნებოდა თავის დროზე, ლეგენდებიც და, საერთოდ, ყველაფერი, რაც მითოლოგიურ აზროვნებას მიეკუთვნება. ასეთ შემთხვევებში წარმოსახვა აფართოებს გონებისათვის გაუგებარ ამბავს და ზღაპრულ იერს აძლევს მას...

...ასეთი რამ მე თვითონაც გამომიცდია. ნიურნბერგიდან თბილისში რომ დავბრუნდი, ნაცნობ-მეგობრებს ვუამბობდი, რაც იქ ვნახე და განვიცადე. საჯარო ლექციებიც ბევრჯერ წამიკითხავს, საუბრებიც ჩამიტარებია და ვიცი, რომ ჩემ მიერ მოყოლილი ამბებიდან მსმენელებს ბევრი რამ არა სჯეროდათ. როცა სიტყვა მოიტანდა და ჰიტლერელთა მართლაც გაუგონარ სისასტიკეზე მოვყვებოდი რამეს, იჭვით შემომხედავდნენ და მეტყოდნენ:

— აჰ, რომ მომკლა, მაინც ვერ დავიჯერებ ამას! რას ამბობ, კაცო, როგორ შეიძლება ასეთი რამ ადამიანის შვილმა გააკეთოს?!

— საქმეც ისაა, რომ არ შეიძლება, მაგრამ მაინც აკეთებდნენ, — ვუმტკიცებდი მე და ვითომ მეტი დამაჯერებლობისათვის კიდევ უფრო საშინელ ამბებს ვუყვებოდი. ერთხანს შეძრწუნებულნი მისმენდნენ, მერე კი ვინმე მაინც აიქნევდა ხელს და წამოიძახებდა:

— კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, ზღაპრებს ჰყვები რაღაცას!..

მე ეს არ მიკვირდა, არც ახლა მიკვირს, რადგან ვიცი, რომ ადამიანი სინამდვილეს ზოგჯერ ასე ზღაპრულადაც აღიქვამს...

●

ზაფხულის ამ გრილ საღამოებსაც თბილისში ვატარებ. ვზივარ გმირთა მოედანზე და ფიქრებში წასულს ასე მგონია, ასბინიანი სახლის მეშვიდე სართულზე კი არა, მეშვიდე ცაზე ვიყო ასული. წინაც საუცხოო სანახაობაა გაშლილი: ღამის თბილისი და მისი იისფერი მიდამოები. ზოგჯერ ამსიმაღლიდან ძირს რომ ვიყურები, ასე მგონია, შვიდივე ცა გადმოპირქვავებულა ჩემ წინაშე, ან მე თვითონ ვიყო შვიდ ვარსკვლავეთს შორის მოქცეული. რას გაიგებ, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყურება თბილისის სარკეში, თუ თვითონ თბილისი ხედავს თავის ალმურმოდებულ სახეს ზეცის თაღებში!..

გარშემოც რომ ყველაფერს საგანგებოდ შერჩეული სახელები ჰქვია! ზევით — მთაწმინდა და ოქროყანა; მარცხნივ — ჯერ შავნაბადა, მერე კრწანისი და ნარიყალა; პირდაპირ — ფიქრის გორა, ვარაზისხევი და ვარდისუბანი; მარჯვნივ — უნივერსიტეტი და თრიალეთის მთების კალთები.

მოჯადოებული შევყურებ ამ საოცრებას და გული ვერ ძღება სანახაობით. მაინც რამხელაა ეს დალოცვილი ქვეყანა! ან რამდენნაირადაა მორთული მისი უსაზღვრო სივრცე! რა სიმაღლეა, რა სიშორე და სილამაზე!.. თან ისეთი სიწყნარე, ყურს თუ მიუგდებ, გაიგონებ, როგორ ბრუნავს დედამიწა, ან ვარსკვლავების ცივი მელოდია როგორ ერთვის ღამის სიცხადეს...

ზოგჯერ დიდუბიდან თბილისში შემოპარული მატარებლის უეცარი ხმაური შემოიჭრება, ერთი-ორჯერ ელმავალიც დაიგუგუნებს და ისევ მიწყნარდება ყველაფერი.

მერე მთაწმინდიდან შეშინებული მთვარე ამოიხედავს და ფეხშიშველი წამოვა ცის შუაგულისკენ... მზესავით უტიფარი კი არაა, მოკრძალებულია და ეშინია, ვაითუ, ძილს მიცემული ქვეყანა გავაღვიძოო...

გვიან ღამით კი, როცა ქალაქში ელნათურებს აქრობენ, უნივერსიტეტის თეთრ კედლებს თითქოს სინათლე ემატება და ოკეანის გემივით მიცურავს ღამის ბნელ ფონზე... ან იქნებ თვითონ ღამე მიცურავდეს სადღაც... დაუსაბამოსა და დაუსრულებლის იქითა მხარეს...

... მე კი ვზივარ ამ ცასა და დედამიწას შუა დაკიდულ აივანზე და მოგონებებში წასულს ისეთი გულუბრყვილო კითხვები მიტრიალებს, რომ მერიდება კიდეც მათი გამხელა:

— ნეტავ, რატომ ვერ ეტევიან ადამიანები ამ თვალუწვდენსა და საოცრად ჰარმონიულ სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი გარკვეული აზრი და ადგილი აქვს?! ან რა კაენის ცოდვა აწევთ ისეთი, რომ ამდენი ათასი საუკუნის მანძილზე ვერ შეეწყვნენ და შეეგუვნენ ერთმანეთს?! საიდან მოდის ამდენი შუღლი და შფოთი, „ურვა და ლალვა მოყუასთა“, სისხლი და განადგურება ყველაფრისა, რასაც ასე გულუხვად გვთავაზობს ბუნების მადლიანი კალთა?!. ცხოველები რა არის! მხეცები! თვით უმძვინვარესნიც კი მათ შორის არ ერჩიან თავიანთ ჯიშ-

**გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე**



## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

## მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის დღე

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ მე-3 გვერდზე

სა და ჯილაგს!.. „ბუნების უმაღლესი ქმნილებანი“ — ადამიანები კი?

მე წინასწარ ჟრუანტელი მივლის იმის ფიქრით, თუ რა საშინელი ამბები მაქვს მოსაყოლი; თუნდაც მარტო ის, რაც თვითონ მინახავს და განმიცდია, ან წარსულიდან მაქვს მიღებული, როგორც ცოდნა და გამოცდილება.

●

...მიუნხენის „ყავისფერი სასახლის“ სხდომათა დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის მეთაურები, ეკიდა რომელიღაც გერმანელი მხატვრის მიერ უგემოვნოდ დახატული უზარმაზარი სურათი — „მსოფლიო წარღვნა“, ანუ როგორც ბიბლიაში წერია: „წყლით რღუნა ას ერგასის დღე“.

ეს სურათი პირადად ჰიტლერის მითითებით იყო შესრულებული. იგი თავისებური ინტერპრეტაციით გამოხატავდა ბიბლიურ წარღვნას და წარმოადგენდა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის სიმბოლოს, რომლის აზრი ისევ იმ ბიბლიიდანაა აღებული, სადაც წერია:

„...ღმერთმან რა იხილა, ვითარმედ განმრავლდეს უსჯულოებანი კაცთანი და განიხრწნა ქუეყანა ღმრთისა წინაშე, თქუა: უნდა აღვხოცო კაცი, რომელი შევქმენ, პირისაგან ქუეყანისა, კაცთაგან მიპირუტყუადმდე და ქუეწარმავალთაგან მფრინველთადმე ცისათა“.

მხოლოდ ნოემ პოვა „მადლი წინაშე ღმრთისა“ და, „ვითარ ამცნო მას უფალმან“, ააგო „კიდობანი იგი სამასი წყრთა სიგრძე... ერგასის წყრთა სივრცე და ოც და ათი წყრთა სიმაღლე“, რომელშიც შეიყვანა „ნათესაობანი ებრ მისი“, რის შემდეგაც იქნა „რღუნა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე ქუეყანასა ზედა... ათ ხუთმეტ წყრთა ზედა კერძო ამაღლდა წყალი და დაფარნა ყოველნი მთანი, და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი: მფრინველნი, პირუტყუნი და მხეცნი, და ყოველი ქუეწარმავალი, და ყოველი კაცი, რაოდენსა აქუს სული სიცოცხლისაჲ და ყოველი, რომელი იყო ხმელსა ზედა... და დაშთა მხოლოდ ნოე, და მის თანანი კიდობანსა შინა...“.

იმ სურათზეც ესაა გამოსახული: ქვეყანა წალეკვაზეა წყლის სტიქიის მძვინვარებით. იღუპება ყველა, ვისაც „აქუს სული სიცოცხლისაჲ“, გარდა ნოესი „და ებრ მისთა“, რომელთაც იმედით სავსე თვალები მიუპყრიათ ცისაკენ, საიდანაც მოქუფრულ ღრუბლებს შორის, ნაცვლად მზისა, ანათებს ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის ემბლემა — სვასტიკა.

ჰიტლერი ხშირად ჩერდებოდა გულხელდაკრეფილი ამ სურათის წინ, თვალებს ზეცისაკენ აღაპყრობდა და „ღვთის იდუმალებას ნაზიარები“ მოციქულივით წარმოთქვამდა:

— აი, რა მინდა მე!

იგი იმდენად იყო შეპყრობილი რელიგიურ-მაგიური ფანტასტიკით, რომ „ნაციონალ-სოციალიზმი“ უფრო „დამპალი ქრისტიანიზმის“ შემცვლელ რწმენად მიაჩნდა, ვიდრე პოლიტიკად. უთქვამს კიდეც: „ვინც ნაციონალ-სოციალიზმში მხოლოდ პოლიტიკურ მოძღვრებას ხედავს, ამ მოძრაობის არაფერი ესმისო“. სულ იმაზე ოცნებობდა, როგორ წაელეკა „ძველი სამყარო“ და მასთან ერთად მილიონობით „გადაგვარებული ადამიანები“, რომელთაც ის ზიზღით „პლანეტის ბაცილებს“ (Planetenbazillen) უწოდებდა.

ჰიტლერს ეს არც მიაჩნდა დანაშაულად, პირიქით, სულ იმას ამბობდა: თუ „ღმერთს სიკეთისას“ არ ეთვლება ბოროტებად მსოფლიო წარღვნის გამოწვევა და უღირს ადამიანთა მოდგმის „აღხოცვა“ პირისაგან დედამიწისა“, მე რატომ უნდა ჩამეთვალოსო ეს ცოდვად! ამიტომაც ცდილობდა თავი სიკეთისა და ბოროტების მიღმა მდგომ ისეთ მესიად წარმოედგინა, რომლისთვისაც სისხლიანი წარღვნაც კი არ ითვლება დანაშაულად...

მე შემდეგაც გიამბობთ, თუ როგორ შეუხამეს ჰიტლერელებმა ამ ბიბლიურ ლეგენდას ხალხთა მასობრივი ჟლეტის პოლიტიკა „ღვთაებრივ იდუმალებას ნაზიარევთა“ პირველი შეთქმულებიდან „მესამე იმპერიის“ აგონიამდე, როცა იმავე „ას ერგასის დღის წყლით რღუნის“ ფანატიზმით შეპყრობილმა ჰიტლერმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, სხვა რომ უკვე არაფერი შეეძლო, „მცირე წარღვნის“ გამოსაწვევად მაინც, გასცა განკარგულება, დაენგრიათ მდინარე შპრეეს დამბები და წყალი მიეშვათ ბერლინის მეტროში, სადაც სამასი ათასზე მეტი გერმანელი ლტოლვილი აფარებდა თავს...

...ახლა, როცა იმ ომის საშინელ ამბებს ვიხსენებ, ძალაუნებურად მეც ვერთვები „მსოფლიო წარღვნის“ ბიბლიურ ალეგორიაში. აქ ნაამბობსაც ამიტომ ვუწოდებ „ას ერგასის დღეს“. ეს ის ას ორმოცდაათი დღეა, „წყლით რღუნამ“ რომ წალეკა ქვეყნიერება... ჩვენი დროის „წარღვნა“ კი ათჯერ ას ერგასის დღეს და კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელდა.

გარშემო ისევ მეწამული წარღვნა ბობოქრობს. მის მღვრიე ტალღებს კი ადამიანთა უამრავი სახე მოაქვს. მათ შორის ნაცნობიც ბევრია და უცნობიც. ზოგი მხიარული ღიმილით მეგებება, ზოგიც სახედაღვრემილი მიყურებს... მე ვაკვირდები მათ და შიში მიპყრობს... ცოცხალთა შორის მკვდარიც ბევრია, შემაძრწუნებელია მათი გაყვითლებული და გაცრეცილი სახეები, ჩამქრალი თვალები და ბაგეზე შერჩენილი გაბზარული ღიმილი... ისე მეჩვენება, თითქოს ვიღაც იცინის კიდეც და ჩონჩხად იქცევა... ახლა კი ძვლები მხოლოდ... თავის ქალა... თვალების ღრუ და დაღრჭენილი კბილები...

მერე ყველგან ასეთსავე საშინელ სურათებს ვხედავ და ისევ ის სიცილი მესმის — მიცვალებულის ყრუ და ჟრუანტელის მომგვრელი სიცილი... ასე მგონია, მთელი სულეთი აშლილა და სიზმარივით მოჰყვება მოგონებათა ტალღების დენას...

●

...ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი. სუსხიანი ზამთარი. ოცი-ოცდაათი გრადუსი ყინვა. გესტაპოელი მოათრევს ნახევრად შიშველ მშობიარე ქალს და გაყინული თოვლით დაფარულ მოედანზე აგდებს, თვითონ კი შორიახლო დგება და ავტომატმომარჯვებული უცდის, როდის დაიბადება ბავშვი, რომ მოკლას.

სიცივით გალურჯებული და ტკივილებით გამწარებული დედა თმებს იგლეჯს, კივის, გესტაპოელი კი რაღაც მხიარულ სიმღერას უსტვენს და მოსაკლავად ელოდება ადამიანს, რომელიც ჯერ არ დაბადებულა...

... უფრო მოუთმენელნი დაბადებასაც არ აცდიდნენ თავიანთ მსხვერპლთ...

რასტენბურგის საკონცენტრაციო ბანაკში, სადღაც ერთად შეგროვილი, სამასამდე მშობიარე ქალი მოიყვანეს, ჯერ ტუსაღ მამაკაცებს უზარმაზარი ორმო ამოათხრევინეს, ორმოში შეშა ჩაყარეს, ბენზინი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. მერე ქალებს ტანსაცმელი გაახდევინეს და იმ მოგიზგიზე საფლავის ნაპირზე დააყენეს რამდენიმე ჯგუფად. გაისმა მეთაურის მოკლე ბრძანება და მეავტომატეები მაშინვე შეუდგნენ თავიანთ საქმეს...

მე არ შემიძლია გიამბოთ, რაც ამის შემდეგ მოხდა. ადამიანს ასეთ დროს გონება ეფანტება... შეშინებული სიტყვებიც სადღაც გარბიან... ყურში კი იმ შემზარავი ტრაგედიის ცოცხალი მოწმის ნათქვამი ხმაურობს:

— ქალები პირდაპირ ორმოში ვარდებოდნენ და ცეცხლის ალში ეხვეოდნენ... მართალია, ისინი უკვე მკვდრები იყვნენ, მაგრამ ბავშვები... ჯერაც დაუბადებელი ბავშვები... კიდევ რამდენიმე წამს ცოცხლობდნენ მშობელთა ადუღებულ სხეულში... მე ვხედავდი, ცეცხლის მხურვალებით როგორ იბერებოდა დედათა სხეული... ბოთლებივით სკდებოდა და... „ახლადშობილნი“ სისხლის, ცეცხლისა და კვამლის მორევში იკრუნჩხებოდნენ...

... მერე ათასობით და ათიათასობით დედის ძუძუს მოსხლეტილი ბავშვები გაგზავნეს გაზკამერებსა და კრემატორიუმებში, რითაც სრულიად გააფერმკრთალეს უძველესი ლეგენდა იუდეველთა მეფის ჰეროდეს მიერ ყრმათა ჟლეტისა...

„...ოდეს მოსწყვდა ყოველი ყრმები, რომელნი იყუნენ ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი...“

საკონცენტრაციო ბანაკებში ხომ უარესი ხდებოდა. აქ „ჰეროდეს ძენი“ ყოველდღიურად რამდენიმე ათას ბავშვს გზავნიდნენ გაზკამერებსა და კრემატორიუმებში... ბანაკების საწყობები სავსე იყო დახოცილი ძუძუმწოვარა ბავშვების ფაჩუჩებითა და ტანსაცმლით. ათასობით პატარა ურიკები ეყარა ეზოში. ჩვილი ბავშვების თმები ცალკე იყო დაწყობილი, როგორც „უმაღლესი ხარისხის მასალა“ ლეიბებისთვის.

ეს კიდევ არაფერი. ურიასტანში თუ რაღაც მიზეზის გამო ხოცავდნენ ბავშვებს... აქ უმიზეზოდაც... ისე, გასართობად!..

...იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდატურის შენობის აივანი მეორე სართულზე. აივანზე დგას შტურმფიურერი გუსტავ ვილჰაუზი. მის გვერდით სტუმრად ჩამოსული მეუღლე და ექვსი წლის გოგონაა.

იწყება „ნადირობა“. ქვევიდან მინოტავრივით სქელკისერა ესესელი ააგდებს ძუძუმწოვარა ბავშვს!.. ვილჰაუზი ესვრის... მავთულხლართს იქით კივის გამწარებული დედა. კომენდანტის პატარა გოგონა კი აღტაცებული ხტუნავს და იძახის:

— კიდევ, მამა, კიდევ!..

...მერე ერთმანეთში დავობენ: შეიძლება თუ არა ხმლის ერთი დაკვრით ათი წლის ბავშვის შუაზე გაკვეთა. ეს დავა სანაძლეომდე მიდის. მოგებულს ერთი ბოთლი „შნაპსი“.

შეჯიბრება იწყება. ბანაკიდან მართლაც ათი წლის ბავშვი გამოჰყავთ, დააჩოქებენ და აიძულებენ გულ-ხელი დაიკრიფოს. ესესელი ჯერ ხმალს უსწორებს თავში, მერე დაჰკრავს და... ნიძლავი მოგებულია...

...გესტაპოელი ბეკერი სამიზნედ ხეზე აკრავს ბავშვს, ჯერ ერთს, მერე მეორეს... მესამეს... შუბლში მოხვედრება — 5 ქულა, მკერდის არეში — 4, ტანზე — 3, აცდენა — 2. თუ ვინმეს ხელი აუცახცახდება და ვერ ესვრის — 0.

შეაჯამებენ და გამარჯვებულს აჯილდოებენ...

...ახალდაბადებულსა და ძუძუმწოვარა ბავშვებს სახეზე ბალიშს აფარებენ და გუდავენ, წყლით სავსე კასრში ყრიან ან უბრალოდ ხიშტზე აგებენ და კრემატორიუმში წვავენ... ზოგჯერ ცოცხლადაც...

...მე ახლაც თვალწინ მიდგას, ნიურნბერგის პროცესზე როგორ შემოიყვანეს მოწმე, ახალგაზრდა, მაგრამ სრულიად ჭაღარა ქალი — სევერინა შმაგლევსკა, რომელმაც თავისი პირველი პირმშო საკონცენტრაციო ბანაკში შვა. მან უამბო მოსამართლეებს, თუ როგორ ართმევდნენ დედებს ახალდაბადებულ ბავშვებს და სპობდნენ...

დაკითხვას საბჭოთა ბრალმდებელი აწარმოებდა:

კითხვა: რამდენ ხანს იყავით თქვენ ოსვენციმში?

პასუხი: 1942 წლის შვიდი ოქტომბრიდან 1945 წლის იანვრამდე.

კითხვა: რით დასტურდება, რომ თქვენ იყავით ამ ბანაკის ტუსაღი?

პასუხი: მე მაქვს ხელზე ამოშანთული ნომერი (აჩვენებს).

კითხვა: გთხოვთ მიპასუხოთ, იყავით თუ არა მოწმე ესესელების დამოკიდებულებისა ბავშვებთან?

პასუხი: დიახ!..

კითხვა: გვიამბეთ ამის შესახებ.

პასუხი: იმ დროს, როცა ებრაელებს დიდი რაოდენობით სპობდნენ გაზკამერებში, გამოვიდა განკარგულება, რომ ბავშვები გაზით წინასწარ მოუწამლავად პირდაპირ ჩაეყარათ კრემატორიუმში.

კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ ეს: ცოცხლად ყრიდნენ ცეცხლში, თუ დაწვის წინ ხოცავდნენ რამე სხვა საშუალებით?

პასუხი: ცოცხლად ყრიდნენ ცეცხლში. მათი ყვირილი მთელს ბანაკში ისმოდა.

ჩვენ გაოგნებული ვუსმენდით ამ საშინელ ამბებს. ბრალმდებლებს თავი ჩაექინდრათ. თავმჯდომარე ლოურენსს ხელები უცახცახებდა... შმაგლევსკაც გაჩერდა, შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა, თვალები დახუჭა და მცველები რომ არა, ალბათ, წაიქცეოდა კიდეც, მაგრამ ხელი სტაცეს და შეაჩერეს. მერე ღონემიხდილი მარცხნივ მიბრუნდა და მწუხარებისაგან ამომშრალი თვალებით მიაჩერდა ბრალდებულებს. ყველანი უხერხულად შეიშმუშნენ განსასჯელთა სკამზე. შმაგლევსკამ კი ძალა მოიკრიბა და შემზარავი ხმით იკივლა:

— ევროპის ყველა ქალის სახელით, ვინც ბავშვი დაბადა საკონცენტრაციო ბანაკში, მე გეკითხებით თქვენ და გერმანელ დედებს:

— სად არიან ახლა ჩვენი შვილები?..

...იცის ვინმემ რამე ამის შესახებ? — იკითხა ამ ამბით შეძრწუნებულმა დამცველმა ნიურნბერგის ციხის სასადილოში, სადაც მთავარი სამხედრო დამნაშავენი ერთად იკრიბებოდნენ.

— არაფერი! — წამოიძახა მაშინვე კაიტელმა და განზე გადგა...

— რა თქმა უნდა, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით! — გამოეხმაურა მას საკონცენტრაციო ბანაკების პირველი შემქმნელი გერინგი. — ეს ისეა, როგორც ფრონტზე. ოფიცრებმა ყოველთვის როდი იციან, რას აკეთებენ ჯარისკაცები მოწინავე ხაზზე. რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი, მით უფრო ნაკლებ ხედავს, რა ხდება დაბლა!..

●

1942 წლის შემოდგომაზე ჰიტლერი დროებით ოკუპირებულ უკრაინაში ჩავიდა. კიევში მის მანქანას ცნობისმოყვარე ბავშვების გუნდი შემოეხვია. ჰიტლერს სახეზე ნაძალადევი ღიმილი აეხატა და კამფეტები დაურიგა პატარებს. მერე სურათებიც გადაიღო მათთან.

მე მახსოვს, გერმანული თვითმფრინავები რომ ჩვენი ჯარების განლაგებაში უამრავ „მფრინავ ფურცელს“ ყრიდნენ, სადაც ამგვარი სურათები იყო დაბეჭდილი წარწერით: „ბავშვთა დიდი მეგობარი — ადოლფ ჰიტლერი“.

ეს ისე, სხვების თვალის ასახვევად, სინამდვილეში კი...

...უკრაინიდან თავის რეზიდენციაში — ბერჰტესგადენში დაბრუნებულმა „ბავშვთა დიდმა მეგობარმა“ ჰიტლერმა იხმო იმპერიის პირველი ჯალათი ჰიმლერი და სწორედ გერინგის, ბორმანის, კაიტელის, რიბენტროპისა და სხვათა თანდასწრებით უთხრა:

— მე ვიყავი უკრაინაში. იქ ვნახე წარმოუდგენლად ბევრი ბავშვი (ungeheuer viel Kinder), სულ ჯანსაღები, ფიზიკურად ძლიერები და ქერათმიანები. გერმანელმა ბავშვებმა გამოხდილი წყალი თუ არ სვეს, მაშინვე ავად ხდებიან, ისინი კი წუმპისა და ჭაობის წყალს სვამენ და ვითომ არაფერი!

მერე ხმას აუწია და განრისხებულმა იყვირა:

— ჰიმლერ! თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს? რა ამბავია ამდენი ბავშვი უკრაინაში! ჩვენ იქ იმიტომ მივედით, რომ დავსახლდეთ, თუ ძიძებად დავუდგეთ მათ ბავშვებს?! ეს როდისმე კისერში ამოგვივა! ნუთუ არ გესმით, რომ ის ბავშვები ჩვენი მომავალი მტრებია?

ჰიმლერმა, რა თქმა უნდა, გაიგო, რასაც ნიშნავდა ეს... და მაშინვე წამოვიდა ბრძანებები, ინსტრუქციები, განკარგულებები... საკონცენტრაციო ბანაკები აივსო ბავშვებით. გაზკამერები და კრემატორიუმები დღედაღამ მუშაობდნენ „ბავშვთა სიმრავლის“ (Kinderreichertum) სალიკვიდაციოდ...

მახსოვს, ნიურნბერგში სახელმწიფო უშიშროების სამსახურისა და გესტაპოს უფროსმა კალტენბრუნერმა წინასწარ დაკითხვაზე რომ თქვა: ბავშვებს თუ არ დავხოცავდით, მომავალში წინააღმდეგობის ძალა ხომ მაინც გაიზრდებოდაო...

...ასეთია მითებისა და სინამდვილის ერთიანობის მოდუსი! ამიტომაც ვამბობ: ათასი თვალი და ყური რომ გამოიბა კაცმა, აქ მაინც ვერ გაარჩევ, სად ერთია და სად მეორე. ვერც იმ დანაშაულობათა განზომილებებს დაადგენ ასე ადვილად, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს იმ საშინელი ომის დროს... ამას ხედვის განსაკუთრებული ძალა უნდა, მაგიური ხილვის უნარი, რაც მხოლოდ მითებშია შესაძლებელი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გენერალისიმუსი
2024 წლის 2 სექტემბერი. №43 (279)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# კოტე, შენით ახვალ მთაწმინდაზე თუ ძალით აგათრიოთ?!




მოკლედ, ნაცების მგოსან კოტეს რომ მიგნებები აქვს პოეზიაში, ნუ იტყვით!

სასვენ ნიშნებს თავი დავანებოთ, ეგენი საერთოდ აღარ ხმარობენ, პირდაპირ რითმაზე, რიტმსა და წყობაზე გადავიდეთ: **ესე იგიო, იძახის მგოსანი კოტე — დელია და ოდელია, ვატყობ ნუში მაყვალდებაო.**

გაიგონეთ?

ეგეთი შედარება ქართულ კი არა, მსოფლიო პოეზიაშიც არავის გამოუყენებია — **ნუში მაყვალდებაო.** ახლა წარმოიდგინეთ, ნუში რომ **გამაყვლდება,** თქვენში როგორი ემოცია, როგორი ექსპრესია და როგორი რწმენა გაღვივდება.

ეს კიდე არაფერი... დაუკვირდით რითმას — **ნუში იმიტომ მაყვალდება,** რომ მოსალოდნელია **გაყალბება.** აქ ერთმანეთს ერითმება „მაყვალდება — გაყალბება", რაც ჩემი აზრით, შედევრია!

მგოსანი წუხს, რომ დღეს საქართველოში რეპრესია მძვინვარებს, ადამიანს სიმართლე ჩურჩულითაც კი ვეღარ უთქვამს, ეგრევე იჭერენ და სადღაც ჯურღმულში **ოთარ ფარცხალაძე** აწამებს.

შემდეგ: **მიყურადებული სუსი, პასიური როლი ხალხის, გაგულვებული რუსი და დიქტატი ოლიგარქის, თან ერთ წრეზე ტრიალობა არის ჩვენი რეალობა.**

თქვენი არ ვიცი, ხალხო, მე კი გაოცებული ვარ **მგოსან კოტეს** პოეტური აღმოჩენებით. რამდენიმე სტრიქონში ამდენი „გარტყმა" თვით **ბაირონსაც** არ ჰქონია. სხვათაშორის, ბაირონი და კოტე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს — **იმას ნაპირა ფეხი ჰქონდა მოკლე, ამას ნაპირა ყური აქვს მოკლე.**

მაქვს იდეა — **მოდით, ახლავე ავიტანოთ კოტე მთაწმინდაზე და სადმე მივაყუდოთ, მერე რომ არ ვინანოთ, ცოცხალი არ დავაფასეთო.**

არა?

არ გამოვა? მთაწმინდაზე არ გაჩერდება? ეგრევე გამოქანდება და კოლმეურნეობის მოედანზე გაიშხლართება?

ნუ, რავი, ეტყობა, ეგეთია დიდი ადამიანების ბედი, მაგათ ხომ სუსი მუდმივად აყურადებს? ამიტომაც აქვთ თავში **ტრიალობა** და ექმნებათ სუ სხვანაირი **რეალობა!**

☺

**კოტე, ეხლა შენით ახვალ მთაწმინდაზე და წამოწვები ილია ჭავჭავაძის გვერდით თუ ძალით აგათრიოთ?!**

გაგრძელება მე-20 გვერდზე

# აკი, გითხარით – გაგიჟდებიანო!



ახლა მაინც დარწმუნდით, რომ ჩემი გამოცდილების ადამიანს სიზმარიც უნდა დაუჯეროთ? თქვენ კიდე იძახდით — **არ ჩაიცვამსო, თუ ჩაიცვამს, ეგეც ყვითელს ჩაიცვამსო.**

ყვითელი ხალათები სხვებს ჩააცვა, თვითონ კიდე **ზოლიანი ჩაიცვა!**

ხედამთ, **ალიკოს** როგორი უკმაყოფილო სახე აქვს? გულის კუნჭულში იძახის — არჩევნები არ იყოს, ფულები დასაყაჭი არ იყოს, მე ვიცი, როგორც დეგელაპარაკებოდიო.

☺

**იცით, არჩევნების მეორე დღეს რა მოხდება?**

**ამ ზოლიან ხალათს უკუღმა ჩაიცვამს, ზოლიან ჩემჩიკსაც დაიხურამს და თავისი ფეხით წავა ან გაჩიანში, ან კიდე — ხონში.**

მაგას თვითონ გაარკვევს, **ანიკო ნაცვლიშვილი** გადარეკავს, **სადაც თავისუფალი ადგილები ექნებათ, იქ წავა.** ისე, რო იცოდეთ, არჩევნების შემდეგ რიგები დადგება, კლიენტურა მოიმატებს და რასაკვირველია, ადგილებიც შეიზღუდება.

# ჩიხლაძისგან ჩიხლი არ უნდა გეწყინოს!

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, ყოველი ადამიანი რაღაცით ჰგავს ცხოველს. აბა, **ვირის გარდა,** დუნიაზე ვინმე იკითხავს, **კახა კალაძე** საშოპინგოდ რა სახსრებით დადისო?

ისესხა, თქვე ჩემისებო, ისესხა!

სადა? რავი, მეზობლებში, მეგობრებში, ცოტა თვითონაც მიამატა, შარშანწინ საჯინიბოში რომ მუშაობდა, ჯამაგირი მისცეს!

**თან ანტიკორუფციულ ბიუროს მოუწოდებს — გამოიკვლიეთო. ხვალ, ალბათ, პროკურატურასაც მიმართავს — გამოიძიეთო.**

ზუსტად არ ვიცი, სადღაც დაწერეს — როცა **კალაძე** მილანში თამაშობდა, **წელიწადში 9 მილიონ ევროს უხდიდნენო. 9 რომ გავამრავლოთ 10 წელიწადზე, რამდენი გამოდის?** აღარაფერს ვამბობ მოგებულ ტიტულებსა და ათასნაირ პრემიებზე, ასევე სარეკლამო ხელშეკრულებებზე.

☺

მოკლედ, საარჩევნოდ **სერგომ** სკანდალი გახეთქა — **კალაძე რითა შოპინგობსო?** მოსახლეობას სიძულვილი გაუჩინა, ინტრიგა დათესა, თვითონ პატიოსანი კაცის სახელი დაიგდო... აეგ არი პოლიტიკოსობა, ასე რომ, **ჩიხლაძისგან ჩიხლი** არ უნდა გეწყინოს!




# ტოჟე მნე წინასწარმეტყველი!




**ეს კიდე 10 წელიწადში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე და იმნაირს იტყვის, მომდევნო ათი წლის განმავლობაში არ გვავიწყდება!** ისე კი, რაც ამან ცხოვრებაში შაყრა-გაყრა და დაშლა-არმოშლა ნახა, კიდე კარგად არი. წესით, ქვებსაც უნდა ისროდეს საკუთარ ბოსტანში, რომელიც **ბიძინა ივანიშვილმა** მიუსაჩუქრა.

ოპოზიციისათვის საკონსტიტუციო უმრავლესობას ქართველი ხალხი უზრუნველყოფს 26 ოქტომბერსო... აჰა, დაიწყო ამანაც ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკი. **არადა, ქართველი ხალხი რას უზრუნველყოფს, ეს მხოლოდ ქართველმა ხალხმა იცის, შენ და შენნაირებმა 27 ოქტომბერს ფრთხილად გაიღვიძეთ, ბნედა რომ არ დეგეცეთ!**

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

დასაწყისი მე-19 გვერდზე

# ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო...



არა, რააა... ესენი მაინც სუ სხვანაირად არიან აღზრდილები... აი, რაღაცნაირად, პურიტანულად, გეგონება, შუა საუკუნეებიდან გადმოვიდნენ და გარყვნილ ქალებს კდემამოსილება უნდა ასწავლონო.

**ჰმ... ასწავლიან კიდევაც, რა, ვერ ასწავლიან? სადღაა ეგეთი არისტოკრატიული ტანისამოსი, ტან-ფეხები, ელეგანტურობა, მანერები, თავაწეულობა, თავდაჯერებულობა, მიხვრა-მოხვრა, გამომეტყველება, მზერა, საუბრის მოკრძალებული ტონი, ხავერდოვანი ტემბრი, ფერთა შეხამება.**

სადღაა-მეთქი?

მხოლოდ ამათთან თუ შემორჩა... განა ბევრი გინახავთ აეგრე მჯდომიარე მდედრები?

სად არის **რაფაელი?** სად არის **ტიციანი?** სად არის **მიქელანჯელო?** სად არის **ლეონარდო და ვინჩი,** რომელიც ჯოკონდას ხელახლა დახატავდა?



**ტიციან**ს რომ მადმუაზელ გორდელაძე ენახა, დაუხატავს გაუშვებდა? არამც და არამც!

აი, სწორედ ამ გოგოებზეა ნათქვამი, დროს ასცდნენო.

**პრინციპში, დროს ესენი ასცდნენ თუ რაფაელი, ტიციანი, მიქელანჯელო და ლეონარდო, ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია. მე მაინც მგონია, რომ ისინი დაიბადნენ ადრე.**

ვერაფერს ვიზამთ... იმედი ვიქონიოთ, რომ სანამ ესენი აქ არიან, ლეონარდო და ტიციანი მაინც დაიბადებიან ხელახლა.

☺

**აჰა, უყურეთ და დატკბით.**

**ეხლა არ მითხრათ, ეგეთ არისტოკრატებს ყოველდღე ვხედავთო.**

# ვარკეთილს ველარ გასცდებიან კახეთის მხარეს!




ამაზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია, მაგრამ ეგეთი წუნწუხიც არ მეგონა. მით უფრო მას მერე, **რაც ბიძინა ივანიშვილმა სამკურნალოდ საზღვარგარეთ გააგზავნა და სიცოცხლე შთაბერა.**

დაბრუნდა თუ არა საზღვარგარეთიდან, ეგრევე ბიძინა ივანიშვილს მისდგა და გინება დაუწყო, დიქტატორიაო.

**შალვა რამიშვილმა** ჰკითხა — **ეგრე რანაირად ახერხებ ცხოვრებას, რომ ადამიანისგან სიკეთეს იღებ და ამავე დროს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავო?**

ამან, ამ მუდრეგმა — **სიკეთის მიღება სხვა რამეა და პოლიტიკა კიდე — სხვაო!**

☺

დავითას, **რომელსაც ყველაფერი მოსდის საკუთარი თავითა,** აქამდე რა სირთაოზობებიც წამოუწყვენია, იმაზე აღარაფერს ვამბობ, ახლა ისეთი რაღაცა გააგორა, თავის თანამებრძოლ **ლევანა ბერძენიშვილივით** ვარკეთილს ველარ გასცდება კახეთის მხარეს.

რა უნდათ ამ შეჩვენებულებს კახეთისგან, რას გადაეკიდნენ?

ჯერ იყო, **ღვინოში ჩაგიფსითო** და... უნდა ვაღიარო, კახელებისგან მაინც ვერ მიიღეს საკადრისი პასუხი, ამათ აქცია კი არა, პანჩური უნდოდათ დილა-საღამოს!

ახლა ისაო — **კახეთი ყველაზე პრორუსული რეგიონია,** კახელებს ღვინის გაყიდვის მეტი არაფერი აინტერესებთო.

**იცით, რაზე გამწარდნენ?**

**ირაკლი კობახიძემ რო გამოაცხადა, კახეთის გზატკეცილზე ერეკლე მეორის ძეგლი დაიდგმებაო.**

ამათთვის **ერეკლე მეორე** პრორუსი მეფე იყო და ახლა ამ გაგანია პროევროპიელობის პერიოდში უნდათ პრორუსი მეფე?

ესენი ალაგ-ალაგ უკვე იმაზეც ლაპარაკობენ, „ქართული ოცნება“ დღეს თბილისში **ერეკლე მეორის** ძეგლს დადგამს, ხვალ — **ერეკლე ღარიბაშვილისას,** ზეგ — **ერეკლე კობახიძისას,** მასზეგ კიდე — **ერეკლე ტრიპოლსკისასო!**

რაც შეეხება **კახელების პრორუსობას,** ეგ მტკნარი სიცრუეა. **კახელები ვართ არა პრორუსები,** არამედ დინჯები და შორსმჭვრეტელები —

## არა, ბიჭო, ღვინოში ჩამფსმელებსა და შარვლისჩამხდელებს მოვიყვანთ ხელისუფლებაში!

## კვირგვინოსნები

**სერგო ჩიხლაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



„ოცნება“ **უბრალო უმრავლესობასაც ვერ მოიპოვებს,** არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობას. ჩემი ვარაუდით, **150 მანდატიდან, მაქსიმუმ, 50 მანდატსაც ვერ აიღებს,** თუ მეტს აიღებს, დათვალონ.

„ინტერპრესნიუსი“

**თინა ბოკუჩავა**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



**ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ დრო ამოიწურა,** ამოიწურა ქართველი ხალხის მოთმინება, **ჩვენ გავიმარჯვებთ 26 ოქტომბერს,** გავიმარჯვებთ სახელოვნად.

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



**ივანიშვილი** გრძნობს და კარგად ხედავს წაგებას, **ის არის შეშინებული, მშიშარა ადამიანი** — მისი შიში გამართლებულია, რადგან ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს, **26 ოქტომბერს რა უნდა მოხდეს!**

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



როგორც ხის რკინა არ არსებობს, ისე **არ არსებობს პატრიოტი „ქოცი“** — 26 ოქტომბერს **ივანიშვილს გავუშვებთ პოლიტიკურ პენსიაზე.**

„ინტერპრესნიუსი“

**სალომე სამადაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



2012 წლისგან განსხვავებით, **ბიძინა ივანიშვილი ტყუილ დაპირებებსაც ვერ გასცემს** და ის, რასაც ხალხს ჰპირდება, **ოპოზიციის განადგურებაა!**

„რეზონანსი“

**გიგი უგულავა**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**სამჯერ ვიჯექი ციხეში, მიხეილ სააკაშვილი** დღემდე პატიმრობაშია და მეტი რა უნდა ქნან, **ტყავი უნდა გაგვაძრონ?**

„რეზონანსი“

# გამოდი, ქალო, ბუტკიდან!



სალომე სამადაშვილი:

ჩვენ არჩევნებამდე უნდა შევქმნათ განგაშის დიდი განცდა!

რას ნიშნავს **განგაშის დიდი განცდა?**

ეს ნიშნავს ჭიქაში ტყუილ ქარიშხალს, ანუ არარაისგან რაღაცის შექმნას.

ჯერ კიდევ **შექსპირმა** ბრძანა მეფე ლირის პირით — **არარაისგან არ იქმნების არარაიცაო,** მაგრამ ეგ მეთოდი დღეს გაუქმებულია. **დიახაც, ამათი ჭკუით, არჩევნებამდე უნდა შეიქმნას განცდა, განწყობა, შეგრძნება, განგაში იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყანას ღუპავს, ბიძინა ივანიშვილს უნდა არა მშვიდობა, არამედ ომი. თუ 26 ოქტომბერს გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“, 27-ში გავიღვიძებთ ჩელიაბინსკში... შეიძლება კურსკშიც გავიღვიძოთ, ეგ მხოლოდ პუტინმა და ივანიშვილმა იციან.**

აი, ამიტომ არის **განგაშის ზარები** დასარისხებელი.

კაკაბეთის ზარები გახსოვთ?

აეგრე უნდა დავარისხოთ. **მაშინ ბავშვის გატაცებაზე დავარისხეთ, ახლა სამშობლოს გატაცებაზე უნდა დავარისხოთ.**

☺

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ **მე, ერეკლე მეორის ყოფილ ჯარისკაცს, ვინმე მახრიბაკიანი** მასწავლის, როდის რა უნდა შევქმნა და როდის რა უნდა დავარისხო?!

გამოდი, ქალო, იქიდან, სადაც შენისთანები ბევრჯერ შევიდნენ!





კახა ოქრიაშვილი: როგორც 2012 წელს აიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თბილისში 27%, ოპოზიციამ კი 68%, ასე მოხდება წელსაც, ოღონდ პირიქით – „ოცნება“ 27%-ის ფარგლებში აიღებს და ოპოზიციაში გადაბარგდება

# ხან იქით და ხან აქეთო...

ესე იგი, ამანაც ჩამოჩოთქა თავის ხოშზე, ანალგინისა და ციტრამონის ფასებს რომ ჩამოჩოთქავს ხოლმე — **2012-ში როგორც იყო, ზუსტად აეგრე იქნება, ოღონდ პირიქითო... ეხლა მე ისევ ნაცი ვარ და 68 პროცენტს ავიღებთ, ხოლო „ოცნება“ 27 პროცენტს აიღებს და ოპოზიციაში გადაბარგდებაო... დანამდვილებით ვიცი, ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქ, მე პარლამენტიდან ვერ გამომათრევთ, სანამ ცოცხალი ვარ და პირში სული მიდგასო... დიახაც, ხან აქეთ ვიქნები, ხან იქით, ხან წაღმა, ხან უკუღმა, ხან კიდე გარდიგარდმო-ვო!**

აემას არც ფული აკლია, არც ცხოვრება აკლია, არც ქონება და სახრავ-სალაფავი აკლია, მაგრამ მაინც იქით იწევს, მაინც იქ უნდა იჯდეს, ზემო თაროზე.

☺

იცით, რა მიკვირს?

ყველა თავისას რომ მიერეკება, ყველა თავისებურად რომ ჭრის და კერავს, ყველა თავისას რომ ითლის სამშობლოს ბარკლიდან, **დანარჩენებს რატომ აღარაფერს გვეკითხებიან?**



# გეგონება, ხაზარაძის ვალი აქვთ!

ვაკვირდები ე.წ. ოპოლიდერების შეხვედრებს ე.წ. მოსახლეობასთან და ერთი გაღიმებული ადამიანი ვერ ვნახე. აღარაფერს ვამბობ გაცინებულ-გადახარხარებულზე.

**დგანან, გეგონება, უსმენენ, გეგონება, გულისყური იქით აქვთ და ამ დროს, თითქოს პანაშვიდზე არიან.**

პრინციპში, მეც ვამბობ, რაღა... ეს ხომ მართლაც ე.წ. ოპოზიციის პანაშვიდია?

აი, ვინც ამათ გამო გარეთ გამოდის, კი გამოდის, მაგრამ გული ძალიან ცუდს უგრძნობს. **მოსახლეობამ უკვე იცის, რომ ამათი საქმე წასულია, ერთი „დუხავოი მუზიკა“ აკლია.**

☺

აბა, თავად დააკვირდით — როცა ევროკავშირში შესვლას გპირდებიან, როცა 2 000-ევროიან პენსიას გპირდებიან, როცა ციდან დოლარების ცვენას გპირდებიან, არ უნდა გაიცინო და ტაში მაინც არ უნდა შემოჰკრა?

**არა, კაცო, დგანან გახევებულები, დაღვრემილები, უგრძნობლები, გეგონება, ხაზარაძის ვალი აქვთ.**



## დეპუტატი თამარ კორძაია: როგორ დაპირებებსაც საარჩევნოდ „ქართული ოცნება" იძლევა, ასეთ დაპირებებს ჰიტლერიც კი არ

განა **ჰიტლერი** ასე აწვალებდა ხალხს, როგორც **„ქართული ოცნება“** აწვალებს?

რა საჭიროა ამდენი დემოკრატიული და პლურალისტური ციებ-ცხელება? შეაგდე პირდაპირ გაზის კამერაში და ეგრევე გასძვრება სული!

**„ქართულმა ოცნებამ“** კიდე, ისაო — ნაციონალური მოძრაობა უნდა გავასამართლოთ და ავკრძალოთო... ან გასამართლება რა საჭიროა, ან აკრძალვა რისთვის გვინდა? როგორც ისტორიკოსები გვატყობინებენ, **ჰიტლერი ეგეთებს კი არ ასამართლებდა, გემზე შეკრებდა,** ეტყოდა — **სამოგზაუროდ უნდა გაგიშვათო და ერთიანად ძირავდა.**

აბა, ბიჭო, ჯერ გაასამართლე, მერე ციხეში ჩასვი, წლების მანძილზე პური აჭამე, მერე გამოუშვი, რეაბილიტაციაც უყავი და დაასაქმე...

**მეგობრებო, მე მაპატიეთ, რომ ეს ქალი პარლამენტში გვიზის და კაი მსუყე ხელფასსაც ვუხდით. სამწუხაროდ, ეგეთი ბრიყვული მოვლენა ყოფილა დემოკრატია და პლურალიზმი!**

## საჭიროა კარდინალურ-კორძინალური მოქმედება!

## კვირგვინოსნები



**გიული ალასანია**

*პატიმარ მიხეილ სააკაშვილის დედა*

იმედით ვუყურებ 26 ოქტომბრის არჩევნებს, **დარწმუნებული ვარ, ის შეცვლის არსებულ მდგომარეობას** და გავაგრძელებთ შენებას.

„პირველი არხი“



**ანა დოლიძე**

*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*

ჩვენ ვართ **რეალური ალტერნატივა** „ქართული ოცნების“.

„TV ფორმულა“



**თამარ კორძაია**

*პლატფორმა „ერთიანობის“ ერთ-ერთი ლიდერი*

თუ **კობახიძე ივანიშვილისგან ოპოზიციის ლიდერების დაჭერის დავალებას მიიღებს,** ამას გააკეთებს კიდეც.

„ახალი თაობა“



**ხატია დეკანოიძე**

*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*

**ოპოზიციური პარტიების აკრძალვის დაპირება** ამომრჩევლისთვის არცერთ მმართველს გაუბედავს.

„რეზონანსი“



**კახა ოქრიაშვილი**

*პარტია „პროგრესი და თავისუფლების“ ლიდერი*

როგორც 2012 წელს **აიღო ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისში 27 პროცენტი, ოპოზიციამ კი — 68 პროცენტი,** ასე მოხდება წელსაც, ოღონდ პირიქით.

„რეზონანსი“



**მამუკა გამყრელიძე**

*„ევროპული დემოკრატების“ გენერალური მდივანი*

ამერიკელები საქართველოში **არანაირი რევოლუციის მომწყობები არ არიან.** თუ ვინმე რამეს მოაწყობს, ეს არის რუსეთი!

„ახალი თაობა“

# ლანამ აჯობა

**100 წლის შემდეგ ლევან ღოღობერიძის რეჟისორი ქალიშვილი, რომელიც 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობიდან 4 წლის შემდეგ დაიბადა და მალე 96 წელი შეუსრულდება, დღეს იმ ბანაკშია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დამხობაზეა ორიენტირებული!**



***ზუსტად 100 წლის წინათ, 1924 წლის 3 სექტემბერს, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე ლევან ღოღობერიძე გაზეთ „კომუნისტში“ აქვეყნებს საინფორმაციო მოხსენებას, სადაც წერს, რომ საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ მიმართული საერთო-სახალხო აჯანყების მონაწილეთა მიმართ „მიიღეს სასტიკი ზომები ამ გამოსვლების ლიკვიდაციისათვის“. ეს პატაკი ნიშნავდა აჯანყების სისხლში ჩახშობასა და მასობრივ დახვრეტებს. ოპერაციის სათავეში, ღოღობერიძის გარდა, იდგნენ საშა გეგეჭკორი, ილარიონ (ვალიკო) ტალახაძე და დომენტი მშვენიერაძე.***

აჯანყებულთა მიმართ სასტიკი ანგარიშსწორების პიკს წარმოადგენდა **შორაპნის მაზრაში, პირდაპირ ვაგონებში ადამიანთა დახვრეტა და დაცხრილული ვაგონების კედლის ნასვრეტებიდან მდინარესავით წამოსული მათი სისხლი.** ზემოხსენებულ საინფორმაციო მოხსენებაში **ლევან ღოღობერიძე** საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ აჯანყებულთა მიზანი იყო დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობათა გულის მოგება, რათა ბურჟუაზიისთვის მიეცათ საშუალება, კიდევ ერთხელ ეკბინა პროლეტარული საბჭოთა კავშირისათვის. **ღოღობერიძე მიიჩნევდა, რომ ეს აჯანყება მენშევიკებს უკარნახა ევროპელმა ბურჟუაზიამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთის მთავრობამ.** პროლეტარიატის დიქტატურას ვერ დავამხობინებთ და ე.წ. დემოკრატიულ მთავრობას ვერ დავამყარებინებთო. ლევან ღოღობერიძისვე განმარტებით, აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო, ძირითადად, თავადაზნაურობამ, ასევე ვაჭრებმა, მიკიტნებმა და სპეკულანტებმა. იგი ხაზგასმით წერს, რომ **თავადაზნაურობის პროცენტული რაოდენობა უნდა შემცირდეს.** 1924 წლის ოქტომბერში საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მანვე კმაყოფილებით აღნიშნა, რომ **აჯანყების ჩახშობისას დახვრიტეს 980 კაცი და აქედან 95 პროცენტი — თავადაზნაურობა.**

ცნობისათვის: 1924 წლამდე **ლევან ღოღობერიძეს** უკვე ჰქონდა ადამიანების დახვრეტის გამოცდილება, რადგან 1920 წლის 9 სექტემბერს ალიჰეიდარ გარაევთან ერთად აზერბაიჯანში — ქალაქ გუბაში საბჭოთა ოკუპაციის საწინააღმდეგო აჯანყება ჩაახშო. დახვრიტეს 400 კაცი. **ლევან ღოღობერიძეს გლეხებზე განხორციელებული წნეხის შედეგად წარმატებით ჰქონდა ჩატარებული კოლექტივიზაცია, იყო ლენინის დამკრძალავი კომისიის წევრიც.**

100 წლის შემდეგ **ლევან ღოღობერიძის** რეჟისორი ქალიშვილი, რომელიც 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობიდან 4 წლის შემდეგ დაიბადა და მალე 96 წელი შეუსრულდება, დღეს იმ ბანაკშია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების დამხობაზეა ორიენტირებული და ელოდება, რომ დასავლეთმა მმართველი პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, არჩევნები არალეგიტიმურად ცნოს. **ის იყო გამჭვირვალობის კანონის მიღების წინააღმდეგ საპროტესტო აქციების მხურვალე მხარდამჭერი, იმ სიტუაციას 1937 წელს ადარებდა და ამბობდა — ეს პროექტი დასმენისა და სანქციების კომპონენტსაც შეიცავსო.** კულმინაცია იყო გაოპოზიციონერებულ სალომე ზურაბიშვილთან ერთად მისი გამოჩენაც. მართლაც ისტორიის ირონიაა —

**100 წლის წინათ ლანა ღოღობერიძის მამა ლევან ღოღობერიძე სალომე ზურაბიშვილის წინაპრებს იარაღით ხელში დასახვრეტად დასდევდა, ხოლო 100 წლის მერე მათი შთამომავლობა ერთად ელოდება იმ აგრესიულ რადიკალთა ქმედებებს, დღევანდელ ხელისუფლებას ჩამოშლით რომ ემუქრებიან.**

ერთ-ერთი ახალი სამოქალაქო მოძრაობის პრეზენტაციაზე **ლანა ღოღობერიძემ** განაცხადა: მიხარია, რომ ჩვენ ახლა ასე ერთად ვართ და უსათუოდ მივაღწევთ გამარჯვებასო. **ამ ხელისუფლების დასრულების სურვილმა წარსულში დაპირისპირებული ეს ორი ქალბატონი დააახლოვა, თუმცა, მათ ადრეც ჰქონდათ საერთო და ეს იყო ზვიად გამსახურდიას მიმართ პათოლოგიური ზიზღი. ღოღობერიძე** აქ პუტჩის უჭერდა მხარს, ხოლო **ზურაბიშვილი** პუტჩისტებს ევროპიდან უკმევდა გუნდრუკს. **მართალია, 2004 წელს ზურაბიშვილმა ღოღობერიძე საფრანგეთში საქართველოს ელჩის თანამდებობიდან იმ მიზეზით მოხსნა, რომ მისი სიბერე ელჩისთვის შეუფერებელი იყო, თუმცა, როგორც ჩანს, 20 წლის შემდეგ აზრი შეიცვალა და ახლა უკვე თავად 72 წლის გვერდით მიუჯდა თითქმის 96 წლის ლანა ღოღობერიძეს, ორივე ერთად კი ამ ხელისუფლების დამხობის მოლოდინში რაღაც ორგანიზაციებს ეწებება.** ამათ — არცერთს არ დაუგმია ბიძინა ივანიშვილის მიმართ ტერორისტული აქტის მომზადება.

ხალხს არ დავიწყებია, კანონიერი ხელისუფლების დამხობის მერე **ლანა ღოღობერიძე** როგორ გახდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი და რუსეთის ტელევიზიებს ინტერვიუებს აძ-

> ამხანაგებო, ჩვენ მივიღეთ სასტიკი ზომები იმ გამოსვლების ლიკვიდაციისთვის. სხვაგვარად არც იყო შესაძლებელი... ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის რიცხვი...
>
> **ლევან ღოღობერიძის საინფორმაციო მოხსენებიდან 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების ჩახშობის შესახებ**



**სალომე ზურაბიშვილი, ლევან (ქოლა) წულაძე, ნიკოლოზ რაჭველი და ლანა ღოღობერიძე სამოქალაქო მოძრაობის „აირჩიე ევროპა“ პრეზენტაციაზე**

## ქვირგვინოსნები

**მებო ნუცუბიძე**
*მომღერალი*



**პარიზის პანთეონში** ვიყავით. ერთ-ერთ კედელზე **ვიქტორ ჰიუგოს** ციტატამ მიიქცია ჩემი ყურადღება: **„აპატიეთ ბევრი, დაივიწყეთ ცოტა“.** ფრანგები მართლა ეგრე ცხოვრობენ, **ჩვენთან კი პანთეონის კედელზე** ასეთი წარწერა იქნებოდა: **„აპატიეთ ბევრი, დაივიწყეთ კიდევ უფრო მეტი“.** ამიტომაც ვტრიალებთ წრეზე, ერთი და იგივე მორევში. **ქვეყანასაც ამიტომ მართავენ ისინი, ვინც მართავენ და პანთეონშიც ამიტომ ვკრძალავთ მათ, ვისაც ვკრძალავთ.**

„ახალი თაობა“

**თაკო დოლაბერიძე**
*ივენთმენეჯერი*



**დასაკარგი უნდა დაიკარგოს** — მეგობარიც, ქმარიც, ახლობელიც.

„თბილისელები“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



„ქართული ოცნების“ მთავარი მონაპოვარი არის **უკიდეგანოდ გაზრდილი ემიგრაცია და დემოგრაფიის კატასტროფული მდგომარეობა,** როდესაც პირველად, ამდენი ხნის მანძილზე, **გარდაცვალება უსწრებს შობადობას,** რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გადავედით მილევად რეჟიმში.

„ახალი თაობა“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი*



ძვირფასო კოლეგა ჟურნალისტებო, როგორ დაიჯეროთ, არ იცით, რომ **მილიონერ კალაძეს შეუძლია თავს ნახევარმილიონიანი ავტომობილის კი არა, წარმოიდგინეთ, ათმილიონიანი თვითმფრინავის ყიდვის უფლებაც მისცეს.** რა თქმა უნდა, ის ამბავი არ გეცოდინებათ, რომ **თავისი მერობის პერიოდში კახა კალაძეს კუთვნილი ხელფასი ერთხელაც არ აუღია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

# მამასა?

ლევდა. შემდეგ პარლამენტშიც წამოსკუპდა, ხოლო 1999 წლიდან — ევროპის საბჭოში საქართველოს სრულუფლებიან ელჩად მოგვევლინა. **ევროპულ წრეებში მოძრავსა და ევროპული დემოკრატიული იდეებით დახუნძლულს, არასოდეს გასჩენია სურვილი, ბოდიში მოეხადა ზვიად გამსახურდიას მთავრობის უკანონო დამხობაზე და ეთქვა, რომ პრეზიდენტი მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით უნდა შეცვლილიყო.** როგორც ამბობენ, მას ზვიად გამსახურდია იმიტომ არ უყვარდა, რომ ხშირად ახსენებდა **ლევან ღოღობერიძის** მიერ 1926 წელს მამის — **კონსტანტინე გამსახურდიას** დაპატიმრებას. **ლანა ღოღობერიძე** წუხს — **ამ არჩევნებზე საბოლოოდ გადაწყდება, საით მიდის საქართველო, ცივილიზებული ევროპისკენ თუ საბჭოთა წარსულშიო,** თუმცა, არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ ამ ხელისუფლების თითქმის ყველა წევრს განათლება ევროპაში აქვს მიღებული და მასავით კომუნისტ ჩინოვნიკებთან ერთად კრემლის ეზოში ბედნიერად ფოტოები არა აქვთ გადაღებული.

მაშინ, როდესაც საქართველოს კულტურის მინისტრს **თეა წულუკიანს** ოპოზიცია ლამის ყოველ გამოსვლაში მამის — უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის **ავთანდილ წულუკიანის** მიერ გამოტანილ განაჩენებს ახსენებს, რატომ არ ახსენებენ **ლანა ღოღობერიძეს** მამის — **ლევან ღოღობერიძის მიერ ასობით ადამიანის დახვრეტასა და აჯანყების სისხლში ჩახშობას?!** მითუმეტეს, რომ **ლანა ღოღობერიძე** დღევანდელი ხელისუფლების ქმედებებში 1937 წლის რეპრესიებს ხედავს.

**შეგახსენებთ, რომ ლევან ღოღობერიძე 1937 წელს დაიხვრიტა არა მის მიერ ჩატარებული სისხლიანი დახვრეტების გამო, არამედ იმიტომ, რომ ის უკვე იმ სისტემისთვის საჭირო აღარ იყო!** მისი რეაბილიტაცია მოხდა 1954 წელს **ანასტას მიქოიანისადმი ღოღობერიძის დის — ელენე ღოღობერიძის თხოვნის საფუძველზე.** მიქოიანი **ლევან ღოღობერიძეს** ჯერ კიდევ ბაქოდან იცნობდა, ამასთან, იმ დროს უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ არც სტალინი და არც ბერია, რომლის ნების საფუძველზეც მოხდა ღოღობერიძის დაპატიმრება და დახვრეტა. ვინაიდან, ბერიასა და სტალინის ხსენება აკრძალული იყო და





კომუნისტი

(1055) ოთხშაბათი 3 სექტემბერი 1924 წ.



მცოდნილი გაერთიანებ...
...ზაცია ისე, რომ სავსებ...

ამხ. ლ. ღოღობერიძის საინფორმაციო მოხსენება

ამხანაგებო, ორი თვის წინათ საგანგებო კომისიის ორგანოებმა მიიღეს ცნობები, რომ ქართველი მენშევიკები, რომლებსაც მუშათა მასებმა ყოველგვარი იმედი გაუცრუა, რომლებმაც დაჰკარგეს მუშებისა და საერთოდ მშრომელი მასების ყოველგვარი ნდობა და პატივისცემა, ახლა სცდილობენ მოაწყონ შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სურთ შეიარაღებული გამოსვლით დაამხონ პროლეტარიატის დიქტატურა და საქართველოში დაამყარონ ე. წ. „დემოკრატიული“ მთავრობა, ძველი, საქართველოს მშრომელი მასების ...

...ქნება, მაგრამ, როგორც თქვენ ხე-

...გან სამართლიანად ეშინოდათ მათ... შეკავშირებული გამოსვლის ბანდიტების წინააღმდეგ.

გარე-კახეთში ადგილი ჰქონდა ასეთ ფაქტს.

სოფ. გომბორს, სადაც საერთო... მთელი „შეიარაღებული ძალა 2 მი... ლიციონერისაგან შესდგა, თავს დაესხა 12 ბანდიტი, წაართვა მილიციონერებს იარაღი და შეიქნა „მთავრობა“ ნახევრათ ქურდ-ბაცაცა ყოფილ სახალხო გვარდიელებისაგან.

შემდეგ ამ 12 ბანდიტს მიემხრო დაახლოებით 20—30 გლეხი ... ამდენივე ხევსური. მეორე დღეს შე... არაღებული გამოსვლის მთელი ...

გადააბარეს იარაღი და თან სთხოვ...

ლანა ღოღობერიძის მამის – ლევან ღოღობერიძის საინფორმაციო მოხსენება გაზეთ „კომუნისტის“ 1924 წლის 3 სექტემბრის ნომერში აჯანყებულთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ



მედიკო მეზვრიშვილი, გენადი კოლბინი, ლანა ღოღობერიძე და ნათელა ვასაძე მოსკოვში

მათ მეხსიერებიდანაც კი შლიდნენ, ხრუშჩოვმა **ღოღობერიძეს** საბჭოთა სისტემაში სამსახური დაუფასა და რეაბილიტაციაზე თანხმობა განაცხადა. **ორი წლის შემდეგ კი** (სიკვდილის მერე) **პარტიაშიც აღადგინეს. 70-იან წლებში და შემდეგაც ლევან ღოღობერიძის ქალიშვილი ლანა ღოღობერიძე ედუარდ შევარდნაძის წყალობით სარგებლობდა, მერე კი ზურაბ ჟვანიას მეგობარიც გახდა.**

**ლევან ღოღობერიძის** დახვრეტა და შემდეგ მისი რეაბილიტაცია არ უნდა შევადაროთ არც **სანდრო ახმეტელის**, არც **ევგენი მიქელაძის**, არც **გოგი ელიავას**, არც **პეტრე ოცხელის**, არც **მიხეილ ჯავახიშვილის**, არც **ტიციან ტაბიძის** მიმართ ჩადენილ სისასტიკეს.

**გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც კარგად იცოდა 1937 წელს რეპრესირებულთა საქმეები და 1955 წელს რკინიგზელთა კულტურის სახლში ჯალათთა სასამართლო პროცესებსაც ესწრებოდა, ლევან ღოღობერიძეზე ამბობდა – ცნობილი ჩეკისტი და ჯალათი იყოო!**

ამიტომ **ლანა ღოღობერიძემ,** რომელიც ხშირად ახსენებს 1937 წლის რეპრესიებს, იქნებ 100 წლის წინანდელი, 1924 წლის რეპრესიებიც გაიხსენოს და სინანული დაეუფლოს!

## P.S.

წლების წინათ 1937 წლის რეპრესიების მკვლევარმა **ბონდო არველაძემ** განაცხადა — **ჯალათთა შვილებიდან საზოგადოებისათვის ბოდიში არავის მოუხდია, გარდა ზახარ შაშურკინის შვილობილისა, რომელმაც თქვა — მაპატიეთ, მამის საქმიანობის შესახებ არაფერი ვიცოდიო!**

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



არავისთან **გადაჯგუფებას არ ვაპირებთ. „გირჩი“** დამოუკიდებლად გადის არჩევნებზე.

**როგორც მორწმუნეს ვერ დაუშლი** ხატით სიარულს, **ისე ნაცმოძრაობის მხარდამჭერს ვერ დაუშლი** „ფრი მიშას“ პლაკატით სიარულს.

„ახალი თაობა“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ყურადღებით ვსწავლობდი, **რა ოდენობის ფინანსები გამოუგზავნეს ჩვენს სხვადასხვა პოლიტიკურ ენჯეოებს.** წელსაც და შარშან შემოვიდა რეკორდული თანხა, **საუბარია ათობით და ასობით მილიონ ევროზე.** ხუმრობით, მე მთავრობის წევრებს შევთავაზე კიდეც, **ეს თანხები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებად ჩავთვალოთ.** მათი ოდენობით ჩვენ მალე რეკორდსმენები აღმოვჩნდებით.

„იმედინიუსი“

**ნიკა მელია**
*„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ხალხს აქვს **პოზიტიური ცვლილებებისთვის მოლოდინი.** ხალხი ამისთვის მზად არის. ჩვენ სიმრავლით, სიმტკიცით, რწმენით **26 ოქტომბერს დავუბრუნებთ სახელმწიფოს ქართველ ხალხს.**

„აიპრესი“

**გია ჯაფარიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, ზურაბ-გირჩი ჯაფარიძის ძმა*



**მე და ჩემი ძმა** არ ვართ ერთმანეთის კონკურენტები. **მე და ჩემი ძმა** ვართ **ადიკოს ძმის** კონკურენტები. **მე და ჩემი ძმა** არ ვაპირებთ ერთმანეთი დავამარცხოთ ამ არჩევნებში, **მე და ჩემი ძმა** ვაპირებთ **ადიკოს ძმა** დავამარცხოთ ამ არჩევნებში.

„ინტერპრესნიუსი“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-36*

***არაბი ისტორიკოსი, გეოგრაფი, ასტრონომი და არაერთი სამეცნიერო დარგის შესანიშნავი მცოდნე, პოეტი აბუ ლ-ფიდა (1273-1331 წ.წ.) თავის „ქვეყნიერების მოწესრიგებაში“ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შავი ზღვა იწყება „ტრაპიზონიდან და გრძელდება ქართველთა ქალაქ სოხუმამდე!“ უფრო მეტიც, მისი თქმით, „შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი აბხაზი*** *(არაბულად „მედინეთ ალაბხაზ“. დ. ჩ.).* ***ეს არის ქრისტიანი ხალხის, ქართველების*** *(არაბულად „გიურჯი“. დ. ჩ.)* ***ერთ-ერთი პორტი!“***

ვფიქრობთ, არაბი **აბუ ლ-ფიდას** მიერ მოწოდებული ამ ცნობების შემდეგ ადამიანი სინდისნამუსისგან აბსოლუტურად გარეცხილი და თავისუფალი უნდა იყოს, აფხაზეთისა და სოხუმის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის, კუთვნილება ეჭვქვეშ რომ დააყენოს, მაგრამ სეპარატიზმს, რომელსაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზურგს რუსეთის იმპერია უმაგრებს, უკადრებლის კადრება შეუძლია.

ზემოხსენებული ორი ცნობა არაფერია იმასთან შედარებით, რასაც იგივე **აბუ ლ-ფიდა** გვამცნობს — **„აფხაზების მთავარი ქალაქი არტანუჯია!“**

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, **არტანუჯი,** რომელიც თურქეთის მიერ ოკუპირებულ და ანექსირებულ ტაო-კლარჯეთში მდებარეობს და კლარჯეთის ცენტრს წარმოადგენს, მე-5 საუკუნეში ჩვენმა სახელოვანმა მეფემ **ვახტანგ გორგასალმა** დააარსა. მე-9 საუკუნის დასაწყისში **აშოტ კურაპალატმა** არაბი სარდლის **მურვან ყრუს** მიერ აოხრებული და აკლებული არტანუჯი ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ რეზიდენცია-ცენტრად აქცია და სწორედ აქედან დაიწყო დიდი საქართველოს შენივთების ისტორია, რომელიც მე-10 საუკუნის მიწურულს საქართველოს გაერთიანებით დასრულდა.

ამ უკანასკნელი ცნობით არაბი ისტორიკოსი და ასტრონომი **აბუ ლ-ფიდა** პირდაპირ გვეუბნება, რომ **„აფხაზი“** ქართველია! მართლაც, **აფსუები,** რომლებსაც, ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ ჩვენ ვუწოდეთ **„აფხაზები“,** ციხე-ქალაქ არტანუჯის ბატონ-პატრონები არასოდეს ყოფილან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **არტანუჯი,** რომელიც დღევანდელი თურქეთის ართვინის რაიონში მდებარეობს, ოდითგანვე ქართველების სახელთან არის დაკავშირებული და არა იმ თვითმარქვია ხალხთან, რომელიც ისევ და ისევ ჩვენი ბედოვლათობის წყალობით, თავის თავს **„აფხაზებს“** უწოდებს.

ადრეც ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არაბი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და ასტრონომის **აბუ ლ-ფიდას** ზემოხსენებული ცნობები საბოლოოდ ადასტურებს იმ აქსიომატურ დებულებას, რომლის თანახმადაც უხსოვარი დროიდან მოყოლებული, **„აფხაზი“** და **„ქართველი“** ერთსა და იმავე ხალხს აღნიშნავდა. ასე, მაგალითად, საქართველოს უდიდეს მეფეს **დავით აღმაშენებელს** იმავე არაბულ წყაროებში ხშირად მოიხსენიებენ ან **„აფხაზად“,** ანდა **„აფხაზების მეფედ“...**



შერვაშიძეთა სასახლის ნაშთი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში



გიორგი შერვაშიძე

კიდევ უფრო საინტერესოა მე-14 საუკუნის არაბი ისტორიკოსის **ალ-მუჯიბის** ერთი ცნობა, სადაც ვკითხულობთ — **„ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — მეფე დავითი და დადიანი — მეფე, რომელიც მართავს სოხუმსა და აფხაზეთს!“**

მე-14 საუკუნეში, როცა **ალ-მუჯიბი** ცხოვრობდა, საქართველოს **მეფე დავითი** არ ყოფილა, მაგრამ მე-13 საუკუნეში, როცა საქართველო ორ სამეფოდ გაიყო, ორი **დავით მეფე** გვყავდა — **დავით ულუ და დავით ნარინი.** მოკლედ, ჩვენთვის გაუგებარია, რომელ დავითს გულისხმობს **ალ-მუჯიბი** ამ ცნობაში, თუმცა, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ არაბი ავტორი სოხუმსა და აფხაზეთს ქართველების სამშობლოდ აცხადებს და გარკვევით ამბობს: **ქართველების მეფე — დადიანი „მართავს სოხუმსა და აფხაზეთს“...**

მოკლედ, სიმართლე ხელისგულზე ძევს და აფხაზეთი და სოხუმი ისევეა საქართველოს განუყოფელი ნაწილი, როგორც სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო და თუშ-ფშავ-ხევსურეთი! ყოველ შემთხვევაში, ამ ჭეშმარიტებაში შვიდასი, ათასი თუ 2 ათასი წლის წინათ არც ძველ ბერძენ, არც რომაელ, არც შუა საუკუნეების ევროპელ, არაბ, თურქ თუ სპარს ავტორებს ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ. **სამაგიეროდ, ამ სიმართლეს ვერ შეასმენ ვერც სტაჟიან აფსუა სეპარატისტებს და ვერც იმათ, რომელთა მოწამვლაც სეპარატისტებმა თუ მათმა გამქეზებელ-დამკვალიანებლებმა უკვე მოასწრეს.** აი, მაგალითად, ამ დღეებში სოციალურ ქსელებში გავრცელდა ე.წ. დისპუტის ამსახველი ვიდეოკადრები, სადაც მუსლიმანური აღმსარებლობის ვიღაც აფსუა ახალგაზრდა რომელიღაც ბლოგერს უმტკიცებს, რომ აფხაზეთში მდებარეობს **სიმონ კანანელის სახელობის მსოფლიოში უძველესი მეჩეთი, რომელიც პირველი საუკუნით თარიღდება** (!!!).

იმ ტვინგაწყალებულმა აფსუამ რომ იცოდეს, ისლამი სახელმწიფო რელიგიად 630 წელს გამოცხადდა, ხოლო **სიმონ კანანელი** იესო ქრისტეს მოციქული იყო და არა ალაჰის, ასეთ სისულელეს არ იტყოდა, მაგრამ, როცა **„აფხაზეთზე იმ კაცს თვალი უჭირავს“** და **„ის კაცი“** ატომური დერჟავა — რუსეთია, მაშინ გასაკვირიც არაფერია!

მთელმა საქართველომ კი არა, მგონი, პოსტსაბჭოთა სივრცემ და ევროპა-ამერიკის სპეცსამსახურებმა კარგად უწყიან სოფელ **ლიხნის** შესახებ, რომელიც აფხაზეთში, გუდაუთის რაიონში მდებარეობს. ადრე ამ დასახლებულ პუნქტს **ზუფუ** ერქვა, სადაც აფხაზეთის მთავრების, შერვაშიძეების რეზიდენცია იყო. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ვახუშტი ბაგრატიონი** პირდაპირ წერს — **„ანაკოფიის** (დღევანდელი ახალი ათონი. დ.ჩ.) **დასავლეთით დის ალაცოს წყალი... ალაცოს წყლის დასავლეთით დის ზუფუს მდინარე... არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა.“**

სოფელ ლიხნში აფხაზეთის ომის დაწყებამდე ღვთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია იდგა გუმბათის ყელში გამოჭრილი რვა სარკმლითა და ფრესკებით. კედლებზე ჯერ კიდევ იკითხებოდა მე-11 და მე-19 საუკუნეების წარწერები. მე-11 საუკუნის წარწერები ქართული ასომთავრული იყო, ხოლო მე-19 საუკუნისა — ბერძნული... დღეს რა მდგომარეობაშია ეს ეკლესია და რა დღე დააწიეს აფსუებმა, სომხებმა, რუსებმა თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულებმა ლიხნის ქართულ ტაძარს, ღმერთმა უწყის!

1989 წლის 18 მარტს აფსუა სეპარატისტები, დაახლოებით 30 ათასი კაცი, სწორედ სოფელ ლიხნში შეიკრიბა და კრემლში წერილი აფრინა — **საქართველოსგან გამოყოფა და ცალკე მოკავშირე რესპუბლიკად გახდომა გვინდა ზუსტად ისე, როგორც 1921 წელს ვიყავითო!** ე.წ. ლიხნის ყრილობა იყო კრემლის პირდაპირი პასუხი 1988 წლის ე.წ. ნოემბრის აქციებსა და 1989 წლის 18 თებერვლის სასტიკ დარბევაზე, როცა მაშინდელი „გეპეისა“ და დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ **ხელისუფლებამ და „გეპეის“ მაშინდელმა რექტორმა გოჩა ჩოგოვაძემ** სულგაყიდულ კომკავშირელებს მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით გამართული მიტინგი დაარბევინეს. მაშინ კომკავშირელებს — „გეპეის“ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ხოლო დღეს უკვე პარტია „ლელოს“ ხელმძღვანელი, ხანდაზმული თაღლითი **მამუკა ხაზარაძე** ხელმძღვანელობდა. კომკავშირელებს ხელში სკამის გადაჭრილი ფეხები ეჭირათ და მერაბ კოსტავასა და მის თანაგუნდელებზე ულმერთოდ ნადირობდნენ. თავად ხაზარაძე მერაბ კოსტავაზე პირადად იწევდა, მაგრამ იმ პატრიოტმა და ეროვნულ მოძრაობაში ჩარ-

**შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ქალაქი აბხაზი. ეს არის ქრისტიანი ხალხის, ქართველების ერთ-ერთი პორტი!**

*არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი აბუ ლ-ფიდა*

## კვირგვინოსნები

**სოსო არჩვაძე**

*ეკონომიკის პროფესორი*



ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, **ჩვენ ისეთი ეკონომიკური ზრდა გვაქვს** და ისე წინ წავედით, რომ **თითქმის სამჯერ გადავუსწარით** საშუალო გლობალურ მაჩვენებლებს.

„კვირის პალიტრა“

**სოსო სიმონიშვილი**

*ეკონომისტი*



**ვკარგავთ მრეწველობას და ვკარგავთ მოსახლეობას,** რომელიც ქვეყნიდან გარბის. ეს ხდება იმიტომ, რომ **რეალური წარმოება ვერ განვავითარეთ.** ფაქტობრივად, არაფერს ვქმნით.

„რეზონანსი“

**მიხეილ ხაჩიძე**

*საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული*



იქმნება შთაბეჭდილება, რომ **ვიღაცას უნდა, ჩაახშოს საქართველოსა და უკრაინას შორის ოდესღაც სამაგალითო ურთიერთობები.** უკრაინა არ არის იმის წინააღმდეგი, რომ **ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობები ხორციელდებოდეს ელჩების დონეზე.** ამისთვის საჭიროა გარკვეული უარყოფითი ფაქტორებისა და ტენდენციების თავიდან აცილება. **ბურთი, როგორც ამბობენ, ამჟამად მოედნის ქართულ ნახევარშია.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანატოლი ელისეევი**

*პერმის უნივერსიტეტის პროფესორი*



**რუსეთის სამხედრო დოქტრინა** გვავალდებულებს, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხო ჯარის შემოჭრის შემთხვევაში უფლება გვაქვს, **ბირთვული იარაღი გამოვიყენოთ!** უკრაინა უცხო, მტრული სახელმწიფოა, შესაბამისად, მასზე **ბირთვული დარტყმა უნდა განხორციელდეს!**

„ახალი თაობა“

**შოთა მალელაშვილი**

*„თაობები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი*



**საპარლამენტო სკამზე ჩემი ჯდომა არ იყო სასარგებლო,** ამიტომ „ქართულ ოცნებას“ **საპარლამენტო მანდატი ვადაზე ადრე დავუბრუნე** და წამოვედი.

„თბილისელები“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?



ციხე-ქალაქი არტანუჯი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე




თულმა ახალგაზრდებმა, რომლებიც მაშინ საქართველოს ეროვნული გმირის წინ სალი კლდესავით აღიმართნენ, მომავალ ბანკირსა და დანარჩენ ზონდერებს მისი ცემის საშუალება არ მისცეს.

ამ თემაზე ჩვენ ბევრი დაგვიწერია, არაერთ თვითმხილველთან გვისაუბრია და ამდენად, სიტყვას აღარ გავაგრძელებთ; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ **1989 წლის 18 თებერვალს ხელისუფლების მიერ მიტინგის დარბევას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე და „დამოუკიდებელი აფხაზეთის" მერმინდელი „პრეზიდენტი", ეროვნებით აფსუა ალექსანდრე ანქვაბი.** თვით ის ფაქტი, რომ აფსუა სეპარატისტების წინააღმდეგ გამართული მიტინგი კომუნისტურმა ხელისუფლებამ თბილისში მაინცდამაინც აფსუა **ალექსანდრე ანქვაბს** დაარბევინა, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს... ხოლო, თუ რა იკადრა **ლევან მურუსიძის, ვალერი ცერცვაძისა და მიხეილ ჩინჩალაძის** ნაცხლისტებთან კოჰაბიტირებულმა სასამართლომ და **როგორ უსინდისოდ წაგვაგებინეს მამუკა ხაზარაძესთან სასამართლო პროცესი,** რომელიც 1989 წლის 18 თებერვლის მოვლენებში მის სამარცხვინო მონაწილეობას ეხებოდა, ეს ცალკე ისტორიაა.

ზემოთ გუდაუთის სოფელი **ლიხნი,** როგორც აფსუა სეპარატისტების ბუდე, ტყუილად არ გვიხსენებია!

ნებისმიერი აფსუა რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ — **გეოგრაფიული პუნქტი და ცნება „ლიხნი" რას ნიშნავს?** — ვერ გიპასუხებთ! აფსუათა ენაზე **„ლიხნი"** არ იშიფრება, გაუგებარია... სამაგიეროდ, **„ლიხნი"** მეგრულად **„მაღლარი ვაზია"...** შესაბამისად, **„ლიხნუა" „ვაზის მაღლა გაშვებას",** ანუ სატალავრედ გამართვა-დაყენებას ნიშნავს, ხოლო **„ოლიხნარი"** ის ჭიგო-სარია, რომელზეც მაღლარი ვაზი თავიდანვე უნდა გაიწვართოს და აიკრას, რათა სასურველი მიმართულება მიეცეს.

სწორედ გუდაუთის რაიონი და სოფელი **ლიხნია** გამორჩეული მთელ საქართველოში იმით, რომ აქ ერთ-ერთი საუკეთესო **იზაბელა, ანუ ე.წ. ადესა** ხარობს, რომელიც, რა თქმა უნდა, მაღლარი ვენახია. ადესას გურიასა და იმერეთში სწორედ მაღლა, სატალავრედ, ანდა სულაც ხეებზე გაუშვებენ ხოლმე... ასე რომ, აფხაზეთის მთავრების — **შერვაშიძეების მთავარი რეზიდენცია იდგა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, რომელიც უხსოვარი დროიდან „მეგრელთა ქვეყანას" ეკუთვნოდა და, შესაბამისად, სოფლის სახელწოდებაც მეგრულია — ლიხნი, ანუ მაღლარი ვაზი!**

სხვათაშორის, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიჩქმალული იყო და დღესაც მიჩქმალულია აფხაზეთში 1866 წელს რუსეთის ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყების ისტორია, რაც აფხაზეთის ახალგაზრდა მთავრის **გიორგი შერვაშიძის** სახელს უკავშირდება. მისი მამა **მიხეილ შერვაშიძე** რუსებმა მოკლეს, რასაც აფხაზეთის ყოფილ სამთავროში დიდი ბუნტი და ალიაქოთი მოჰყვა.

1866 წლის 25 ივლისს სოფელ **ლიხნში** ქართველები, ანუ აფხაზები და ასევე ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები შეიკრიბნენ და ახალგაზრდა **გიორგი შერვაშიძეს** სრული თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადეს. როგორც ქართველები, ისე აფსუები, ყველაფერთან ერთად აპროტესტებდნენ იმ შეურაცხყოფას, რაც სოხუმის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა **კონიარმა** და მისმა ხელქვეითებმა — **ჩერეპოვმა და იზმაილოვმა** იკადრეს! კერძოდ, მათ ხალხი შეკრიბეს სოფელ **ლიხნის** მთავარ მოედანზე და გამოაცხადეს — **დღეიდან აფხაზეთში ბატონყმობა უქმდება და გლეხებმა თავისუფლების სანაცვლოდ მებატონეებს უნდა გადაუხადონო!** აფხაზებმა და აფსუებმა დახოცეს **პოლკოვნიკი კონიარიც,** მისი ხელქვეითებიც და ზედ ორმოცდაათი კაზაკიც მიაყოლეს. ასე დაიწყო აჯანყება აფხაზეთში, რასაც მუსლიმი აფსუების მუჰაჯირობის პირველი ტალღა, ანუ თურქეთში მათი გადასახლება მოჰყვა.

1866 წლის აჯანყების შემდეგ მეფის რუსეთმა აფსუები მოღალატე ერად გამოაცხადა და მათ აფხაზეთის შავი ზღვისპირეთში ცხოვრების უფლება აუკრძალა; სამაგიეროდ, **რომანოვებმა** მწვანე შუქი აუნთეს

რუსმა სალდაფონებმა, ცხადია, არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოში არასოდეს ყოფილა ის მონათმფლობელობა, რასაც რუსეთში ბატონყმობას ეძახდნენ... მოკლედ, სომხებს, რომლებიც შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე აფსუების ადგილს იკავებდნენ და მკვიდრდებოდნენ, ვითარცა ავტოქტონები და უძველესი აბორიგენები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილია ტრაგიკომიკური სიტუაცია — აფსუები, რომლებიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მე-17 საუკუნიდან ჩამოსახლდნენ, სომხებს, რომლებსაც აქ რუსეთმა შეუქმნა პლაცდარმი, ეჩხუბებიან და ექიშპებიან — აქაოდა, რაღაც ძალიან მომრავლდით და ჩვენს საქმეებში ცხვირს ყოფთო!** ხოლო ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები — ქართველები, რომლებიც აფხაზეთიდან რუსებმა, სომხებმა და აფსუებმა ერთად გამოყარეს, თამაშგარე მდგომარეობაში არიან დარჩენილი და ამ ყველაფერს შორიდან გალახული და ატირებული ბავშვის პოზაში უყურებენ!

მუჰაჯირობის შესახებ ჩვენ უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებთ, ხოლო ახლა ისევ და ისევ ძველი და უძველესი ავტორების ცნობებს მივუბრუნდეთ, რომლითაც უტყუარად დასტურდება, რომ აფხაზეთი და სოხუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ძველი ბერძენი ავტორი **ფსევდო სკილაქს კარიანდელი** შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთის მიმდევრობით ჩამოთვლის და თელონების დასახელების შემდეგ ამბობს — **„ამათ შემდეგ კოლხები და ქალაქი დიოსკურიააა!"**

მოკლედ, **ფსევდო სკილაქს კარიანდელისთვის,** რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში, ანუ 2300 წლის წინათ ცხოვრობდა, კოლხები და **დიოსკურია** — დღევანდელი **სოხუმი** — ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ის, რაც განუყოფელი იყო ძველისძველი ბერძენი ავტორებისთვის, გასაყოფი და სადავო გახდა ისტორიის ჩარხის უკუღმა დამტრიალებლებისთვის, რომლებიც 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგ, ქუთაისზე აპირებდნენ გამოლაშქრებას, აქაოდა, ქუთაისი „აფხაზთა სამეფოს" დედაქალაქი იყო და უნდა ავიღოთო!

ამის შესახებაც დაწვრილებით მოგახსენებთ, ოღონდ ცოტა მოგვიანებით!

**ქართველებს ჰყავთ ორი მეფე – მეფე დავითი და დადიანი – მეფე, რომელიც მართავს სოხუმსა და აფხაზეთს!**

*არაბი ისტორიკოსი ალ-მუჰიბი*

**დიტო ჩუბინიძე**

გაზეთის პირველი ნომერი გამოვა 9 სექტემბერს!
№ 1
9 სექტემბერი 2024
დაიჯესტი
გამოდის ორ კვირაში ერთხელ!

# „რძიანა სახლს მოვაშოროთ!“







## კახა საბახტარიშვილი:

# ვაფრთხილებ ორსულ ქალებს – ფეხმძიმობის პერიოდში ალოეს გამოყენება ნაყოფის მოცილების პროვოცირებას ახდენს!

***მწვანე საფარის გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე არ იქნება, მაგრამ ჩვენ გარშემო უამრავი საშიში მცენარეა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ შხამიან და ალერგიის გამომწვევ მცენარეებს ჩამოთვლის, რომლებსაც საძინებლებში, ოფისებსა თუ ღია გრუნტში საქართველოში ყველგან ვხვდებით, მაგრამ ფართო საზოგადოებამ მათი მავნებლობის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი იცის:***

— ადამიანები საკუთარი ეზო-კარისა და საცხოვრებელი სახლების, ოფისებისა თუ აპარტამენტების გასამშვენიერებლად სხვადასხვა სახის დეკორატიული მცენარეების მოშენება-გამრავლებას უხსოვარი დროიდან მიმართავენ. ოთახის მცენარეების დანახვა თვალს მართლაც ახარებს. იგივე ითქმის იმ მრავალწლოვან ხეებსა და ბუჩქებზე, რომლებსაც ეზოების, პარკებისა და ბაღების გასალამაზებლად იყენებენ. ნათქვამია, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო და ბევრმა არ იცის, რომ ზოგიერთი დეკორატიული მცენარე უდიდესი საფრთხის შემცველია. კერძოდ, ოთახებსა თუ ღია გრუნტში გარემოს გასალამაზებლად გახარებულმა არაერთმა მცენარემ შესაძლოა, გამოიწვიოს ძლიერი ინტოქსიკაცია, გულისრევა, ღებინება, ფაღარათი, ალერგია. ეს უკანასკნელი შესაძლოა, გამოვლინდეს ხორხის შეშუპებით, ჰაერის უკმარისობით, ცრემლდენით, ცხვირიდან წყლისებრი გამონადენით. გამორიცხული არ არის კანზე ალერგიული გამონაყარიც. **გვახსოვდეს: ყველა მცენარე, რომელიც ეთერზეთებს შეიცავს, ზოგიერთ ადამიანში ალერგიის გამომწვევი შეიძლება გახდეს!**

**— მაინც რომელ ოთახის მცენარეებს უნდა მოვერიდოთ?**

— მრავალ ჩვენგანს ოთახში აქვს **ალოე,** რომელიც უამრავი ბუნებრივი სამკურნალო საშუალების შემადგენლობაში შედის. **ალოე** ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს, მაგრამ უწყინარი მცენარე სულაც არ არის. თუ ბავშვმა ან შინაურმა ცხოველმა ალოე შეჭამა, შესაძლოა, განუვითარდეს კუჭ-ნაწლავის ძალიან ძლიერი ინტოქსიკაცია, რომელიც ფაღარათით გამოიხატება. გარდა ამისა, თუ ალოეს დაღეჭავს ისეთი ადამიანი, რომელსაც რაიმე საკვებზე აქვს ალერგია, ეს ყველაფერი მისთვის შესაძლოა, კატასტროფით დამთავრდეს!

ალოე შაქრის დამწევად ითვლება, მაგრამ, თუ მას დიაბეტიანი მიიღებს, შაქარი შესაძლოა, ძალიან დაუვარდეს და ჰიპოგლიკემია განუვითარდეს! როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალოეში ძალიან ძლიერი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები შედის და როდესაც მას წვენის სახით მიიღებენ, არავინ იცის, ორგანიზმში რა რეაქციები განვითარდება. **ალოე** ძალიან კარგია გარე ჭრილობების შესახორცებლად. მისი გამოყენება შინაგანი სნეულებების დასამარცხებლადაც შეიძლება, ოღონდ წვეთების შეზღუდული რაოდენობით.

ჩვენი რჩევაა: ალოე ოთახში ვიქონიოთ, მაგრამ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებს მოვარიდოთ! ალოეს განსაკუთრებით უნდა მოერიდონ ორსული ქალები, რომლებსაც საგანგებოდ ვაფრთხილებ: **ფეხმძიმობის პერიოდში ალოეს გამოყენება ნაყოფის მოცილების პროვოცირებას ახდენს!**

> **„რამდენადაც ლამაზი და სურნელოვანია მაგნოლიას ყვავილი, იმდენად საშიშია ეს მცენარე!“**







> **„კონიო იმდენად შხამიანი მცენარეა, მის ბუჩქს რომ დავყნოსოთ, შესაძლოა, მოვიწამლოთ! როცა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, სოკრატემ სწორედ კონიოსგან მომზადებული შხამი დალია!“**

საქართველოში ოთახებისა და ოფისების გასალამაზებლად ძალზე პოპულარულია დეკორატიული მცენარე მომრგვალო ფოთლებით **რძიანა.** იგი ძალიან სახიფათოა. მისი ღერო და ფოთლები შეიცავს რძისმაგვარ წვენს, საიდანაც მცენარის სახელწოდება მოდის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს წვენი ძლიერი შხამია.

**— მაინც რამდენად ძლიერი შხამია?**

— თუ რძიანას წვენი ხელზე დაგვეწვეთა, დამწვრობას იწვევს, ხოლო, თუ თვალში მოგვხვდა, მაშინ რქოვანას დამწვრობას ვერ ავცდებით! ეს კი გამოიხატება თვალის არეში ძლიერი ტკივილით, სიწითლით და რქოვანას ზედა ფენის აქერცვლით. გამორიცხული არ არის, ასეთ დროს ადამიანი საერთოდ დაბრმავდეს. ამიტომ ჩვენი რჩევაა — **რძიანა სახლს მოვაშოროთ!**

ოფისებისა და აივნების გასალამაზებლად ბევრი **სუროს** მოშენებას მიმართავს. სუროთი დაფარული კედელი მართლაც ლამაზი სანახავია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ სუროს ღერო და ფოთოლი შხამიან წვენს შეიცავს. თუ ბავშვმა მისი ფოთოლი დაღეჭა და სუროს წვენი პირის ღრუში მოხვდა, იწვევს გულისრევას, ღებინებასა და ძლიერ ინტოქსიკაციას. გარდა ამისა, **სუროს ფოთლების ჩრდილი სხვადასხვა პარაზიტების, მკბენარებისა და გველების თავშესაფარია.** ამიტომ ოთახებისა და კედლების მოსართავად სუროს გამოყენებას არავის ვურჩევთ! ბევრს საძინებელ ოთახში მცენარე იმიტომ აქვს, რომ ის ნახშირორჟანგს შთანთქავს და ჟანგბადს გამოყოფს. ხშირად ეს ასეა, მაგრამ არის ისეთი ოთახის მცენარეებიც, რომლებიც, პირიქით, ჟანგბადს შთანთქავენ და ნახშირორჟანგს გამოყოფენ. ერთ-ერთი ასეთია ძალიან მოდური ოთახის მცენარე **მონსტერა,** რომელიც ნამდვილად მონსტრია. იგი დიდი რაოდენობით ჟანგბადს შთანთქავს და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს გამოყოფს. მისი მავნებლობა მხოლოდ ამით არ გამოიხატება. მონსტერას გარეგნულად ლამაზი, მკვრივი და მაგარი ფოთლები შხამიან წვენს შეიცავს, რომელმაც ადამიანი შესაძლოა, მოწამლოს.

სახიფათო ოთახის მცენარეა **დიფენბახია,** რომელიც საქართველოში ასევე მოდურია და მას საბავშვო ბაღებსა და სკოლებშიც კი ვხვდებით. საკმარისია, ბავშვმა **დიფენბახიას** ფოთოლი ან ღერო დაღეჭოს, დაეწყება თავბრუხვევა, გულისრევა, ხოლო ლორწოვან გარსზე შეშუპება განუვითარდება. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ იგი უძლიერეს შხამს შეიცავს!

**— მსმენია, რომ საშიში ოთახის მცენარეა ნარცისიც.**

— **ნარცისის** ბოლქვი ხახვს ჰგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით, შხამიან ალკალოიდს შეიცავს, რომლის ორგანიზმში მოხვედრაც იწვევს გულისრევას, ფაღარათს. თუ ეს ალკალოიდი ორგანიზმში დიდი რაოდენობით მოხვდა, შესაძლოა, გამოიწვიოს სპაზმი, გონების დაბინდვა, კოლაფსი და დამბლა. საქართველო ძალიან მდიდარია შხამიანი მცენარეებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია **კონიო, ქრისტე-**

## კვირგვინოსნები

**ფატი კიპაროიძე**

*„ემი“ ჯგუფის თავმჯდომარე*



**მაიმუნის ყვავილი** ვერ მისცემს ჯანმოს იმის საფუძველს, რომ **ახალი ჩაკეტვები გამოაცხადოს,** ვინაიდან ეს არ არის ვირუსი, რომელიც გარდაცვალების ფაქტებს დაუდებს. **ის იკურნება, გრძელდება 5-13 დღეს.**

„თბილისელები“

**რამაზ გახოკიძე**

*ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრი, აკადემიკოსი*



დღეს **ხელოვნური დამატკბობლების გამოყენებით ამზადებენ** ლიმონათს, რასაც ძირითადად მიირთმევენ ბავშვები, რის გამოც **მათი ჯანმრთელობა სერიოზულ საფრთხეშია.**

„რეზონანსი“

**ივანე ჩხაიძე**

*„იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს“ სამედიცინო დირექტორი*



ქვეყანაში **ყველაზე მეტად კორონავირუსია გავრცელებული,** შარშან ამ პერიოდში არ გვქონდა ასეთი მაღალი მაჩვენებელი. **ასევე ცირკულირებს** ისეთი ვირუსები, რომლებიც ზაფხულის სეზონისთვის არის დამახასიათებელი, კერძოდ — **რინოვირუსი, ადენოვირუსი, პარაგრიპის ვირუსი, ენტეროვირუსი.**

„რეზონანსი“

**ელდინო სალარაძე**

*მსახიობი, მეტყველების პედაგოგი*



მინდა, **ჩემი ბოლო ფრაზა,** რომელიც გონებაში გაირბენს, იყოს — **მადლობა, ღმერთო, ბოლომდე ამოვწურე აქ საკეთებელი!**

„თბილისელები“

**თამთა ჭელიძე**

*მომღერალი*



**თუ ვინმემ მაწყენინა** და ოდესმე საშუალება მექნება, **აუცილებლად გადავუხდი სამაგიეროს.**

„თბილისელები“



# „ზამბახი ალერგიის გამომწვევი ყვავილია და მოვერიდოთ!“

**ღრაც,** რომელსაც საოცრად ლამაზი ყვავილები აქვს, მაგრამ ნამდვილი მკვლელია. **ოლეანდრას წვენი იწვევს არითმიას და თვით გულის გაჩერებასაც კი. ამიტომ ოთახებიდან, ეზოებიდან და ბაღებიდან ოლეანდრა მოაშორეთ!**

ოთახებსა და ეზოებში საშიშია **ზამბახიც.** იგი ალერგიის გამომწვევი ყვავილია და მოვერიდოთ!

## ვისაც ალერგია აწუხებს, ზამბახმა მასში შესაძლოა, ციებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები გამოიწვიოს. ეს სიმპტომებია ღებინება და ტემპერატურის მატება.

**— მაგნოლიას პოეტები და მომღერლები უმღერიან, მაგრამ გამიგია, რომ მისი ყვავილი საშიშია.**

— მართლაც ასეა. რამდენადაც ლამაზი და სურნელოვანია **მაგნოლიას ყვავილი,** იმდენად საშიშია ეს მცენარე, რადგან ორ უძლიერეს ალერგენს შეიცავს — ეთერზეთებსა და ალკალოიდს! ორივეს შეუძლია ძლიერი ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს. ამდენად, ეზოში მაგნოლიას ნუ გავაჩერებთ, საშიშია!

**— არის თუ არა საშიში ჭადარი? მოგეხსენებათ, თბილისში მაისიდან ივლისის ჩათვლით, ჰაერში ჭადრის ბუსუსები დაფრინავს, რომელიც საშინელ დისკომფორტს ქმნის. ამის გამო ბევრი ჭადარს ალერგენად მიიჩნევს და მის განადგურებას ითხოვს. რას იტყვით?**

— რაც გინდა, უცნაურად მოგეჩვენოთ, ჭადრის ყვავილი ყველაზე ნაკლებად ალერგიულია. რაც შეეხება ბუსუსებს, რომელიც ჰაერში დაფრინავს, ეს სხვა არაფერია, თუ არა ჭადრის თესლი, რომელიც შესაძლოა, 50-100 კილომეტრამდეც კი გავრცელდეს. არც ჭადრის თესლია ალერგიული, მაგრამ, როცა ცხვირში მოხვდება, ორგანიზმი მას, როგორც უცხო სხეულს, ებრძვის და იშორებს, რაც ბუნებრივია. ამიტომ ასეთმა ადამიანებმა დისკომფორტის მიზეზი ჭადარში არ უნდა ეძებონ და კარგად გაარკვიონ, სინამდვილეში რის მიმართ აქვთ ალერგია. პირიქით, ჭადარი ყველა სხვა მცენარესთან შედარებით, ჰაერს საუკეთესოდ წმენდს და ქალაქში, გზის პირას, მისი არსებობა აუცილებელია!

**სსისხლა და თუთუბო.** სამივე ეს მცენარე თითქმის სამასი წელიწადია, ჰომეოპათიურ მედიცინაში გამოიყენება და მართლაც საოცრებებს ახდენს. **კონიო** შეუდარებელია პროსტატის ადენომისა და პროსტატის კიბოს დროს. **ქრისტესსისხლა** ღვიძლის ნომერ პირველი წამალია და ციროზისა და კიბოს შემთხვევაშიც კი სასწაულებს ახდენს. რაც შეეხება **თუთუბოს,** ის კანის დაავადებებისა და რევმატული ართრიტების სამკურნალოდ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. დღე არ გავა, რომელიმე ჩემს პაციენტს ერთ-ერთი მათგანი მაინც არ დავუნიშნო, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ ჰომეოპათიური ტექნოლოგიით დამზადებულ წამლებს. სხვა შემთხვევაში, სამივე მცენარე უძლიერესი ტოქსინია და მათი თვითნებურად გამოყენება სიცოცხლისთვის სახიფათოა. **თუთუბო** ძალიან ლამაზი მცენარეა და ბევრი მას ეზოშიც აშენებს, რაც დაუშვებელია! საკმარისია, **თუთუბოს** ფოთლებს შევეხოთ, მაშინვე დაგვეწყება საშინელი ქავილი, გამონაყარი და კანზე ბუშტუკების გაჩენა, რაც ძნელად იკურნება!

**— კონიო დასავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებულია.**

— დიახ, გავრცელებულია და ეზოებშიც ხშირად გვხვდება. **გვახსოვდეს: კონიო იმდენად შხამიანი მცენარეა, მის ბუჩქს რომ დავყნოსოთ, შესაძლოა, მოვიწამლოთ!** როცა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, **სოკრატემ** სწორედ კონიოსგან მომზადებული შხამი დალია...

ეზოებში ხშირად გვხვდება **ქრისტესსისხლაც.** ეს მცენარე რამდენადაც სასარგებლოა, იმდენად საშიშია! ქრისტესსისხლას განსაკუთრებით ბავშვები უნდა მოვარიდოთ, რადგან შხამიანია. ასევე საშიშია **ოლეან**-

## „ოთახის მცენარე დიფენბახია უძლიერეს შხამს შეიცავს!“



### „თუთუბო ძალიან ლამაზი მცენარეა და ბევრი მას ეზოშიც აშენებს, რაც დაუშვებელია!“





### „ოლეანდრას წვენი იწვევს არითმიას და თვით გულის გაჩერებასაც კი. ამიტომ ოთახებიდან, ეზოებიდან და ბაღებიდან მოაშორეთ!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***


IWAY.GE

ევრაზიაში სამშენებლო და სარემონტო მასალების წამყვანი მწარმოებლის QIS-ის (Quality Insulation Systems) წარმომადგენელი საქართველოში

შპს „აივეი“

გთავაზობთ:

უმაღლესი ხარისხის, მაღალი მარკიანობის (C2TE S1 სტანდარტი), ელასტიკურ, წყალგაუმტარ, ყინვაგამძლე თეთრ წებოცემენტს

QIS AQUA BOND,

რომელიც გამოდგება კერამოგრანიტის, მარმარილოს და მეთლახის დასაწებებლად ვერტიკალურ და ჰორიზონტულ ზედაპირებზე, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების პირობებში, მათ შორის, იატაკქვეშა გათბობის სისტემის მონტაჟის შემდგომ.

ვრცელდება საბითუმო და საცალო ფასები, უფასო მიტანა, კონსულტაცია და გრძელვადიანი თანამშრომლობა.

თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge



იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80



სამშობიარო სახლი და პედიატრიული კლინიკა



თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93   598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15. ქურდიანის №2.


## კვირგვინოსნები

**მარკუს მეტრეველი**
*მომღერალი*



სცენაზე გამოსვლას ყოველთვის ახლავს **უდიდესი სტრესი და შიში.** ისე ვღელავ, რომ შეიძლება სიმღერის ტექსტიც დამავიწყდეს. **ფეხები მიბუჟდება, დიდი ძალისხმევა მჭირდება, პირველი ნაბიჯი გადავდგა სცენაზე.** ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა მაყურებლის წინაშე.

„სარკე“

**თამო კვარაცხელია**
*ტელეწამყვანი*



როდესაც ოჯახი შევქმენი, **კარიერაზე უარი ვთქვი, რასაც შემდგომ ვნანობდი.** მას შემდეგ კი კარიერას პირად ცხოვრებას ვერ ვუთავსებ და ჯერჯერობით **არჩევანს კარიერაზე ვაკეთებ.**

„სარკე“

**თათა ჯაში**
*ბალერინა*



ბალერინებისთვის, დაახლოებით, **40-45 წლის ასაკში ხდება კარიერის დასრულება.** ამ ასაკის შემდეგ პროფესიულად უკან ვიხევთ.

„თბილისელები“

**ზურა ხაჩიძე**
*მომღერალი*



**ცოლად სხვა რომ მომეყვანა, აქამდე ოჯახს დავანგრევდი.**

სარკე“

**ეკა მესხიშვილი**
*მსახიობი*



ვცდილობ, **ძალიან სასტიკი არ ვიყო,** მაგრამ, როდესაც უსამართლობას ვხედავ, **ძალიან ცუდი ქალი ვხდები.**

„თბილისელები“

# მიხეილ ცაგარელი:
# ბიძინა ივანიშვილი საკუთარ თავს ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც არასდროს!

***შტორმისწინა ქარიშხალი — ასე აფასებს პოლიტიკურ სიტუაციას ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი. უფრო კონკრეტულად რა საფრთხეები გველის წინ და ვის რა შანსი აქვს არჩევნებში გამარჯვების, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ:***



— ჩათვალეთ, ცის კაბადონზე ჭექა-ქუხილია და კოსმოსი დიდი შტორმისთვის ემზადება! აგრესიის და ომის მმართველი პლანეტა **მარსი** ძალიან რთულ, 90-გრადუსიან დაძაბულ ურთიერთობებში იმყოფება დამანგრეველ პლანეტა **სატურნთან,** რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან მაღალია ომების, მკვლელობების, ტრავმულ-ავარიული ტენდენციების ალბათობა. გარდა ამისა, დაღმავალი ე.წ. კარმული კვანძი, რომელიც წარსულის ცხოვრებისეულ მისიაზე მიუთითებს, შეერთებაშია **ვენერასთან და შავ მთვარესთან.**

**— ეს რას ნიშნავს?**

— ძალიან ცუდი ასპექტია. **ადამიანს ან ქვეყანას თუ ჰქონდა კარმული ვალი, შეიძლება ძვირად დაუჯდეს და დაისაჯოს, პირდაპირი გაგებით.** ვენერა სიყვარულთან ერთად მართავს ფულს. თუ გქონდათ დაშვებული შეცდომები ფინანსებთან დაკავშირებით, ცუდად შეგახსენებთ თავს. ზიანი მიადგება იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომლებმაც თავის დროზე არასწორად გათვალეს ფინანსური მხარეები. ამ ყველაფერს განსაკუთრებით სექტემბრის მეორე ნახევრიდან ვიგრძნობთ.

გარდა ამისა, **წინ გველოდება მზისა და მთვარის დაბნელებების ორკვირიანი დერეფანი.** ამას ემატება ისიც, რომ სექტემბრის მეორე ნახევრიდან დედამიწა უარყოფით ენერგოველში შედის, რაც საერთო სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს და ადამიანთა ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. ჯერ მოსამზადებელი პერიოდია. ახლა თუ ხვრინვის გამო მეზობელი მეზობელს კლავს, მერე ნახეთ, რა მოხდება, როდესაც კოსმოსიდანაც იქნება ხელშეწყობა!

## ყველას მოვუწოდებ, ვიდრე ჯერ კიდევ არის დრო და შესაძლებლობა, კარგად დაისვენეთ, წინ ურთულესი შემოდგომა გველის, ძალიან მაღალი იქნება პოლიტიკური ტემპერატურა და შეიძლება ნერვულმა სისტემამ გიღალატოთ!

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაშინ, როდესაც მთელი ყურადღება საარჩევნო კამპანიებისკენ არის მიმართული, **ჯანმო** მორიგი აფერისთვის ემზადება. ეს მასონური ორგანიზაცია **ახალ გენმოდიფიცირებულ ვირუსს** გვიმზადებს თავისი გენმოდიფიცირებული მკურნალობის მეთოდოლოგიით, რომლის მიზანიც არის ქვეყნებს კონსტიტუციაში ცვლილებები შეატანინოს. **ამჯერად ეს არ იქნება რეკომენდაცია, ეს იქნება მუქარა — ვინც წინააღმდეგობას გასწევს და ინიექციებზე უარს იტყვის, დაისჯება!** ამ გზით ეცდებიან მთავრობების დაშინებას და მოსახლეობის განადგურებას!

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ შემოდგომაზე ტარდება არჩევნები 72 ქვეყანაში. მისი შედეგები გადაწყვეტს, როგორ წარიმართება ურთიერთობები, რა ტენდენციები იქნება უახლოესი 4 წლის განმავლობაში. 2030 წლიდან სამყარო კაცობრიობის განვითარების სხვა რეგულაციაზე გადადის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ პერიოდში ვცხოვრობთ. მართალია, ამას დღეს ბევრი საკუთარ ტყავზე ვერ გრძნობს, ამბობს, კატასტროფები, მკვლელობები, დაპირისპირებები ყოველთვის ხდებოდა, მერე რაო, მაგრამ, მერწმუნეთ, რაც 2024 წლის შემოდგომაზე მოხდება, განაპირობებს უახლოესი 4,5 და მაქსიმუმ 10 წლის პერიპეტიებს მსოფლიოსა და სამყაროში!

ამიტომაც გადაწყვიტა **ბიძინა ივანიშვილმა** სწორედ ახლა ხმის ამოღება და სათქმელის საჯაროდ თქმა!




**— ეთანხმებით იმ მესიჯებს, რასაც იგი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში აჟღერებს?**

— უკეთესი იქნებოდა, „ქართულ ოცნებას“ ჯერ გამარჯვება მოეპოვებინა და მერე მშვიდ ვითარებაში გაეკეთებინა მკვეთრი განცხადებები, მაგრამ, როგორც ჩანს, **ბიძინა ივანიშვილი** გარემო სიტუაციებიდან გამომდინარე, იძულებული გახდა, ვაბანკზე წასულიყო — ან უნდა ბოლომდე დამორჩილებოდა დასავლეთს ან ებრძოლა საქართველოს რეალური სუვერენიტეტისათვის.

როგორც ვიცი, „ქართული ოცნება“ სერიოზულ ინფორმაციებს ფლობდა **ბიძინა ივანიშვილის** ლიკვიდაციაზე, რომელსაც საუკეთესო ინტუიცია აქვს. მას კარგად ესმის, რაშიც გაყო თავი, უბრალოდ, სხვა გზა აღარ ჰქონდა. ახლა ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ბიძინა ივანიშვილის სწორ მოქმედებებზე, საკუთარ თავს ისე უნდა გაუფრთხილდეს, როგორც არასდროს!

ხომ ხედავთ, ოფიციალური რუსეთიც აცხადებს იმას, რაზეც ბოლო დროს გამუდმებით ვსაუბრობ, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებზე — **კიდევ ერთი ფერადი რევოლუცია მზადდება საქართველოში, რის განხორციელებაშიც დასავლეთს ხელს ბიძინა ივანიშვილი და მისი მთავრობა უშლის!**

რაც ბიძინა ივანიშვილმა ამ რამდენიმე დღის წინათ ტრიბუნიდან განაცხადა, ყველა სიტყვაში ვეთანხმები. როცა ამბობ, დამოუკიდებელი ვართ და გაქვს მუხლი, რომ ამერიკის მოქალაქეს შეუძლია ნებისმიერი ქართველი უაპელაციოდ მოკლას და პასუხი ვერ მოსთხოვო, ეს დამოუკიდებლობა კი არა, სრული დამოკიდებულებაა შეერთებულ შტატებზე! **კონსტიტუციაში უამრავი ასეთი კაზუსია, რაც ქვეყნის წინსვლას და განვითარებას უშლის ხელს, კანონების 80 პროცენტიც შესაცვლელია.** თუ ჩვენ მსოფლიო სავალუტო ფონდის შემყურე დავრჩებით, რათა ქართველმა ხალხმა სული ვერ მოითქვას და დასასჯელიც არ დაისჯება, ქვეყანა კიდევ დიდხანს იტრიალებს წრეზე. დიახ,

## აუცილებელია ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს დამნაშავე ნაციონალების პარპაში საქართველოში!

# „წინ გველოდება მზისა და მთვარის დაბნელებების ორკვირიანი დერეფანი!“

## კვირგვინოსნები

**ლიკა დუმბაძე**
*დიზაინერი*



იტალიურ ქორწილში **ერთი კაცის მასპინძლობა 800-დან 1000 ევრომდეა.** საშუალოდ 70-დან 200-მდე სტუმარი მოდის... დაბალბიუჯეტიანი ქორწილებიც არსებობს, მაგრამ, თუ საშუალოდ დავითვლით, **საქართველოში 200-კაციანი ქორწილი ევროპაში 80-კაციან ქორწილს გადაიხდის.**

„კვირის პალიტრა“

**სუსანა ლეჟავაშვილი**
*მომღერალი*



ყველა ქალბატონს მინდა, მივმართო: **გიხაროდეთ და გაბედნიერებდეთ სხვისი ბედნიერება,** ისწავლეთ სხვისი წარმატებით ტკბობა, **ნუ იქნებით** ბოღმიანები და აუცილებლად გაიხანგრძლივებთ ახალგაზრდობას.

„თბილისელები“

**ლიკა ყაზბეგი**
*დიზაინერი*



დროის დაბრუნება რომ შემეძლოს, **ოთხ სიყვარულს გამოვაკლებდი ჩემს ცხოვრებას** და დავტოვებდი მხოლოდ ორს.

„თბილისელები“

**ნინი ონიანი**
*ფიტნეს ინსტრუქტორი, მსახიობი*



სუსტი კაცები თავის კომპლექსებში **თავადაც იხრჩობოდნენ და მეც მახრჩობდნენ.** ახლა ამეხილა თვალები, **მამაკაცებს დურბინდით ვარჩევ** და ამიტომაც დავდივარ მარტო.

„თბილისელები“

**ლაშა ტალახაძე**
*სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი*



თუ შევხედავ, რომ **შემიძლია, კიდევ მოვიპოვო გამარჯვება,** აუცილებლად გავაგრძელებ ბრძოლას.

„რეზონანსი“

# „კაცობრიობის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იწყება!“

ალბათ, ათასჯერ მაინც მაქვს ნათქვამი, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — **ვიდრე ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავე პოლიტიკური პარტია, არ დასრულდება, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება!**

**— იმას, რასაც თქვენ ქვეყნის შველას ეძახით, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები დიქტატურას უწოდებენ!**

— **დიქტატორი არ არის ამერიკის ნებისმიერი პრეზიდენტი ან თუნდაც მაკრონი?** რასაც უნდათ, იმას აკეთებინებენ. დიქტატორულია ჩინეთის ხელმძღვანელობაც, მაგრამ ქვეყანა ააყვავეს. ასეთ პატარა ქვეყანაში 240 პარტიის არსებობა დემოკრატია კი არა, ანომალია გახლავთ! ეს არის ქვეყნის დაცინვა და რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს! **დიახ, უნდა აიკრძალოს ყველა ის პარტია, რომელმაც საქართველოს დაუშავა, უცხოეთიდან იკვებება და ქვეყნის წინსვლას უშლის ხელს.** მოიკითხეთ, რას უშვრებიან სხვაგან, მათ შორის საფრანგეთსა და გერმანიაში ასეთ პარტიებს! **ნებისმიერ სერიოზულ ქვეყანაში თუ პარტია ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს ეწევა, კონსტიტუციურად კრძალავენ!**

**— ამ განცხადებების პარალელურად, საინტერესოა, როგორ გამოიყურება ბიძინა ივანიშვილის ჰოროსკოპი? ვის მხარეს არის კოსმოსი?**

— ოქტომბერი კარგია მისთვის, მაგრამ რთული ექნება არჩევნების შემდგომი პერიოდი. ნოემბერში განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. ეს ეხება **ირაკლი კობახიძესაც.** მაღალი იქნება ღალატის ალბათობა, მათ შორის, პარტიის შიგნით. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ, გააძლიერონ პირადი დაცვა! **ტყვიაგაუმტარი მინები თავდაცვის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა, მაგრამ საკმარისი არ არის.** თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის თავიდან მოშორების ძალიან ბევრი საშუალება არსებობს. შესაძლებელია, მოწამვლა ჰაერის მეშვეობითაც მოხდეს.

სწორი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, დიდია ალბათობა, ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. **თუ „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციის შეცვლის საშუალება მიეცემა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკა გაძლიერდება, შესაბამისად, მოიმატებს ხელფასები, არ ვიქნებით დამოკიდებულნი დასავლეთის სავალუტო ფონდებზე, შემცირდება შიდა დაძაბულობა და დარეგულირდება ურთიერთობა რუსეთთან.**

## ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთთან დალაპარაკებით არის შესაძლებელი. მათი მხრიდან უკვე წამოსულია მესიჯები ჩვენი მისამართით!

**— რამდენად დიდია შანსი, „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციური უმრავლესობით გაიმარჯვოს?**

— დღეს ოპოზიციას ნაფტალინის სუნი ასდის. აღარავის აინტერესებს, არც დამკვეთებს და არც ხალხს. ქვეყნის მტერი უნდა იყო, ხმა რომ მისცე, თვითონაც არ სჯერათ გამარჯვების! ამიტომაც აანონსებენ წინასწარ რევოლუციებს. ასტროლოგიურად არასდროს ვამბობთ 100 პროცენტს, მაგრამ 90 პროცენტი ნამდვილად აქვს „ოცნებას“ იმის შანსი, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობით გაიმარჯვოს.




„დემოკრატები გაყალბების ახალ სისტემას ამზადებენ. ტრამპი თუ გონს არ მოვა და ილონ მასკს გვერდით არ დაიყენებს, დიდ შეცდომას დაუშვებს!“



ილონ მასკი

## ჩემს პრაქტიკაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ცუდი ჰოროსკოპის გამო ორი ადამიანისთვის მითხოვია სახლში დარჩენა.

ერთი დარჩენილა, მეორე — არა. რომელიც არ დარჩა ავარიაში მოხვდა და ხეიბარი დარჩა, ვინც ჩემი რჩევა გაითვალისწინა, მხოლოდ თითი გაიჭრა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად სწორ კორექციას შეიტანს ჩვენი მთავრობა იმ მოვლენებში, რომელიც მის ირგვლივ ვითარდება. **თუ სწორად იმოქმედებს, კონსტიტუციური უმრავლესობა მის ხელში იქნება!**

**— ვის რა შანსები აქვს ამერიკის არჩევნებში, რომლის შედეგიც მსოფლიო პოლიტიკაზე აისახება?**

— მიუხედავად იმისა, რომ **ტრამპი** ფრთიანი ანგელოზი არ არის და მისი გამარჯვებით საქართველო არ აშენდება, **კამალა ჰარისს** ნამდვილად სჯობს, თუმცა, ისეთი ძალები ამუშავდნენ დღეს მის წინააღმდეგ, რომ გამარჯვება გაუჭირდება. **დემოკრატები გაყალბების ახალ სისტემას ამზადებენ. ტრამპი თუ გონს არ მოვა და ილონ მასკს გვერდით არ დაიყენებს, დიდ შეცდომას დაუშვებს.** კამალა ჰარისს სერიოზული შანსი ექნება არჩევნების მოგების, რაც მსოფლიოსთვის დიდი საფრთხე იქნება. **ეს ქალი ნამდვილი ეშმაკისეულია. ბაიდენი მონაგონია მასთან. თქვენ კიდევ არ იცით, რა ბოროტება დევს მასში.** კამალა ჰარისის პირად ჰოროსკოპში ერთად არის შავი მთვარე, გამარჯვების პლანეტა იუპიტერი და აგრესიის მმართველი პლანეტა მარსი. ვერ წარმოიდგენთ, ეს ასტროლოგიურად რას ნიშნავს. მერე ნახეთ თქვენ ამერიკის ომები!




„ეს ქალი ნამდვილი ეშმაკისეულია. ბაიდენი მონაგონია მასთან. თქვენ კიდევ არ იცით, რა ბოროტება დევს მასში!“

## კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ:

კაცობრიობის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იწყება! 2025 წელი იქნება გადამწყვეტი, ბევრი რამ დალაგდება და გაირკვევა. ეს შემოდგომა გადაწყვეტს კაცობრიობის მომავალს, საით მიდის — განადგურებისკენ თუ აღმავლობისკენ!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**ლექს-სენი**
*რეპერი*



სკოლა რომ დავამთავრე, **კლასის ბანკეტზე ჩემი სიმღერები შევასრულე** და ყველას ძალიან მოეწონა, რა მაგარიაო, ამბობდნენ. რაც ჭკუაში ჩავვარდი, **მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი გზა და აღარც გადამიხვევია.**

„თბილისელები“

**ნინო კირთაძე**
*რეჟისორი*



**ჩემთვის ყველა ფილმი ძვირფასია,** რადგან მათში ძალიან დიდ ენერგიას ვდებ და **შვილებივით ხდებიან ჩემთვის.** როდესაც გადაღებას ამთავრებ, ხედავ, რომ **ეს ფილმები ისევე, როგორც შვილები,** თავისით აგრძელებენ ცხოვრებას.

„სარკე“

**ლაშა ბექაური**
*ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი*



ვაზარით რომ ვაგებდი, **მამაჩემმა დამიძახა — მთელი საქართველო გიყურებსო.** ძალიან დიდი მოტივაცია მომცა ამან. დიდი ბრძოლის წინაშე დავდექი და **ჩემი მენტალობა, ჩემი ქართული სული, სისხლი დამეხმარა** იმაში, რომ ამომექაჩა ის ვაზარი და **გავმხდარიყავი ოლიმპიური ჩემპიონი.**

„რეზონანსი“

**ლეონარდო დიკაპრიო**
*მსახიობი*



დაქორწინებაზე კითხვებს აღარ ვპასუხობ. **ბედნიერებისთვის ოჯახის შექმნა არ მჭირდება,** რადგან თავს ისედაც კარგად ვგრძნობ.

„სარკე“

**ქეიტ უინსლეტი**
*მსახიობი*



**საკუთარ თავს აღარასდროს დავაკნინებ.**

„სარკე“



# მიხეილ ცაგარელი:
# სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

***— სექტემბერში რომელ რიცხვებში იქნება მზე განსაკუთრებულად აქტიური და აგრესიულიც კი? თვის ამ მონაკვეთში ატმოსფერული ანომალიები და ბუნებრივი მოვლენები რა ზემოქმედებას მოახდენს ადამიანებზე და განსაკუთრებით ვის მართებს სიფრთხილის გამოვლენა? კოსმოსური ენერგიების არასასიკეთო ზეგავლენა და ქაოტური დინამიკა რაზე აისახება, სად შექმნის სირთულეს და ადამიანებს რას აიძულებს? დედამიწის ბიოსფეროს მდგომარეობა როდის დასტაბილურდება, როდის გამოჩნდება ახალი შესაძლებლობები შემოქმედებითად, ნაყოფიერად და მომგებიანად მოქმედებისთვის; როდის მოხდება კოსმოსური ქარიშხლის შედეგების აღმოფხვრა? რა უნდა გაითვალისწინოთ სექტემბერში სავსემთავრეობისა და მთვარის დაბნელების დაძაბულ დღეს? რა და რა თვისებებს გაამახვილებს თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ქალწულის ზოდიაქოდან სასწორის ზოდიაქოში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

## 2 – 8 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

ფსიქოსომატური მდგომარეობა დაიწყებს გაუარესებას, რაც აისახება საქმიანი აქტიურობის დაქვეითებაზე. შესაძლოა, პრობლემები გაჩნდეს პარტნიორებთან მოლაპარაკებისას ან მუშაობისას. საყვარელ ადამიანთან უმიზეზოდ ურთიერთობას ნუ გააფუჭებთ, რათა ამან უსიამოვნებები და გულისტკენა არ გამოიწვიოს თქვენში. დაღლილობა შეიძლება ქრონიკული დაავადებების გამწვავების მიზეზი გახდეს, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

**კურო** (21.04-20.05)

აიმაღლეთ ცოდნა და პროფესიონალიზმი, რათა მიაღწიოთ ცხოვრებისეულად აუცილებელ წარმატებებს. ახლის ათვისება არამარტო გაგიადვილდებათ, არამედ შეძლებთ ძალზედ ფასეული ცოდნისა და ინფორმაციის მიღებასაც. ძვირადღირებულს ნურაფერს შეიძენთ და დროებით გადადეთ ბინის რემონტი. საყვარელ ადამიანს ნუ მოახვევთ თქვენს აზრს ძალდატანებით. მოგზაურობისას ნუ ენდობით უცნობებს და ყურადღება მიაქციეთ პირად ნივთებს.

**ტყუპი** (21.05-22.06)

ორაზროვან სიტუაციებში სიდინჯე დაგეხმარებათ კოლეგებსა და მეგობრებთან ჰარმონიული დამოკიდებულების შენარჩუნებაში. კარგი დროა გეგმებისა და მიზნების კორექტირებისთვის, ცოდნისა და პროფესიული ჩვევების გასაღრმავებლად. მოულოდნელი ინფორმაცია გაგიადვილებთ გადაწყვეტილების მიღებას. ენერგიის აღსადგენად შეიძლება შვებულების აღება და დასასვენებლად გამგზავრება. მშვიდ გარემოში გაგიადვილდებათ განვლილი პერიოდის გაანალიზება და ახალი მიზნების დასახვა.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

მიმდინარე მოვლენები ცვლილებებს გამოიწვევს თქვენს მსოფლმხედველობაში, გაამძაფრებს ცნობისმოყვარეობასა და შემოქმედებითი უნარის წარმოჩენის სურვილს. ურთიერთობისას იღბალი გაგიღიმებთ და გაგიადვილდებათ საქმეებში წარმატების მიღწევა. ახლობლების დახმარებით კი ჩანაფიქრების განხორციელებას დაიწყებთ. გარემოებებზე დამოკიდებულება თავისუფალი დროის განკარგვის საშუალებას შეგიზღუდავთ. უმეტესი გადაადგილებები დაუკავშირდება ოჯახს ან გართობას.

**ლომი** (23.07-23.08)

მიუხედავად დადებითი განწყობისა, ხშირად მოგეძალებათ სიზარმაცისა და დაღლილობის შეგრძნება. სხვებისთვის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებისას იზრუნეთ თქვენი ცოდნის ამაღლებაზეც. ფულის უყაირათოდ ხარჯვისაგან შეძლებისდაგვარად შეიკავეთ თავი. ხშირი გადაადგილებები, შეხვედრები და მოლაპარაკებები უამრავ ენერგიას საჭიროებს. ამიტომ ეცადეთ, არ გადაიტვირთოთ და ხშირად დაისვენეთ. კარგი დროა ოჯახის წევრებთან ერთად სადმე გამგზავრებისა და დასვენებისთვის.

**ქალწული** (24.08-23.09)

მეტად თავდაჯერებულად იგრძნობთ თავს, თუ დამოუკიდებლად აირჩევთ სამომავლო მიზნებს და გაიფართოებთ ცოდნას. მთავარია, ყველა ქმედება კარგად აწონ-დაწონოთ, რადგან შეცდომები ცუდად აისახება თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე. ძვირადღირებულ ნივთებს ნუ შეიძენთ და მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას. სასიყვარულო და საქორწინო სფეროში ეცადეთ, მეტად გულისხმიერი იყოთ. მოგზაურობები და უცხოელებთან საქმიანი ურთიერთობა დადებით შედეგს გამოიღებს.

**— ზაფხულიც მიიწურა, როგორი იქნება შემოდგომის პირველი თვე — ენკენისთვე, რას გვაუწყებენ ვარსკვლავები?**

— **სექტემბრის დასაწყისი თვის ყველაზე არასასიკეთო პერიოდი შეიძლება იყოს. ამ დროს კოსმოსის ნეგატიური ვიბრაციები უმაღლეს ნიშნულს მიაღწევს, რაც 13 რიცხვამდე გასტანს. ქალწულის ზოდიაქოს ნიშანში მოძრავი მზე ზედმეტად აქტიური და აგრესიულიც კი იქნება. განსაკუთრებით 2-5 სექტემბრის შუალედში.** ამგვარი ვითარება ადამიანთა ქვეცნობიერებაზე უარყოფითად აისახება. აფეთქებები მზეზე, ატმოსფერული ანომალიები, სტიქიური კატასტროფები, მიწისძვრები და სხვა არასასიკეთო ბუნებრივი მოვლენები ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს საერთო ფსიქოემოციურ ფონსა და განწყობაზე, ჯანმრთელობასა და მოსახლეობის საქმიანობაზე. **თვის ამ მონაკვეთში, განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება მართებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ენერგეტიკულ ეთერულ სხეულში დარღვევები აქვთ ან აღენიშნებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.** ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო, შესაძლოა ძველი ქრონიკული დაავადებაც გამწვავდეს. კოსმოსური ენერგიების არასასიკეთო ზემოქმედება აისახება ადამიანთა ქმედებაზეც. იმატებს იმპულსური, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისა და უსაფუძვლოდ ამბიციური მოქმედების სურვილი. ეს ყოველივე სერიოზულ წინააღმდეგობას შეუქმნის როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობებს, რაც დამატებით სირთულეს შექმნის ბიზნესსა თუ კარიერულ საკითხებში. **12 სექტემბრამდე არ იქნება სასურველი მოგზაურობა, დიდ მანძილზე გადაადგილება, მივლინება. ამ დროს გამორიცხული არ არის სხვადასხვა სახის ავარიები, ხანძრები, უბედური შემთხვევები.** ზედმეტი ენერგია და ქაოტური დინამიკა ბევრ ადამიანს აიძულებს, წინდაუხედავად, ნაჩქარევად იმოქმედოს, შეცდომები დაუშვას. შედეგად, არაპროფესიონალიზმი, დისპეტჩერის თუ მომსახურე პერსონალის გულგრილობა და შეცდომა, შესაძლოა, ავიაკატასტროფისა და სატრანსპორტო შემთხვევების მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, სექტემბრის ეს მონაკვეთი ვერ გამოდგება თანამშრომლობისთვის, საქმიანი შეხვედრებისთვის და მოლაპარაკებებისთვის. **ამ დროს უმჯობესი იქნება, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის წევრებს, საყვარელ და ძვირფას ადამიანებს, მეგობრებს. ასევე სასურველია, პროფესიულ საქმეს მეტი ყურადღება მიექცეს, რამეთუ შეიძლება პარტნიორთან ურთიერთობა დაიძაბოს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობა არ შესრულდეს, დანაპირების ასრულებაც გართულდეს.**

**— როდის უნდა ველოდოთ სექტემბერში სიტუაციის გაუმჯობესებას?**

— **12 სექტემბრიდან დაძაბულობა თანდათან იკლებს და უკვე 18 რიცხვიდან ახალი შესაძლებლობები გაჩნდება შემოქმედებითად, ნაყოფიერად და მომგებიანად მოქმედებისთვის.** მათი უმრავლესობა მეტად პროდუქტიული იქნება. გარდა ამისა, კონფლიქტებისა და პრობლემების მოგვარების ახალი გზები გამოჩნდება და მიღებული იქნება ოპტიმალური, ზედმიწევნით გააზრებული გადაწყვეტილებანი. ამ პერიოდისთვის დედამიწის ბიოსფეროს ენერგეტიკაც დასტაბილურდება, თუმცა, **თვის დასაწყისის კოსმოსური ქარიშხლის შედეგების აღმოფხვრა მხოლოდ 22 სექტემბრის შემდგომ მოხდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ 18 სექტემბერს მოსალოდნელია სავსემთავრეობა** (პიკი — 05.57) **და მთვარის დაბნელება.** ამგვარად, მზისა და მთვარის ენერგიათა დაპირისპირება **ქალწული-თევზების** ზოდიაქურ ღერძზე განაპირობებს კონფლიქტებს, ავარიებს, ცდუნებებს, შეცდომებს, შიშებს, ცუდ აზრებს, რაც ყველასგან ითხოვს სიფრთხილესა და ყურადღებას. ეცადეთ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საქმეები შეძლებისდაგვარად გადადოთ.

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებსა და მოვლენებში სექტემბრის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება ქალწულის ზოდიაქოდან სასწორის ზოდიაქოში?**

— **მზე 22 სექტემბერს (16.05) გადაინაცვლებს რა სასწორის ზოდიაქოს ნიშანში, ადამიანებში გააძლიერებს დიპლომატიურობას, მშვიდობიანობისა და სამართლიანობისკენ მიდრეკილებას, კომპრომისის დაშვების უნარს, შემოქმედებითობას, სილამაზის აღქმას, ელეგანტურობას, სინატიფეს და ასევე, მერყეობა-გაორებას, უყაირათობას, სულსწრაფობასა და სხვისი ზეგავლენის ქვეშ მოქცევისკენ მიდრეკილებასაც.**



*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 2 – 8 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

კარგი დროა დასვენებისა და სამომავლო გეგმების გონივრულად გააზრებისათვის. ოჯახის პრობლემების გამო ზედმეტად ნუ გადაიღლებით, რათა არ გაამწვავოთ ქრონიკული დაავადებები. ფინანსური გარიგებებისთვის ცუდი დროა, რადგან შესაძლოა, დანაკარგი განიცადოთ. მოერიდეთ უცხოელებთან მჭიდრო კავშირს და სიტყვაზე ნურავის ენდობით. პირად ცხოვრებაში კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასიამოვნო სიახლეებსა და სიურპრიზებს.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

განწყობის ცვალებადობა მიზნებისა და ამოცანების ხშირ ცვლილებას გამოიწვევს. ეცადეთ, არავის ეკამათოთ, რადგან ზედმეტად პირდაპირი და თავშეუკავებელი იქნებით. ახალი საქმიანი პარტნიორები დახმარებას გაგიწევენ პროფესიულ საკითხებში. შესაძლოა, სხვა ქალაქიდან ან ქვეყნიდან მიიღოთ თქვენთვის აუცილებელი ინფორმაცია, რაც ახალ პერსპექტივებს გიქადით. პირად ცხოვრებასა და სასიყვარულო სფეროში გამოიჩინეთ მეტი მოთმინება. მოგზაურობისას სასურველია სიდინჯე.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

მოქმედებისას დაეყრდენით ინტუიციას. თავშეკავება, ნებისყოფა და ადამიანების დარწმუნების უნარი დაგეხმარებათ პროფესიულ სფეროში პოზიციების გაძლიერებაში, თუმცა, დამსახურებულად აღიარებისა და სრულად დაფასების იმედი ჯერ ნუ გექნებათ. შესაძლოა, სიტუაცია ისე წარიმართოს, რომ მოგიწიოთ თქვენი თანამოაზრეების ინტერესების დაცვაც. უცხოელებთან კავშირი დაგეხმარებათ თქვენი სამომავლო მიზნების გააზრებაში. პირად ურთიერთობებში ეცადეთ, იყოთ მეტად გახსნილი.

**თხის რქა** (22.12-19.01)

მოიმატებს ენერგია და გამძაფრდება ემოციურობა, რაც კონფლიქტების მიზეზი შეიძლება გახდეს. ფინანსურ საკითხებში გაუგებრობა ძალიან დამღლელი მოგეჩვენებათ. შესაძლოა, მოგიწიოთ მშობლების მოვლა ან საცხოვრებელი ადგილის გალამაზება. განმარტოება დასვენებისა და აზრების მოწესრიგებაში დაგეხმარებათ. ეცადეთ, მელანქოლია არ მოგერიოთ, რათა არ დაგიქვეითდეთ ხალისი და შრომისუნარიანობა. მოგზაურობისას აუცილებელია სიფრთხილე და დაკვირვება.

**მერწყული** (20.01-18.02)

სირთულეებია მოსალოდნელი გარშემო მყოფებთან და ახლობლებთან ურთიერთობისას. მოერიდეთ სხვების გაკილვასა და კრიტიკას. უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად მოერიდეთ ნაკლებად ნაცნობ ხალხთან ურთიერთობას. ეჭვიანობის ნიადაგზე დიდია საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობა. არსებობს ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობაც. დასვენება და ახლო მოგზაურობა დადებითად იმოქმედებს თქვენს შინაგან მდგომარეობაზე.

**თევზები** (19.02-20.03)

დასახული მიზნების მისაღწევად თავი აარიდეთ ფარულად მოქმედებას, დამოუკიდებლად ნურაფერს გადაწყვეტთ და ინფორმაცია გადაამოწმეთ. შეძლებისდაგვარად შეამცირეთ გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა. ოჯახური ურთიერთობები აღსავსე იქნება რომანტიკულობით, თუმცა, ერიდეთ ზღვარგადასულ დროსტარებასა და სარისკო მოქმედებებს. დასვენება და მოგზაურობა გაგიუმჯობესებთ გუნება-განწყობას და ახალი იდეების სტიმული აღმოჩნდება.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 2, 3, 5 და 7 სექტემბერი

**3 სექტემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 05.57 საათზე;**
**18 სექტემბერი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება, პიკი – 06.37 საათზე.**

## ასტროლოგიური კვირა

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

### 2 სექტემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.28 საათზე, ჩადის 18.32 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.52) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 18.29 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 05.26 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.26 საათიდან 07.56 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კოსმოსური ენერგიის მმართველი პლანეტა **პლუტონი** ბრუნდება **თხის რქის** ზოდიაქოში (20 ნოემბრამდე), სანამ საბოლოოდ (20 წლით) არ გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში. მისი ზეგავლენით მოხდება დიდი გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა და ძალაუფლების გადანაწილება, რაც დიდი ხნით დასახავს მსოფლიო პოლიტიკური პროცესის მიმართულებას. დღეს პროვოკაციებს მოერიდეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ქორწინება, გადაღლა და ნერვიულობა. საჭმელ-სასმლის ხარისხი აკონტროლეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, ონიქსი, მალაქიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

### 3 სექტემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.29 საათზე, ჩადის 18.31 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 05.32 საათზე, ჩადის 18.49 საათზე (**ახალმთვარეობაა,** პიკი — 05.57 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა. მე-2 დღე იწყება 06.45 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობა განაპირობებს ტრავმების, კონფლიქტების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომების და სხვა ნეგატიური მოვლენების მაღალ ალბათობას. ყოველდღიური საქმით შემოიფარგლეთ. ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ. კარგი დღეა სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, გარისკვა, ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, ხელშეკრულების დადება, გადაღლა, მგზავრობა, პირდაპირობა და წვრილმანზე ჩაძიება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** გიშერი, ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 4 სექტემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.30 საათზე, ჩადის 18.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.06) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 06.33 საათზე, ჩადის 19.07 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 08.01 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.07 საათიდან 20.13 საათამდე. **ტენდენციები:** დღეიდან ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **კირჩხიბის** ზოდიაქოში (4 ნოემბრამდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს ემოციურობას, ორგანიზებულობას, ინტუიციურობას, მოთმინებას, მიდრეკილებას ოჯახისა და ტრადიციისკენ და ასევე გაამახვილებს ხასიათცვალებადობას, სანათესაო კონტაქტებისკენ მიდრეკილებას. დღეს შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, ტერფების, თვალების, ნერვული სისტემის მკურნალობა. საქმიანობისას ყურადღება მიაქციეთ ყოველ წვრილმანს. კარგი დღეა დასუფთავებისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, აუდიტისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სარისკო ქმედება, ახალი ნაცნობობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, ნეფრიტი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 5 სექტემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 07.33 საათზე, ჩადის 19.24 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 09.15 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს პროვოკაციებს ერიდეთ, ურთიერთობისას იყავით მშვიდი. პრობლემები მოაგვარეთ დიპლომატიურად, დაუშვით კომპრომისი. შედეგიანი იქნება კბილების, სისხლძარღვების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. არ არის სასურველი სასამართლოში სარჩელის შეტანა, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, წელის გაციება. კარგი დღეა საოჯახო ღონისძიებებისთვის, ქორწინებისთვის, პაემნებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ნივთების მოსაწესრიგებლად და უსარგებლოსგან გასანთავისუფლებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 6 სექტემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.32 საათზე, ჩადის 18.25 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 08.34 საათზე, ჩადის 19.43 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 10.31 საათზე, I ფაზა). **ტენდენციები:** გზაში მეტი ყურადღება და სიფრთხილე გმართებთ. უმჯობესია, ავიამოგზაურობისგან თავი შეიკავოთ. კარგი დღეა ბინაში რემონტისთვის, ფანჯრების გასაწმენდად ან შეცვლისთვის, სწავლისთვის, სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, მუსიკალური აპარატურის, ხელოვნების ნიმუშების, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ქორწინებასა და ნიშნობისთვის. შედეგიანი იქნება სისხლძარღვების, კბილების, გრძნობათა ორგანოების მკურნალობა. არ არის სასურველი ბევრი სითხის და ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, სერდოლიკი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 7 სექტემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.33 საათზე, ჩადის 18.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.04) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 09.36 საათზე, ჩადის 20.03 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 11.48 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 09.09 საათიდან 09.20 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა. ყურადღება გმართებთ. მოერიდეთ სარკაზმს, ეჭვიანობას, პირდაპირობას. ცუდი აზრები მოიშორეთ, ნუ განიკითხავთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, სამეცნიერო კვლევისთვის, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, ანტიკვარიატის და ცხოველების შესაძენად, ავტორიტეტულ ადამიანებთან შეხვედრისთვის, გეგმების დასახვისთვის. არ არის სასურველი საქმის დაწყება, მოგზაურობა, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, გინეკოლოგთან ვიზიტი. სესხის აღება, ნოტარისთან საბუთის გაფორმება. შედეგიანი იქნება ყელის, ცხვირის, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარჯანი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

### 8 სექტემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.34 საათზე, ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 10.39 საათზე, ჩადის 20.27 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 13.09 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დაძაბული დღეა, ყურადღებით იყავით. დაინტერესება იმატებს ყოველივე მისტიკურისა და იდუმალის მიმართ. შესაძლებელია, სხვათა საიდუმლოს გაგება. კარგი დღეა რეცხვისა და რემონტისთვის, გეგმების დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსვლენად, დაკარგული ნივთების მოსაძიებლად, ანტიკვარიატისა და ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, ეჭვიანობა, სარკაზმი, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



4 სექტემბერი - დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა, საქართველოისად წოდებულისა

✝ 2 სექტემბერი. ორშაბათი. წინასწარმეტყველისა სამოელისა; მოწამეთა: სევირესი, მემნონისა და მათთანა 37-თა მოწამეთა. **დიდგორობა — ქვაბთახევის მონასტრის ზემოთ მთაში** (ქართლში).

✝ 3 სექტემბერი. სამშაბათი. მოციქულისა თადეოზისა, 7-თაგანისა; სარმეანესი, ქართლის კათალიკოსისა; ღირსისა თადეოზ სტეფანწმიდელისა, ცამეტ ასურელ მამათაგანისა; მოწამისა ბასასი და სამთა შვილთა მისთა, მოწამეთა: აღაპისი, თეოგნესი და პისტოსი.

✝ 4 სექტემბერი. ოთხშაბათი. დღესასწაული ღმრთისმშობლის ხატისა, საქართველოისად წოდებულისა; მოწამეთა: აგათონიკესი და მისთანა ზოტიკესი, თეოპრეპესი, აკვინდინესი, სევერიანესი და სხვათა; მღვდელმოწამისა ათანასე ეპისკოპოსისა; ღირსისა ანთუსასი და მსახურთა მისთა, მოწამეთა ქარისიმესი და ნეოფიტესი; მოწამისა ევლალია ქალწულისა.

✝ 5 სექტემბერი. ხუთშაბათი. **წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების დღესასწაულისა.** მოწამისა ლუპესი; მღვდელმოწამისა ირინეოსისა, ლიონელი ეპისკოპოსისა; ღირსთა ევტიქისა და ფლორენტისა. კალინიკესი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ 6 სექტემბერი. პარასკევი. **ღირსისა სერაპიონ სასწაულმოქმედისა, ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა;** მღვდელმოწამისა ევტიქისა, მოციქულ იოანე ღმრთისმეტყველის მოწაფისა; მოწამისა ტატიონესი; მოწამისა სირასი, სპარსელი ქალწულისა; ღირსისა გიორგი ლიმნელისა. წმინდა აღმსარებელ ძმათა: სტეფანესი, პოლიევქტოსი, ფილიმონისა; **მღვდელმოწამეთა: ანდრიასი და პეტრესი; წმინდა ფილიმონ ქორიძისა — ერისათვის თავდადებულისა.**



8 სექტემბერი - ხსენება მოწამეთა ანდრიანესი და ნატალიასი

✝ 7 სექტემბერი. შაბათი. **აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოციქულისა ბართლომესი;** მოციქულისა ტიტესი, კრეტელი ეპისკოპოსისა, 70-თაგანისა; ევლოგისა, ედესელი ეპისკოპოსისა და პროტოგენი აღმსარებელისა, კარიელი ეპისკოპოსისა; მინასი, კონსტანტინეპოლელი პატრიარქისა.

✝ 8 სექტემბერი. კვირა. მოწამეთა ანდრიანესი და ნატალიასი.


ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**






**მაგიური მედიცინა**

ფოტოსურათით მოგიხსნით **ალკოჰოლზე და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, აგრესიას, დეპრესიას, ეჭვიანობას, აკვიატებას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, გაუმართლებლობას, ბედის ჩაკეტილობას** და მრავალი სახის პრობლემას. ვმუშაობ მოზარდებზე და ბავშვებზეც.

მისამართი: წერეთლის გამზირი №57. ფირმა «დავით ბაგრატიონის» დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. 599 49 84 23


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. სარკომა; 7. ლიდია; 12. ფალცეტი; 13. რანჩო; 14. ფოსტერი; 15. როკვა; 16. შანდალი; 17. ბებია; 18. ალიდადა; 22. კირხე; 23. დილემა; 26. თაობა; 27. ეკონომია; 28. მითი; 30. ნარინჯი; 31. ფიჯი; 33. შუმერები; 34. ნანდუ; 35. აზიმუტი; 39. ლენა; 40. პიპინია; 44. მირი; 46. სტუმარი; 47. მის; 49. ნარჩიტა; 50. ტანდემი; 51. კრეტინი; 54. ავატარი; 58. მუჰამედი; 61. კაბალიე; 62. ტრავიატა; 63. ნარიყალა; 64. როლექსი; 65. კამიკაძე; 66. სიმენსი.

შვეულად: 1. სოფია; 2. რისკი; 3. ოპერა; 4. აფიშა; 5. პლანკი; 6. მეკარე; 7. ლირიკა; 8. დეკარტი; 9. არაბეთი; 10. ანაბიოზი; 11. მონაგარი; 19. ლაკმუსი; 20. დენვერი; 21. დამრეცი; 23. დანია; 24. ლორდი; 25. მანტუ; 28. მინი; 29. თუნგი; 31. ფული; 32. ჯინსი; 36. ზლუდე; 37. მჭადი; 38. ტაიტი; 40. პანტა; 41. პარია; 42. ნაირა; 43. ასაკი; 44. მენიუ; 45. რჩევა; 47. მილე; 48. სემინარი; 52. ტაბულა; 53. ნალექი; 55. ვარნა; 56. ტევრი; 57. რიანა; 58. მენი; 59. ჭარვი; 60. მოყმე; 61. კარე.

ავაზაკითარაზოგანედილიპომადაისინინუარერიხი
კამათელიანისიროკოკობალტიმორიელიტაბულატარა

| ბანდიტი, ქურდი | ვატერპასი | დედამიწის ერთ-ერთი კოორდინატი | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ფალიაშვილის ოპერა | ქართველი მსახიობი მამაკაცი | რუსი მხატვარი |
|---|---|---|---|---|---|---|

| დიდი მტაცებელი ცხოველი | საკრავი ლირა | აქა-იქ, ანუ ... | ტრიბუნის თანაშემწე | ტუჩის საცხი | ის მრავლობით რიცხვში | ფრანგი მსახიობი ფილიპ ... | აპლომბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ავთვისებიანი სიმსივნე; 7. მცირე აზიის უძველესი სახელმწიფო; 12. მამაკაცის ძალიან წვრილი ქალისებრი ხმა; 13. მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში; 14. ამერიკელი მსახიობი ჯოდი ...; 15. ცეკვა; 16. დიდი სასანთლე; 17. დიდედა; 18. ასტრონომიული კუთხსაზომი იარაღის ნაწილი; 22. ლუთერანული ეკლესია; 23. მდგომარეობა, რომლის დროსაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; 26. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 27. მომჭირნეობა; 28. ძველი ხალხური თქმულება ღმერთებზე, ქვეყნის წარმოშობაზე; 30. ციტრუსოვანი მცენარე; 31. სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; 33. უძველესი ერაყის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი; 34. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ერთგვარი სირაქლემა; 35. სვლის პირდაპირი მიმართულება დედამიწის ზედაპირზე; 39. მდინარე რუსეთში; 40. აგულის მამა (ფილმ.); 44. რუსული ორბიტალური სადგური; 46. ვიზიტორი; 47. მიმართვა ინგლისში ქალბატონისადმი; 49. რეშად ნური გუნთექინის რომანი; 50. ორადგილიანი ველოსიპედი; 51. სულელი, უჭკუო; 54. ჯ. კამერონის ფილმი; 58. ისლამის დამაარსებელი; 61. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 62. ჯ. ვერდის ოპერა; 63. თბილისის ციხე კალას გვიანდელი სახელი; 64. შვეიცარიული საათების ფირმა; 65. თვითმკვლელი მფრინავი (იაპონელი) მეორე მსოფლიო ომის დროს; 66. გერმანული ელნაწარმის ფირმა.

შვეულად: 1. ბულგარეთის დედაქალაქი; 2. ალალბედზე მოქმედება; 3. ხელოვნების დარგი; 4. გაკრული განცხადება რაიმე ღონისძიების შესახებ; 5. გერმანელი ფიზიკოსი; 6. ფეხბურთელის ამპლუა, გოლკიპერი; 7. პოეზიის სახეობა; 8. ფრანგი ფილოსოფოსი, ფიზიკოსი; 9. აზიის სახელმწიფო საუდის ...; 10. სასიცოცხლო პროცესის შეწყვეტა ზოგ ორგანიზმში; 11. გარჯით ნაშოვნი ქონება; 19. ქიმიური ინდიკატორი; 20. ქალაქი აშშ-ში; 21. დახრილი, დაქანებული; 23. ევროპის სახელმწიფო; 24. თავადაზნაურის ტიტული ინგლისში; 25. კანის სინჯი ტუბერკულოზზე; 28. მოკლე კაბა; 29. თიხის ვიწროყელიანი ჭურჭელი; 31. „ხელის ჭუჭყი“; 32. ამერიკული შარვალი; 36. დამცავი კედელი, ღობე; 37. სიმინდის „პური“; 38. კუნძული წყნარ ოკეანეში; 40. ტყის მსხალი; 41. ერთ-ერთი უდაბლესი კასტა ინდოეთში; 42. მწერალ გელაშვილის სახელი; 43. წლოვანება; 44. საჭმელების სია რესტორანში; 45. დარიგება, ჭკუის სწავლება; 47. ფრანგი ფერმწერი; 48. სტუდენტთა ჯგუფური მეცადინეობა; 52. გამრავლების ცხრილი; 53. ატმოსფერული ტენი წვიმის, თოვლის სახით; 55. ქალაქი-პორტი ბულგარეთში; 56. ხშირი დაბურული ტყე; 57. ბარბადოსელი მომღერალი ქალი; 58. აშშ-ის შტატი; 59. კენედის მკვლელი ლი... ოსვალდი; 60. ჭაბუკი, რაინდი; 61. თმის ერთგვარი ვარცხნილობა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნარდის სათამაშო კუბი | ქალაქი თურქეთში | სტილი არქიტექტურაში | ქალაქი აშშ-ში | „უმაღლესი“ საზოგადოება | ბარდი ... ოკუჯავა | თუთიყუშის სახეობა |
|---|---|---|---|---|---|---|

| მწვანილის სახეობა | კომპანია ... ველი | სამხრეთის თბილი ძლიერი ქარი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ღრიანკალი | გამრავლების ცხრილი | შესაფუთი მასალა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2024 წლის 2 – 8 სექტემბერი №37 (1555)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**


გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol